

K 36533
2



სეპტიმიუს სეპტიმიუს

ქსენონ
სემონ

სეპტიმია მკვლევარი

საქართველოს
სამხრეთ-აღმოსავლეთი
საგარეო ურთიერთობების
სამსახური



ქართული
სამხრეთ-აღმოსავლეთი

საქართველოს მემკვიდრეობის



წიგნი
პირველი
პირველი



ქსენის ხეობა



საქართველოს მემკვიდრეობის



საქართველოს მემკვიდრეობის

თბილისი — 1968

საქართველოს მემკვიდრეობის
წიგნი
პირველი
პირველი

536533
2



წიგნში მომთხილელია ქსნის ხეობის როგორც ისტორიული ვითარება, ისე მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ზვენი მღვიდარი წარსულის შესასწავლად.

1-6-1

321-68 ადვ.

ქსნის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიული წარსულითა და მატერიალური კულტურის ძეგლებით ქსნის ხეობა შიდა ქართლის ერთ-ერთი საინტერესო მხარეა.

მისი რელიეფი მრავალფეროვანია. ზემო მხარე მთაგორიანია, ლამაზი ტყით მოსილი, მწვერვალები კი ალპური მდელოთი ამწვანებული. ქვემო მხარე წარმოადგენს დიდ ვაკეს, სადაც გაშლილია მუხრანის ველი ნაყოფიერი ბალ-ვენახებით.

ქსნის ხეობა, დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, შედის ორი რაიონის ფარგლებში: ზემო მხარე, ქსნის სათავედან ოძისამდე¹, მიეკუთვნება ლენინგორის რაიონს, ქვემო ნაწილი კი, ქსოვრისიდან ციხისძირი — საქადაგიანო, შედის მცხეთის რაიონში.

ქსნის ხეობას ესაზღვრება: აღმოსავლეთით — არაგვის ხეობა, დასავლეთით — ლეხურის ხეობა, ჩრდილოეთით — ეამურლომისას ქედი, სამხრეთით კი — მდინარე მტკვარი.

ქსნის სათავე კავკასიის მთებშია და შედგება სამი ხეობი-

¹ ოძისი შედის დუშეთის რაიონში.

საგან—ქურთის, ვამურ-ქარჩოხისა და ცხრაზმისაგან, ქარჩოხისა და ცხრაზმის ზეობები თავიანთი შენაკადებით, ერადებიან ლარგვისის ზემოთ, ხარბალთან. ლარგვისის შენაკადებმა მისი მესამე შენაკადი — ქურთას წყალი. მდინარე ქურთისა გაივლის მუხრანის ვაკეს და სადგურ ქსანთან უერთდება მტკვარს.

ვახუშტის აღწერით: „ხოლო მდინარე ქსანი სდის და გამოსდის ქნოლოს ვამურის საშუალს კავკასს. ქარჩოხამდინ დის აღმოსავლეთად, ქარჩოხს ქვევით სამკრიოთ, გაივლის მუხრანს და მიერთვის მტკვარს“¹.


ქსანის სახელწოდება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გაურკვეველია. ამაზე ვახუშტი ასეთ განმარტებას იძლევა: „ხოლო მდინარემან ქსანმან მოიგო სახელი ესრეთ, რამეთუ მდინარე ესე არს სხვათა მდინარეთა ერთი ქსანი², სარგებლიანი მდინარე და თევზიანი“ (ვახუშტი, გვ. 63).

¹ ვახუშტი ბავრატონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1941, 68.

² ქსანი საწინად იხსენიება, საქმეელის, ნიგვზისა და ერბოსი (იხ. ივ. ჯავახიშვილი, საფას-საზომი, თბ., 1925, 68); საბას ლექსიკონში ქსანი იბო თუხტი და თუხტის ნაოთხალია. თბ., 1884, 330. თუხტის შენიშვნაში კი ნათქვამია: ანუ დრამნახევარსო (იქვე, 122). დრამა —3, 111 გრ., დრამნახევარი კი დაახლოებით 5,116 გრ.

ქსანს აქვს თუ არა რაიმე კავშირი სომხურ „ქსანიკთან“, რაც ნიშნავს პატარა პარეს, ქისას, გერ გამოსარკვევია.

საუბრალოდებოა, რომ ლარგვისის მონასტრის საცეცხლურზე ასეთი წარწერა იყო: „არის ეს საცეცხლური მისხალი ასოცდახუთმეტი ქსანზედ ლარგვისის წმიდის თედორეს მონასტრისა“ (ვეუთენის XIX ს.); იხ. იქვე, თაყაიშვილის ლარგვისი (Изв. Кавказ, отд. Москов. археолог. общ., том. IV, Тб., 1915, 102).



სურ. 1. თქროს სამკაულები ახალგორის განძიდან.

ქსნის ხეობა სიგრძით დაახლოებით 60—70 კმ-ია. ხეობა მჭიდროდაა დასახლებული, განსაკუთრებით შუა და ქვემო ნაწილში.

ქსნის ხეობის ისტორიული წარსული და მატერიალური კულტურის ძეგლები რამდენადმე შესწავლილი და გარკვეულია. განსაკუთრებით შუა საუკუნეების ისტორია, როდესაც ამ ხეობაში წარმოიქმნა ორი საკმაოდ ძლიერი სათავედო: ქსნის საერისთავო და სამუხრანბატონო.

რაც შეეხება ადრინდელ ხანას, იგი ნაყლებად არის შესწავლილი და აქ სისტემატური არქეოლოგიური გათხრები ჯერ არ ჩატარებულა, მხოლოდ შემთხვევითი ხასიათის აღმოჩენებით დასტურდება, რომ ეს ხეობა ბრინჯაოს ხანიდან ყოფილა დასახლებული. ამას მოწმობს სოფ. ერედაში შემთხვევით აღ-



მოჩენილი სამარხები ბრინჯაოს სამკაულებითა და ხანის იარაღებით, რომლებიც მიეკუთვნება ადრეულ რკინის ხანას VI—VII სს. ძვ. წ¹. შემდეგ ერედაში საკონტროლო აღმოჩენის აწარმოვა პროფ. ბ. კუფტინმა 1949 წ. და ერთ სამარხში იპოვა სამაჯური, ღილები, მძივები და სხვა.

ქვემო ბოლში და ავლეეშიაც შემთხვევით აღმოჩნდა ანტიკური ხანის სამკაულები.

ბოლო ყველაზე მნიშვნელოვანი, ისიც შემთხვევითი ხასიათის აღმოჩენა, ამ ხეობაში იყო საძვგურისა და ყანჩაეთის განძი².

საძვგურის აღმოჩენა ლიტერატურაში ცნობილია „ახალგორის განძად“³. განძი აღმოჩნდა 1908 წელს სოფ. საძვგურის ცოტა ზემოთ, პატარა წყლის—საძვგურას ხევში, რომელიც ერთვის ქსანს. აღიღებულმა საძვგურამ ნაპირი ჩამორეცხა და აქ გლეხები შემთხვევით წააწყდნენ ამ ძვირფას განძს, რომელშიც ბევრი ოქროს ნივთი იყო: ოქროს საყელურები, ბალოები, ყელსაბამები და სხვა ნაირსახეობის სამკაულები, აგრეთვე ცხენის რახტის ოქროს სამკაულები, ვერცხლის სასმისები და სხვა.

ახალგორის ამ განძს ზოგადად განსაზღვრავენ ძვ. წ. VI—IV სს. და მიაკუთვნებენ აქემენიდური ხელოვნების აყვავების ხანას.

¹ ერედას მასალები, 1962, შეკრება ლენინგორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ე. ხოცუაშვილმა.

² ე. ი. ვაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, იბ., 1964.

³ Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, Тб., 1934 г.



მხოლოდ დღემდე გაურკვეველია საკითხი, ახალგორის განძი სამარხეული ინვენტარია, თუ შემთხვევით თევზჭერის ნივთების საგანძური. ზოგიერთის მოსაზრებით, ეს ინვენტარია და ეკუთვნის ქსნის ხეობის მაღალ ხელისუფლებას—პიტიახშობას, და აქედან გამოაქვთ დასკვნა ასეთი ხელისუფლების არსებობაზე აქ V ს. ამ უსაფუძვლო მოსაზრებას აბათილებს თვით განძის შემადგენლობის ნაირსახეობა, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა სახისა და დროის ნივთები.

მით უმეტეს, აღმოჩენის დროს ეს ადგილი შემოწმდა და იქ სხვა ამის მსგავსი დასაფლავება არ ყოფილა. ამის გარდა, ასეთი მდიდარი განძის მფლობელის ჩონჩხი, აკლდამა, თუ კუბო არ აღმოჩენილა.

ამ საკითხის გასარკვევად საკონტროლო გათხრები აქ ჩატარდა 1945 წელსაც, აღმოჩნდა მხოლოდ ღარიბი სამარხები¹, რამაც კიდევ უფრო დაადასტურა, რომ ახალგორის კოლექცია განძია და არა სამარხეული ინვენტარი.

ისმის კითხვა: ვისი განძია იგი, კერძო შემღებელი პირისა თუ სალოცავისა, ე. ი. „ხატისა“? განძის შემადგენლობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს არის ხატის განძი, რომელიც დროთა განმავლობაში გროვდებოდა ხატის კარზე შეწირულების სახით, მლოცველთა მონატანით, რასაც, სხვათა შორის, ადასტურებს ამ განძში არსებული ხატის ოქროს ფლები, რომლებსაც მთიული დედაკაცები ჩვენში ახლო წარსულამდე ატარებდნენ კისერზე, მხოლოდ, რა თქმა უნდა, —

¹ გ. გ. ბ. ე. შ. ვ. ი. ლ. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, 112; ა. ე. ტ. ო. რ. თ. ა. კ. ო. ლ. ე. ქ. ო. ვ. ი. „საქართველოს არქეოლოგია“, თბ., 1959, 267—268.



რკინისას, ბრინჯაოს ხანაში კი — ბრინჯაოსას. რაიმე საკვამყოფობის გამო ამ უღელს, დედაკაცი შეუფერხებლად დათქმულ დრომდე შეუხსნელად ყელზე ვეიდაც ჩაბმული მუშაობას მივიდოდა სალოცავეად, იქ შეიხსნიდა ამ უღელს და ხატის ნიშზე ჩამოჰკიდებდა. ასეთივე დანიშნულების მქონეა ახალგორის განძში თავმოყრილი ცხენისა და ადამიანის ყელ-ყურის სამკაულები.

საზოგადოდ ჩვენთან რევოლუციამდელ პერიოდში, ვისაც დათქმული ჰქონდა, ეკლესიას სწირავდნენ და ხატებს ამკობდნენ „ხატის შანებით“. ამ მიზნით მლოცავე ხატზე ჰკიდებდა ოქროს ან ვერცხლის პატარა აკეანს, ბეჭდებს, გულის ქინძის-თავეებს, სამაჩურებს და სხვ. თუ ვინმე მიწაში რაიმე სამკაულს იპოვიდა, ეკლესიაში მიჰქონდა და იქ ხატთან დებდა. ამრიგად, ხატ-სამლოცველოებში და ეკლესიებში გროვდებოდა სხვადასხვა დროისა და დანიშნულების ნივთები და სამკაულები.


მეორე ანალოგიურ აღმოჩენას ქსნის ხეობაში ადგილი ჰქონდა 1960 წლის 12 ივნისს, მდინარე ყანჩაურას ნაპირას, მალღობის შევსებაზე, ე.წ. „ნიშიეაყზე“¹. აქ დგას ხატის ნიში — მუხის ხე. ამ გზის პირას გლეხები წააწყდნენ წვიმისაგან ჩამორეცხილ ნაპირზე განძის სახით თავმოყრილ სხვადასხვა ნივთებს. ამ შემთხვევითი აღმოჩენის შესამოწმებლად ადგილზე ჩატარდა საკონტროლო გათხრები, მაგრამ უშედეგოდ: აღმოჩენის ადგილზე ადამიანის ჩონჩხის ნაწილებიც არ ყოფილა. იყო ცხოველების ძვლების ნარჩენები. ყანჩაეთის ეს აღმოჩე-

¹ ი. ვაგოშიძე, აღრვანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.



სურ. 2. დროშის ნაწილი ბრინჯაოსი ყანჩაეთიდან

ნაც თავისი შემადგენლობით „ხატის განძია“ და არა სამარხი. მასში თავმოყრილია სხვადასხვა დანიშნულების სამკაულები—ჭურჭელი, იარაღები და რიტუალური დანიშნულების საგნები, როგორცაა დროშის ნაწილი — შტანდარტი, ცხვრის ქანდაკება, სხვადასხვა სახის ზანზალაეები (ყველა ბრინჯაოსი) და სხვ.



ყანჩაეთის ხატის ამ განძს მსგავსება აქვს ყაზბეგის განძთან, რომელიც აღმოჩნდა 1874 წელს ყაზბეგიანთ ველისიხის ეზოში. აქაც ყანჩაეთისმაგვარი დროშის ნაწილები აღმოჩნდა: ღივი, ჭიხვისა და ყოჩების რქებითა და ზანზალაეებით შემკული.

ყანჩაეთის განძის დათარიღება მისი შემადგენლობის ნაირსახეობის გამო ძნელია; მხოლოდ ახალგორისა და ყაზბეგის განძთან შედარებით მასაც VI—IV სს. შიკვეთენებენ (ძვ. წ.). ამრიგად, აქ მოტანილი მცირე არქეოლოგიური მასალებიდან ირკვევა, რომ ქსნის ხეობა უძველეს ხანაში და შემდეგ, ანტიკურ პერიოდში, დასახლებული იყო და აქაური მოსახლეობაც კულტურის საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა.

რაც შეეხება ქსნის ხეობის ფეოდალური ხანის ისტორიას, წყაროების სიმცირის გამო, მისი ადრინდელი პერიოდი არ არის სათანადოდ შესწავლილი და გაშუქებული. მხოლოდ გვიანფეოდალური ხანიდან, სახელდობრ XV საუკუნიდან, იწყება ფაქტიურად ამ ხეობის ისტორია, როდესაც აქ წარმოიქმნა ორი ფეოდალური სათავადო: ქსნის საერისთავო და სამუხრანბატონო.

ქსნის სათავიდან ჩრდილოეთით გადადიოდა ადგილობრივი მნიშვნელობის საცალფეხო ბილიყები: ლომისაზე გადავლით მგზავრი უკავშირდება როგორც თრუსოს ხეობას, ისე არაგვის ხეობას, ე. ი. საქართველოს სამხედრო გზას. ასევე ლომისოხირის გადმოსასვლელით არაგვის ხეობიდან გადმოდის გზა-ბილიკი ქარჩოხის ხეობაში და სხვა. ამ ბილიყებით მტერი ვერ გადმოდის, უკიდურეს შემთხვევაში, თუ არაგვის გზა (სამხედრო გზა) ჩაკეტილი იქნებოდა, მაშინ იძულებული გახდებოდა ლომისას ქედის ბილიკით გადმოსულიყო ქსნის ხეობაში, რაც იშვიათი შემთხვევა იყო. ეს ბილიყები უფრო გამოყენებული იყო შინაფეოდალურ ბრძოლებში.




ადმინისტრაციულად ქსნის ხეობა შედიოდა ქართლის გეოგრაფიულ რაიონში და მას განაგებდნენ ადგილობრივი ხელისუფალნი: მამასახლისები, ციხისთავები და ხევისუფალნი. ამ უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდნენ. ამას მოწმობს X საუკუნის ქვაზე წარწერა მეჭუდის ხეობიდან, რომელიც ასე იკითხება: „სახელითა ღმერთისაჲთა ესე კელი ჩუენ რამან და გიორგი დაეწერეთ ოდეს კოსტანტი ქართლისა გამგებელი იყო, ჩუენ ცხრაზმის ქევის ქევისუფლად ვიყვენით, მას ეამს ავაგეთ წირქვოლნი“¹...

ამ წარწერაში მოხსენებული კონსტანტი (კონსტანტინე) არის გიორგი აფხაზთა მეფის ძე, რომელიც ქართლის გამგებელი იყო 923--926 წლებში. ამ დროს ცხრაზმის გამგებლები ყოფილან რამან და გიორგი.

უძველეს ცნობას ქსანზე წარმოებულ ბრძოლის შესახებ იძლევა მემატიანე ლეონტი მროველი. იგი მოგვითხრობს ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის დაპყრობაზე და ჩამოთვლის მის მიერ დაპყრობილ ქართლის ციხე-ქალაქებს: „ამით ყოველთა ციხე-ქალაქთა შინა ჰოენა კაცნი სასტიკად მებრძოლნი და განუყო ლაშქარი თვისი და ყოველთა ამით ციხე-ქალაქთა გარემოადგინნა, თვით დადგა მცხეთას, და დაუდგინნა ლაშქარნი იმიერ და ამიერ, ზემოთ და ქუემოთ და თვით დადგა ქსანსა ზედა, ადგილსა, რომელსა ჰქვიან ნასტაკისი“².

¹ გ. ბოკორიძე, ორი ფიქალქვა, საისტორიო მოამბე, 1925, I, 96--106.
² ქართლის ცხოვრება, ნ I. თბ., 1955, 18. ნასტაკისი (ახლა ნასტავი) ეწოდება ქსნის ციხის სამხრეთით მდებარე ვაკეს, რომელიც აღწევს საფურ ქსნამდე. ეს ადგილი ქსნის დინების მარცხენა მხარეზეა. ციხისძირს ზევით ქსანს ერთვის შიოსუბნის წყალი. ეს ფართობი თურმე ირწყევოდა ქსნიდან გამოყვანილი რუთა.

სტავი—რუს სათავეა (იხ. საბა ორბელიანის ლექსიკონი, 288).



ლეონტი მროველი ქსნის ხეობის ქვემო ნაწილს ეხება. გრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის აღწერისას, როგორც იყო ქრისტიანობის გავრცელება ქსნის მხარეებში. როგორც ცნობილია, პირველ ქრისტიან მღვდელს მთიანს მზე დაუბნელდა მუხრანის სანახებში, რომლის შესახებ შემატიანე მოგვითხრობს: „ხოლო მეფემან მოვლო ყოველი სანახები მუხრანისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა. შუა სამხრისა ოდნავ დაბნელდა მზე მთასა ზედა და იქმნა ღამე ბნელი“-ო (იქვე, გვ. 109).

მომდევნო საუკუნეებში (VIII—X) უფრო გაძლიერებულა ქსნის ხეობის პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა.

ამ პერიოდში ხეობის დასაცავად ქსნის მარჯვენა ნაპირას შენდება წირქელის მაგარი ციხე, რომელიც ხეობას იცავდა შემოსეული მტრებისაგან. ქსნის სათავეც გამაგრებული იყო ბერ-ციხეთი, რომელიც მაღალი კლდის თავზეა ნაგები ეამურის ხეობაში; ცხრაშმის სათავე გაუმაგრებულია უკანაუბნას ციხით, ჭურთის ხეობა — ციხე წინკიბეთი და სხვა.

ამავე დროს ქრისტიანული მოძღვრების დასანერგავად აქ შენდება წირქელისა და კაბენის (ყანჩეთის) შესანიშნავი ტაძრები, რომლებიც საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდნენ.

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ასპარეზად იქცა ქსნის ხეობა, განსაკუთრებით კახეთსა და ქართლს შორის, როგორც მათი სასაზღვრო ზონა.

ქართველი შემატიანე მოგვითხრობს ასეთი ბრძოლის ეპიზოდს აშოტ კუროპალატსა და გრიგოლ კახეთის მთავარს შორის: „მას ეამსა გამოილაშქრა აშოტ კუროპალატმან, და უშველა თევდოსი აფხაზთა მეფემან, ძემან მეორისა ლეონისამან, რომელი იგი სიძე იყო აშოტ კუროპალატისა. მოვიდა გრი-

გოლ კახეთით და გრიგოლს უშველეს მთიულთა და წამარსა და ამირან ტფილელმა, და შეიბნეს ქსანსა ზედა კმოტ და გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ, და დაიპყრეს ქვეყანა კოხტელსი კქონდა ქართლისაგან, და დაიპყრო აშოტ კემბჩყვასაჲსაჲსაჲსა ვიდრე ქსნამდე“ (ქართლის ცხოვრება, I, 252—253).

როდესაც დაეით კუროპალატმა უფლისციხე აიღო, კახელები დაამარცხა და იქიდან გარეკა, ქართლის მეფედ დასვა თავისი შვილობილი ბაგრატ გურგენის ძე და თავის სამფლობელოში (ტაო-კლარჯეთში) გაბრუნდა. ამით კახელებმა ისარგებლეს, თავს დაესხნენ უფლისციხეს და ტყვედ წაიყვანეს ბაგრატი. მის გასათავისუფლებლად დაეით კუროპალატმა განიზრახა კახეთში გალაშქრება. ამაზე მემკვიდრე მოგვითხრობს: „რაცამს ცნეს კახთა, მოუგზავნეს მოციქული და მოუპყრეს პირი ზაეისა: განუტევენეს გურგენ და ბაგრატ და დედოფალი გურანდუხტ, და შეუქციეს ქართლი და უფლისციხე, ხოლო წირქელის ციხე და გრუი თვით დაიჭირეს“ (იქვე, გვ. 274—275).

ამ ტექსტიდან ჩანს, თუ როგორი მნიშვნელობა ეძლეოდა წირქელის ციხეს ქსნის ხეობის დაუფლებისათვის.

აკად. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ქსნის ხეობის ერთი ნაწილი 970 წელს კახეთის საზღვრებში შედიოდა, თუმცა წირქელის ციხე და გრუა ქართლს ეკუთვნოდა, მაგრამ კახთა ბატონებს პქონდათ დაპყრობილი, დაეით კუროპალატმა მათ წინააღმდეგ გაილაშქრა. უმეტესი ნაწილი ქართლისა დაიბრუნეს, ხოლო წირქელის ციხე და გრუა ისევ კახელებს დარჩათო¹.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1946, 41.

ქსნის ხეობაზე ბრძოლა კახეთსა და ქართლს შორის შემდეგაც გრძელდებოდა და კახეთის ქორიკოზები (მოთარეზი) ცდილობდნენ ქართლის ამ ხეობის დაუფლებას.

ბაგრატ III აფხაზეთიდან ქართლში გამოიღწეა და მისი თხოვა კახეთის ქორიკოზს, დაეთოს ციხენი ქართლისანი, რომელიც მას ეპყრა. მან ეს არ ინება და უპასუხა: „უკეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩვენ შორის დამაჯერებელი მკლავი და ოპ. ხოლო მე წინა მოგეგები ქსანსა ზედა“-ო (იქვე, 278).

ქსნის ხეობის მთავარი სიმაგრე — წირქელის ციხე ვეფხინის (კახეთის) ერისთავის გამგებლობაში შედიოდა. ამაზე ქართველი მემკვიდრე მოგვითხრობს: „და იყო ბაგრატ (ნათქვამია ბაგრატ IV—1127—1172 წ.) გალაშქრებული აღებად კახეთისა და ლაშქარი მისი წინა გავზავნილი იყო ვეფხინის ერისთავსა თანა წირქელელსა. შემოიქცეს მშვდობით, და უამბეს შემოსელა სულტანისა და დაყრა ციხეთა, შემოიქცა სწრაფად ქვეყნად თვსად ქართლად“ („ქართ. ცხოვ.“. I, გვ. 308).

საყურადღებოა, რომ წირქელი თამარის დროს შეწყალებით გადაუციათ სარგის ვარამის ძისათვის: „და შეიწყალეს სარგის ვარამის ძე, დალოცეს და უბოძეს თმოგვ, და ქუეშოთ წირქელელნი, ზარტიბის ძენი, გრიგოლის ძენი, ჭიაბრის ძენი და მახატლის ძენი და თავნი კახეთისანი თორღას ძენი“ („ქართ. ცხოვრება“, II, გვ. 55).

როდესაც გიორგი II (1072—1089 წ.) წინააღმდეგ დიდგვაროვანმა ფეოდალებმა მოაწყვეს შეთქმულება-განდგომა ივანე ლიპარიტის ძე ორბელიანის მეთაურობით, ივანემ მოიხმო კახნი და დადგა ქსნის პირას (იქვე, 316).

აქედან ირკვევა, რომ ქსანზე ხდებოდა შეტაკება შინაფეოდალურ ბრძოლებში ქართლსა და კახეთს შორის.

როგორც ვიცი, თამარის მეფობისას (1184—1213 წწ.) გილი ჰქონდა მთიელთა განდგომას და მეფემ მათ წინააღმდეგ მოუწოდა აგრეთვე ქსნის ხეობიდან ცხრაზმელთა და ცხაეტელთა: „მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთიანეთისა დვალთა, ქართალთა, ერწოთიანელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინი მათ ზედა“¹.

რომ განდგომილი მთიელებისათვის (ფშავე-ხევსურები და დიდოელები) ზურგს უკან მოეველოთ, ივანე ათაბაგმა ეს ლაშქარი ცხაეტისა და ცხრაზმის ხევით გადაიყვანა ლომისაზე და აქედან ჩაეიდა არაგვის ხეობაში.

მემატეანის თქმით: „...განვიდეს მათ შორის ცხაეტსა და ცხრაზმის კეცთა, რომელ არს ლომისა“ (იქვე, 305).

ამგვარად, არაგვის ხეობის მთიელების განდგომაში ქსნის ხეობის მთიან მხარეს მონაწილეობა არ მიუღია, წინააღმდეგ ამისა, ცხაეტელებსა და ცხრაზმელებს მხარგრძელის ლაშქარი თავიანთ ხეობაზე გაუტარებიათ და თვითონაც გაჰყოლიან მათ განდგომილებთან საბრძოლველად.

ეს იმას მოწმობს, რომ ქსნისხეველები მეფისადმი იჩენდნენ ერთგულებას. საფიქრებელია, რომ ცხრაზმის ხეობასა და ქსნის დანარჩენ ხეობებშიაც ქართლის გამგებელს ჰყავდა ხევისუფალნი (ხევის ბერები). ასეთი ხევისუფალნი აქ უნდა ყოფილიყვნენ ლარგვისში, სადაც ქსნის შენაკადები თავს იყრიან, აგრეთვე ქსანზედაც, ქვენიფნევიში — ამას მოწმობს ლარგვისში დღემდე შემონახული სათავადოსათვის დამახასი-

¹ ისტორიანი და აზმანი... ქართლის ცხოვრება, ტ. II, 11.

ათებელი ფეოდალური ანსამბლი და ქვენიფნევის ნაგებევი, რომელსაც ახლა ქვემო იფნეეს უწოდებენ¹.

ეს ხევისუფალნი ატარებდნენ თავიანთი სამყოფელი ადგილის სახელწოდებას — ქვენიფნეველსა და ლეგენს². ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მათ მიერ გაცემულ საბუთებში ქვენიფნევი, ლარგველი და აგრეთვე მესამე სახელწოდება — ვირშელიც ზოგან სახელის მნიშვნელობით არის მოხსენებულნი, ზოგან კი — ადგილისა და გვარის ვაგებით³.

ამ სადავო საკითხის გარშემო არსებობს სხვადასხვა მოსაზრება⁴, რომელთა განხილვა შორს წაგვიყვანდა.

ქსნის ხეობის ამ ხევისუფალთა შორის, როგორც დავინახავთ შემდეგ, ხელშემწყობი ისტორიული პირობების გამო, დაწინაურდნენ ლარგველ-ქვენიფნეველნი.

ეს იყო მონღოლთა ბატონობის პერიოდი ჩვენში (XIII—XV სს), როდესაც მონღოლთა ურდოებმა დაიპყრეს აღმოსავ-

¹ აქ არის ნაცისარი, დაშლილი ვალავნით, მისი კოშკი ქსნის მხარეზეა მოთავსებული. იოანე ბატონიშვილი ქართულ თავადაზნაურთა გვარეულობის ისტორიაში, რომელიც 1799 წელს შეუდგენია, ამბობს: ქვენიფნევი, რომელი აწ იწოდების იფნევადო. აქ შემდეგ დასახლებულა აზნაური ალიბეგაანი და დღეს უწოდებენ ალიბეგაანთ ნისახლარს.

² ქვენიფნევი, ანუ იფნევი მალღობზეა, ცხატის ქვემო ქსნის მარჯვენა მხარეზე. აქვეა იფნურას იფნის ტყით დაფარული ხევი.

³ შუა საუკუნეებში და, საზოგადოდ, ძველად გვარს არ ატარებდნენ ფეოდალური არისტოკრატია ატარებდა სამფლობელოს სახელწოდებას (ორბელი, რუსთავი, ქაველი, კალმახელი, იშნელი და სხვა) აგრეთვე საზოგადოების სახელწოდებას (ამილახვარი, ერისთავი, ათაბაგი, ციხისთავი, მუღდინეთუხუცესი, გზირიშვილი და სხვ.).

⁴ დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, 55—57.



ღეთ საქართველო და ძლიერ დახარკეს. ისინი ხელს უწყობდნენ საქართველოს მთლიანობის დაშლა-დაქუცმაცებას, დაეყენეს რვა ერთეულად — დუმანებად, რომლის სახეობადაც ყენეს თავიანთი შორჩილი თავადები. ქართველი ხალხი ვერ ურიგდებოდა მათს დესპოტურ ბატონობას, აწყობდნენ შეთქმულებებს და ამბოხებებს. ამას თან ერთვოდა მონღოლთა შორის დინასტიური ბრძოლები, რომელშიც ქართველებიც იყვნენ ჩათრეულნი, რაც საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობის ფიზიკურ არსებობას.

მონღოლები მკაცრი და ველური დამპყრობლები იყვნენ. ცდილობდნენ საქართველოს მთლიანობის დაშლა-დაქუცმაცებას, რაც დიდი საფრთხის წინაშე აყენებდა ქართლის არსებობის საკითხს.


განსაკუთრებით მძიმე იყო თემურლენგის რვაჯერ შემოსევა, იგი აქედან ებრძოდა ჩრდილოეთის ოქროს ურდოს ბატონს — თოხთამიშს და ცდილობდა მისთვის ჩაეკეტა დარიალის კარები, რომელიც ქართლის ჩრდილო საზღვარს იცავდა.

ამის გამო თემურლენგმა ბრძოლის ასპარეზად აქცია ქსნი-სა და არაგვის ხეობა, საიდანაც ვზა ვადიოდა ჩრდილოეთისაკენ დარიალის ხეობით. მართალია, ქართლის მეფეები, ბაგრატ V, მისი შვილი გიორგი VII, მედგრად ებრძოდნენ დამპყრობლებს, მაგრამ მტრის დაძლევა ვერ შესძლეს. ამის გამო ქვეყანა ნადგურდებოდა ეკონომიურად, იშლებოდა სახელმწიფოებრივად, მეფის ხელისუფლება დასუსტდა და თავი იჩინა შინაურმა გათიშვამ.

დაშლის ეს პროცესი დამთავრდა XV საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც მეფე ალექსანდრე I (1402—1443 წ.) ჩაიღინა დიდი პოლიტიკური შეცდომა: თავის სამ შვილს —

2. ს. შავლათია





დიმიტრის, გიორგის და ვახტანგს—გაუნაწილა სამეფო და ამგვარად, საქართველო საბოლოოდ გაიყო ქართლის, ახლეთისა და იმერეთის სამეფოდ. ამას მოჰყვა სამთავროებანი და საერისთავოების გამოყოფა გიორგი VIII დროს (1446—1466 წ.). პირველად მას განუდგა ყვარყვარე ათაბაგი და იმერეთის ერისთავი ბაგრატი. ბრძოლაში გიორგი VIII დამარცხდა, ყვარყვარეს ტყვედ ჩაუვარდა და იძულებული გახდა მიეცა მისთვის დამოუკიდებლობის სანქცია. ამას მოჰყვა ქსნისა და არაგვის ცალკე საერისთავოდ გამოყოფა და აგრეთვე სამუხრან-ბატონოს წარმოქმნა.

ქსნის ხეობის ხელისუფლებამაც ისარგებლეს ხელშემწყობი პოლიტიკური პირობებით, რომ მიეღოთ ერისთავის მაღალი ხელისუფლება და ამ ხეობის მფლობელნი გამხდარიყვნენ.

ამისათვის, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო სათავადოს არქიტექტურული ანსამბლის შექმნა ხეობის ცენტრში, სადაც ქსნის შენაკადების თავშესაყარი ადგილი იყო ლარგვისში.

აქ აშენებენ დარბაზული ტიპის ეკლესიას, გარშემო კვიტკირის გალავნით, კოშკებითა და საცხოვრებელი სათავსოებით.

მას უწოდებენ მონასტერს, რომელიც ამ ხეობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი შეიქნა.

XV საუკუნეში ქსნის საერისთავო ძირითადად ჩამოყალიბდა სათავადოსათვის დამახასიათებელი ციხე-დარბაზით, საძვლეთი, ვრცელი სამფლობელოთი და ყმა-მამულით.

ახლა საჭირო იყო ამ ახლად შექმნილი საერისთავოს იერი-დიული დაკანონება და წერილობითი გაფორმება.

როგორც ირკვევა, ეს დავალება დაეცისრა ლარგვისის მონასტერს, სადაც დაიწერა „ძველი ერისთავთა“.

ამ ძეგლის ავტორად მიჩნეულია ლარგვისის მონასტრის

მოდგაზე ავგაროზ ბანდაის ძე (X ს.), რომელიც დახელოვნებული მწიგნობარია. ეს ძეგლი დაიწერა ქსნის ერისთავის ერეკლე მესამის სიკოცხლეში 1348—1400 წლებს შორის.

სამწუხაროდ, ეს ძეგლი დღემდე არ არის განხილული და ისტორიული თვალსაზრისით შეფასებული. ქსნის ერისთავების წარმოშობაზე იგი იძლევა ყალბსა და შეუსაბამო ისტორიულ ცნობებს და ამ ძეგლის მიხედვით შეუძლებელია რაიმე მართებული დასკვნის გამოტანა ამ საერისთავოს წარმოქმნაზე.

ძეგლის ავტორის გულუბრყვილო თხრობაა ქსნის ერისთავის მამამთავრის—როსტომის გამოქცევაზე ოსეთიდან დედალეთში, საიდანაც იგი დეალებმა გააძევეს. როსტომი შეხიზნულია ცხრაზმის ხეობაში და აქ ცხრაზმის თემის მიერ მისი ერისთავად არჩევა უფრო ზღაპარია, ვიდრე ისტორიული სინამდვილე. ამასთანავე ავტორი ახდენს ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაციას და ამბობს, როსტომს მიუბოძა ცხრაზმის ერისთავობა

1 ვ. გამრეკელი, სოციალური ბრძოლის ისტორიიდან ქართლის მთიანეთში (ძეგლი ერისთავთა მიხედვით), საქ. აკად. მოამბე, XIX, № 2, თბ., 1957, 239—245.

2 ამ ძეგლის კრიტიკული განხილვა არ შეადგენს ჩემს მიზანს. ძეგლი რამდენჯერმე გამოცემულია და მის შესახებ ლიტერატურა არსებობს: შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, ნაკვეთი 30, გვ. 359; თ. ყორღანიძე, ქრონიკები, II; დ. გვრიტიშვილი, ქსნის საერისთავო (ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1855, — 57—58).

3 ს. ხუტავაძე, ძეგლი ერისთავთა და მისი მნიშვნელობა სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის, ვნიშქის მოამბე, ტ. XII, გვ. 219—231; ივ. ქავთაძე, ძეგლი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, 264—267.

VI საუკუნეში ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანემოკმარა, რომ ქსნის საეპისკოპოსოს საქართველოში არ იყო, ან იგი არ ეკუთვნოდა საქართველოს და ემორჩილებოდა კონსტანტინოპოლის კეისარს.

ბიზანტიისა

მაგრამ ქსნის საეპისკოპოსოს ზრდა-გაძლიერების ამ პროცესს ელობება ახალი სათავადოს — სამუხრანბატონოს წარმოქმნა ქსნის სამხრეთის დინებაზე, მუხრანის ველზე. ამ ახალი სათავადოს წარმოქმნა შედეგი იყო კახეთსა და ქართლს შორის დაუსრულებელი ბრძოლებისა ქსნის ხეობის დაუფლებისათვის.

ამ ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო XVI საუკუნის დასაწყისს, როდესაც ქართლში მეფობდა დავით X (1505—1525 წწ.), რომელმაც ვერ შესძლო კახეთის მეფის ავგიორგის დამორჩილება, ვინაიდან, როგორც ვახუშტი ახასიათებს: „იყო ლმობიერი, ბრძოლაშლილობათა და შფოთთა მოძულე და მოყვარე მშვიდობისა“¹.

ამის გამო დავითი იძულებული შეიქნა დაეკმაყოფილებინა უმცროსი ძმის, ბაგრატის მოთხოვნა, რომ მისთვის მიეცა საუფლისწულოდ მუხრანი და იგი კახეთს მორჩილებაში მოეყვანდა.

ამის შესახებ ეგნატაშვილი ბერი მოგვითხრობს:

„მეფობდა ქართლსა ზედა მეფე დავით, მას ჰყავდა ძმა გიორგი, ბაგრატ და ალექსანდრე და მელიქსედეც მონაზონი. ხოლო აღიღო შური ავგიორგიმ დავითსა ზედა და ქმნა მრავალი ბოროტი საქართველოსა ზედა.

მაშინ ეზრახნეს ძმანი მისნი მეფესა დავითს, აწ ჩვენცა

¹ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, 13.

აღესდგეთ მათ ზედა და ებრძოდეთ მათ. არამედ მეტყველდით და-
ვით არა ინება. მაშინ სთხოვა ბაგრატ მეფესა დაეიდოს მუხრან-
ნი საეფლისწულოდ და დროშა, და დარაჯად გაეყოფინათ
ერისთავი ქსნისა და ხეობა არაგვისა, ხოლო მეტყველდით მისცა
და ესრეთ წარმოემართა და მოვიდა მუხრანს ციხესა
მტყვრისა, რომელ არს ციხისძირის თავსა, და დადგა მუნ¹.

ეს მოხდა 1512 წ. ბაგრატმა განაახლა და გაამაგრა მტკვრის
ციხე, ახლა ქსნის ციხედ წოდებული. ბაგრატმა ჩქარა შეიბყ-
რო ავ-გიორგი², დააპატიმრა მტკვრის ციხეში და იგი მოკლეს
1514 წელს. სამუხრანბატონო საკმაოდ დიდ ტერიტორიას
ფლობდა: აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა არაგვი, სამხრე-
თით—მტკვარი, ჩრდილოეთით, ქსანზე—ოძისი, დასავლეთით—
საამილახვრო. ვახუშტის სიტყვით: „ოძისამდე არს მუხრანისა,
ოძის ჩრდილოთ კერძო — ქსნის კევისა“ (ვახუშტი, გვ. 53¹)

გარდა ამისა, ბაგრატის მოთხოვნით მის მორჩილებაში უნ-
და ყოფილიყვნენ არაგვისა და ქსნის ზევნი, ზევ-მთიულეთი-
თურთ: „თვისსა მორჩილებასა ქვეშე, რომელ არს მიერთგან
ერთ სასპარსეტოდ ანუ სადროშოდ“ (ქართ. ცხოვ., II, გვ.
350, 433, 488).

ამასთანავე, როგორც ვახუშტის სიტყვებიდან ჩანს, პირ-
ველი მუხრანბატონი ხელმძღვანელობდა სადროშოს, რომე-
ლიც აერთიანებდა აგრეთვე ქსნისა და არაგვის საერისთავო-
ებსაც. იგი მთელი ამ მხარის მეთაურის როლში გამოდი-
ოდა.

¹ ქართლის ცხოვრება, თბ., ტ. II, 488—489.

² ავ-გიორგი კახთა მეფის ალექსანდრე I (1466—1476) ძვ. მან მოკლა
თავისი შავა, ამიტომ უწოდეს ავ-გიორგი.



საქართველოს
საქართველოს



სურ. 3. მალგოზი, ქსნის ერისთავების ციხე-გადაცნის
სამხრეთ-დასავლეთი კუთხე.

როგორც ვიცით, დავით ქართლის მეფემ ქვეყანა სასა-
რო თვალსაზრისით დაყო ოთხ სადროში და ერთ-ერთი სად-
როში თავის ძმას, ბაგრატს, ჩააბარა. მასში, გარდა მუხრანისა,
შედიოდა ქსნისა და არაგვის საერისთავოებებიც და ჩაატარა
ტიც მთელი ამ მხარის მეთაური ხდებოდა.

ამგვარად, ქსნის ხეობის მთელ სიგრძეზე XV საუკუნის
ბოლოს წარმოიქმნა ორი საკმაოდ ძლიერი სათავადო: ქსნის
საერისთავო და სამუხრანბატონო.

ქსნის საერისთავოს ამით საშუალება მოეპოო თავისი სა-
შელობელო გაფართოებინა სამხრეთით, მტკვრის მიმართუ-
ლებით და დასავლეთითაც, სადაც მას ესაზღვრებოდა ძლიერ
სათავადო—საამილახვრო.

საერისთავო ტერიტორიული ზრდა შესაძლებელი იყო მხო-
ლოდ ჩრდილოეთის მიმართულებით. ამ მხრივ მათ შესძლეს
ქსნის სათავეების მოსაზღვრე მდინარეების — ლეხურის, მე-
ჯუდისა და პატარა ლიახვის სათავეებთან მდებარე ტერიტო-
რიის დაუფლება. ამასთანავე დაეპატრონნენ ყველა იმ გზა-ბი-
ლიკს, რომელიც აქედან ჩრდილო მხარეზე გადადიოდა.

საერისთავოს გაფართოებასთან საჭირო გახდა მისი ძველი
რეზიდენციის — ლარგვის-ქვენიფნევის ეწრო და ძნელმი-
სადგომი ადგილიდან სტრატეგიულად უფრო ხელსაყრელ
ახალგორში გადატანა.

ამით საერისთავოს ახალი ცენტრი, ახალგორი, უფრო მარ-
ჯვედ ემიჯნებოდა სამუხრანოსა და საამილახვროს. ამასთანავე
ახალგორი იყო პატარა სავაჭრო ქალაქი. ძველ წყაროებში
ახალგორი ჩვეულებრივ „მცირე ქალაქად“ იწოდებოდა.

და აქ რომ შეექმნათ სათავადოსათვის დამახასიათებელი
ანსამბლი, ქსნის ერისთავებმა გაშალეს ფართო მშენებლობა.

ამშენეს ქვეტყირის სასახლე, რომელსაც შემოაღეს ციხე-გალაქანი, შიგვე გამართეს სამლოცველო-ეკლესია, წაშლაცავე და სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი.

ამგვარად, ახალგორი XVI—XVIII საუკუნეებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეტყირისთვის პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრების ცენტრად გახდა.

ამასთან დაკავშირებით თავიანთი საგვარეულო სამარხი ლარგვისის მონასტრიდან გადაიტანეს იკორთაში (მეჭუღის ხეობა), ძველ ლარგვისის კი შერჩა ამ ხეობის კულტურულ-საგანმანათლებლო საკმეიანობა. ქსნის ერისთავებს იმთავითვე ახასიათებდათ მეფის ხელისუფლებისადმი ორგულება, მუხობლების რბევა და მამულების მიტაცება. ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლებოდა, რაც მეტად შორს წაგვიყვანდა. მით უმეტეს, ამის შესახებ საკმაოდ ბევრი მასალაა გამოქვეყნებული¹.

ქსნის ერისთავების ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა უფრო გამწვავდა XVIII საუკუნეში, ერეკლე II მეფობისას. ზოგი მათგანი ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულებაშიაც კი იღებდა მონაწილეობას.

უკანასკნელმა ერისთავმა გიორგი ყულარაღასმა (1774 — 1777 წწ.) განიზრახა განდგომა და გამაგრდა სიათაში, რომელსაც მეფის ჯარი და ბატონიშვილები შემოეხევივნენ და გიორგი კოლ-შვილითურთ გამოიყვანეს ხელხუნდგაყრილი.

დავით ბატონიშვილი თავის წიგნში „ახალი ისტორია“ ამა-

¹ დ. გვრიტიშვილი, ქსნის საერისთავოს ურთიერთობა კარაღის სამეფოსთან (ახ. მისი დედ. საქარ. ურთიერთობის ისტორიიდან, 312—330).


ზე მოგვეთხრობს: „ეამსა ამას (1777 წ.) უკუდგა ყულაღა გიორგი ერისთავი ქსნისა. ამას ზედა წარგზავნა მეფემან თვისი გიორგი და ლევან, რომელიცა შეიპყრეს და შთამოუყვანეს პურობილად. თუმცა მეფემან მიუტევა შეცდომი მეთუ სევა მას ლეკთა მკედრობა და არბევდა ქართლსა და აოკრებდა სოფლებსა, ეითარცა ავაზაკი. და მიუბოძა ქსანი რესა თვისსა გიორგის, ხოლო ლიახვი — იულონს“¹.

ამგეარად, განდგომისა და მტრის ლაშქრის დახმარებით ქვეყნის აოხრებისათვის ერეკლე II გიორგის ქსნის საერისთავო ჩამოართვა და გააუქმა 1777 წ. ქსნის ხეობა კი გადავიდა გიორგი ბატონიშვილის გამგებლობაში. მხოლოდ ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებისას, 1801 წ. 27 იანუარს, ბატონიშვილებმა ერისთავს დაუბრუნეს ქსნის ხეობა.

რაც შეეხება მუხრანბატონების დამოკიდებულებას ქართლის მეფეებთან, ისინი, როგორც ბაგრატიონთა შთამომავალნი, თავიანთ თავს თვლიდნენ ქართლის სამეფო ტახტის კანონიერ მემკვიდრეებად და მისდამი იჩენდნენ ერთგულებასა და ზოგჯერ თავდადებასაც. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II მათს ასეთ ერთგულებას აფასებდა და სამეფო სამსახურში აწინაურებდა; მაგალითად, კოსტანტინე მუხრანბატონი, რომელმაც შემოსეული ლეკების ლაშქარი მრავალჯერ დაამარცხა და სახლთუხუცესობა მიიღო, ზოგჯერ დიპლომატიურ დაეაღებებსაც ასრულებდა.

ერთგული სამსახურისათვის თეიმურაზ II მისთვის უბოძებია დროშის ვერცხლის თავი 1745 წ. წარწერით. დროშის თავის ორივე მხარეზე გამოსახულია ამხედრებული წმ. გიორ-

¹ ი. ბ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თბ., 15.

გი — ვეშაპის გამგმირავი. ერთ მხარეზე აწერია: „საქვენი თილმსახურმან მეფემან: თეიმურაზ: მიუბოძეთ დროშა ესე: დიდად ჩინებულსა: და ერთგულად ნამსახურსა: მუხრანსა: მუხრანის: ბატონს კონსტანტინეს“...

მეორე მხარეს: „წინა საძღვანად ოდეს ცხებულ ვიქმენით. საცხებელითა მეფეთთა, ნებითა ღთისათა თთვესა ოქტომბერსა: პირველსა დღესა, დღესასწაულისა, სვეტის ცხოველისასა“¹.

ამის შესახებ მოგვითხრობს პაპუნა ორბელიანიც². იგი 1756 წელს მცხეთის მახლობლად ღართის კარს ლეკებმა მოკლეს.

1783 წელს, ქ. გიორგიევსკში, რუსეთთან მეგობრობის ტრაქტატის დადებისას გარსევან ჭავჭავაძესთან იოანე მუხრანბატონიც მონაწილეობდა.

ამ საქმეში თავის გამოჩენისათვის ერეკლე II მისთვის 1784 წ. 27 ივლისის თარიღით წყალობის სიგელიც უბოძებია: „თქვენი ჩვენზე ერთგულობა და თავადებით ნამსახურობა რომ ვიცანით და უსამღვდელოესს რუსეთის და ჩვენის შერთების საქმეში კარგად და რიგიანად გაისარჯნით და კურთხეულის მამის თქვენის მუხრანბატონის სახლთუხუცესის კონსტანტინეს ნამსახურობაც რომ მოვიხსენეთ, გიბოძეთ და

¹ Е. Такайшвили, Серебряное знамя Мухранского владельца Константина 1745 г. (Изв. Кав. отд. Москов. археол. об-ва, вып. II, Тб., 1907, 117—118).

² ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, სანქტ-პეტერბურგი, 1854, 363 (ჩუბინაშვილის გამოცემა).

წყალობა გიყავით, თქვენის ოჯახის ნაქონის ჩვენს სახლბუფეობა და ამის გარდა მოგიბოძეთ ერევნის საშუალებლოს ღებერნატორობა, რომ ამით საქმე ყოველივენი კითხვით გარიგდებოდეს¹.

ივანე 1795 წლის კრწანისის ომის მონაწილეა. იგი 1801 წელს გარდაიცვალა.

ამით ვამთავრებთ ქსნის ხეობის სათავადოების ისტორიული წარსულის მოკლე მიმოხილვას, რომლის მართებული შეფასება მოცემული აქვს თვით მუხრანბატონის მემკვიდრეს შამუყა ერეკლეს ძეს თავის 1724—1725 წლის მინაწერში ყანჩაეთის ეამგულანზე: „საქართველოს დარბაისელნი: მუხრანბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახვარი... ერთმანეთის მტერნი და მოკიშპენი იყვნენ, არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა. თორემ თუ ამით ერთი პირი კჳონებოდათ, ვერც რას უზამდენ, ვერცა რას სხვა მტერი წაართმევდათ რასმე. ამითი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამქდაჩა. მაგრამ ამ საქმეს არც (მოპკლებიან) და არც მოუშლიათ“².

¹ საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დაცთარი 5, საბ. 70, დ. გ ე რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი — მუხრანბატონების დამოკიდებულება ქართლის სამეფოსთან (დასახ. შრომა, 359—383).

² Е. Такайшвили, Канчаевский «жам-гузани» и исторические приписки его княжства. (Сбор. мат. по опис. мест. и племен Кавказа), т. XXIX, Тб., 1901, 135—136.



ეროვნული
წიგნიწოდება

მავაჩიარეკი კარჯარის ძაბარეკი

ქსნის ბეობა საყურადღებოა მატერიალური კულტურის ძეგლებითაც: მათი შესწავლა-გაცნობა საშუალებას იძლევა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ბეობის კულტურულ-ეკონომიურ ვითარებაზე.

აქაური სოფლები და ძველი ნასოფლარი ადგილები ქსნის პირას არის განლაგებული. ბეობის სათავეებისათვის დამახასიათებელი იყო შეჯგუფული დასახლება. ხოლო ქვემოთ სოფლები უფრო გაშლილად იყო დასახლებული. ვრცელი ბალებითა და შემოღობილი კარმიდამოთი განსაკუთრებით გაღამაზდა ბეობის ქვედა წელი ჩვენს დროს.

ნასოფლარებსა და სოფლებსაც დღემდე შემოუნახავთ ძველი ისტორიული სახელები. მათ აღწერას ვიწყებთ ვახუშტის გეოგრაფიის მიხედვით, ქსნისა და მტკვრის შესართავიდან. საიდანაც იწყება ძველი ნასოფლარები: ნასტავისი, ნასპარსალი, ქადაგიანი, ციხისძირი და ქანდა. აღნიშნული ნასოფლარები მტკვრიდან მიყოლებული მუხრანამდის, ეტყობა, აყრილა ლეკიანობის გამო, ამას ისიც მოწმობს, რომ ვახუშტის გეოგრაფიაში ეს სოფლები დასახლებული და რუკაზედაც აღნიშნულია.




ნასტავისი და ნასპარსალი მდებარეობდა მტკვრის პირველი
 ქსნის შეერთების მახლობლად, შიომღვიმის ქვემოთ. მტკვრის
 მარცხენა მხარეს, რკინიგზის ხიდთან (ძველთან) მდებარეობდა
 დღეს უწოდება დიდვაკეს, რომელიც მდებარეობს ქსნის ცი-
 ხის სამხრეთით, სადგურ ქსნამდე. ვახუშტის ნასტავისი დასა-
 ხელებული სოფლების სიაში შეაქვს, რუკაზეცაა აღნიშნული.
 მხოლოდ გეოგრაფიულ აღწერაში გამოტოვებულია. ახლა ამ
 ადგილს უწოდებენ ნასტავისს. რაც შეეხება მეორე ნასოფ-
 ლარს, ნასპარსევს, ვახუშტის შეტანილი აქვს სოფლების და-
 სახელებაში (ვახუშტი, გვ. 199), აღწერაში და რუკაზედაც აღ-
 ნიშნული.

ვახუშტის აღწერით: „მტკვრის (ციხის) სამხრით, მტკვრამ-
 დე და ნასპარსევამდე, არს მინდორი ნასპარსევისად წოდე-
 ბული. ოდეს დაისხნენ თურქთა მოსვლასა სპარსნი, და მოს-
 წყვიდნა ალექსანდრე დიდმან, მათ გამო ისახელა. არს უწყ-
 ლობით უნაყოფო, არამედ ზამთრის ბალახიანი, და იზრდებიან
 ცხვართა და ჭოგთა სიმრავლე“ (ვახუშტი, გვ. 63).

ქადაგიანი ნასოფლარია. იგი მდებარეობს ქსნის მარჯვენა
 მხარეზე, ქსნის ციხის პირდაპირ. მას უწოდებენ საქადაგიანოს.
 ქართული მოსახლეობა აქედან აყრილა, აქ უცხოვრიათ ქადა-
 გიშვილებს, მათი ნაწილი გადასახლებულა აღაიანში (ლეკი-
 ანობის გამო). დარჩენილია მათი ნამოსახლარის ნაშთები, ჩაქ-
 ცეული ორმოები და ერთი ქვიტყირის ეკლესია, რომელსაც
 წითელ საყდარს უწოდებენ. ეკლესიის გარშემო მოსახლეობა
 არ არის.

ეკლესია დარბაზული ტიპისაა, კარგად ნაგები კლდის ქვით.

1 როგორც ზემოთ შენიშვნაში ვთქვით, სტავი ნიშნავს რუს სოფელს.



სურ. 4. ქსნის ეიხე

ქერი მალალთალოვანია. შესასვლელი კარი აქვს სამხრეთით. შერჩენილია აფურის ტრაპეზი. ტაძარი შიგ გალესილი და მოხატული ყოფილა. მხატვრობა შერჩენილია საეურთხეველის ცაზე, შუაში ზის ღვთისმშობელი, კალთაში უზის ყრმა ქრისტე, რომელიც ჭეარს გამოსახავს. გვერდით უღვანან ანგელოზები. მხატვრობა კარგად არის შესრულებული. მის ქვეშ სამ იარუსად გამოსახულია წმინდანები, ხელში გრაგნილით და მღვდელმთაერები, სხედასხვა პოზაში. მხატვრობა ვახუენებუ-



ლია და მკრთალი. ფრესკაზე შერჩენილია ასომთავრული წარწერილი ასოები. ეკლესიას აქვს მინაშენი, რომლის გეგმა ბათოვანი ჭერი ნაგებთა აგურით. ეკლესია გადახურულია ქვითი თელი კრამიტით.

ბიზანტიური

აღმოსავლეთის კედელზე, ზემოთ, ჩასმულია ოთხკუთხა ქვაფიქალი ასომთავრული წარწერით, რომელიც მოგვითხრობს, რომ ეკლესია აშენებული ყოფილა წმ. დემეტრეს სახელზე.

საქადაგიანოში დღეს აზერბაიჯანელებია, ნასოფლარის ქვემოთ, ქსნის პირას. მათი წინაპარი ყოფილა როსტომი ზეინ-ალოღლი, რომელიც სპარსეთიდან გადმოსულა კასპში და აქ ამილახერის მეცხეარედ დამდგარა. შემდეგ მიუღია თავისი გასამრჯელო და სამოსახლო ადგილი უყიდია საქადაგიანოში. მას ცოლად შეურთავს ციხისძირელი მამედოვის ქალი და მომრავლებულან. დღეს საქადაგიანოში როსტომის ჩამომავალი 70 კომლია და მათ როსტომიანთ ეძახიან.

ქსნის ციხე მდებარეობს ქსნის მარცხენა მხარეს, სოფ. საქადაგიანოს პირდაპირ. ამ ხეობაში ეს ყველაზე დიდი და მაგარი ციხეა, რომელიც მტრისგან იცავდა. მას ძველად ეწოდებოდა მტკვრისა და მტუერის ციხე, შემდეგ—კონსტანტილაბათის ციხე. დღეს კი—ქსნის ციხე¹. იგი აშენებულია მაღალ ბორცვზე და ამჟამად გადასცქერის ქსნის ხეობის არეზარეს. ციხე ძნელმისადგომია, ღრმა ხევეებითაა გარშემორტყმული. მისავლელი ბილიკი ადის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ვახუშტის აღწერით: „ციხის-ძირს, სამხრით, არს ციხე მტკვრისა, სარკინეთის შთასავე ზედა, რომელი აღაშენა მეფე

¹ პ. ზაქარაია, ქსნის, მჟაფერისა და მუხრანის ციხე-სამაგარეები, საქ. მეზღვევის შოამბე, ტ. XVIII, თბ., 1934, 159.



კონსტანტინეს ძემან ბაგრატი (ვახუშტი, გვ. 63).
 ტორიულ მიმოხილვაში აღნიშნეთ, ქსნის ციხე (მტკვრის ცი-
 ხე) აღადგინა და გაამაგრა ბაგრატმა¹. პირველი მანუა-
 ტონმა, 1512 წელს, როდესაც იგი ებრძოდა კახეთის მეფეს
 ავ-გიორგის ქართლის ტერიტორიის შიდაცემის გამო. ბაგრატ-
 მა პატიმარყო ავ-გიორგი მტკვრის ციხეში. სადაც ავ-გიორგი
 მოკლეს 1514 წელს. ციხე მრავალი ომის მომსწრეა, რის გამო
 დაზიანდა. XVIII საუკუნეში ლეკიანობისაგან თავდასაცავად
 იგი თითქმის ხელახლა აუგია მუხრანბატონ სახლთუხუცეს
 კონსტანტინეს, რასაც მოწმობს ციხის ჩრდილო-დასავლეთის
 კარის თავზე ჩასმული ქვაფიქალი მხედრული წარწერით:

ქ. ლ. ოს მინდობით ჩვენ მუხრანბატონმა
 სახლთუხუცესმან კონსტანტინემ აღაშე-
 ნეთ ციხე ესე დავსდევით სახელად კო
 ნსტანტალაათი მტერთა მბრძოლთა
 განმანვეულად რათა შევიდრნი მამუ
 ლთან არ წარტყუენილ იქმნენ.
 ქს აქათ ჩღმე: ჭეს: ელდ:.

ორივე თარიღი იძლევა 1746 წელს.

ერთი სიტყვით, ქსნის ციხე დღევანდელი სახით აღდგენი-
 ლია და განახლებული სახლთუხუცესის — კონსტანტინე მუხ-
 რანბატონის მიერ.

ქსნის ციხის დასავლეთის მხარე ჩამონგრეულია, ამის გამო
 ძნელი ასასვლელია. ციხე ნაგებია რიყის ქვით. ძველი კედელი

¹ იმ საკითხის გასარკვევად, ბაგრატმა მტკვრის ციხე ააშენა თუ აღად-
 გინა, უფრო მართებულია მიგვაჩნია დ. გვრიტიშვილის მტკიცება, რომ
 ბაგრატმა იგი აღადგინა და არა ააშენა. (იხ. მისი ფეოდ. ურთიერთ. ისტორი-
 იიდან, 359—360).



ზოგან ეტყობა. ციხე მთლიანად ხელახლად არის აგებული. რედან რივის ქვის წყობაზე დატანებულია აგურის თენა კარ-
შემო წრეებად შემოვლებულ კედლებსა და კოშკებს. **საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტრო**

ციხის შუა მოედანზე გამართულია ხარო, რომელიც კარ-
გად არის ამოღესილი. მისი სიღრმე უდრის 7—8 მეტრს. ხა-
როს ერთ მხარეზე დატანებულია თიხის მილი.

სამხრეთ-აღმოსავლეთით ოთხსართულიანი კოშკია. პირვე-
ლი სართული მარანიია, ჩაფლულია ქვევრები, მესამე სართუ-
ლი საცხოვრისი ოთახია, გაქართულია ბუხარი, განჯინება,
სარკმლები და სათოფურები. მასვე აქვს შესასვლელი კარი,
რომელიც გამოდის ციხის ეზოში. მეოთხე სართული საომარ-
ია — ჩარდახებითა და სათოფურებით გამართული.

ციხე-გალაენის დასავლეთის მხარე ჩამონგრეულია, შესას-
ვლელიც აქედან უნდა ყოფილიყო; დასავლეთის კოშკიც დაწ-
გრეულია, დარჩენილია მისი ჩრდილო-დასავლეთის კედლის
ნაწილი, რომელსაც შერჩენილი აქვს შესასვლელი კარი მეორე
სართულზე; კარის თავზე ჩასმულია ფიქალქვა მხედრული
წარწერით ციხის მშენებლის — კოსტანტინე მუხრანბატონისა.

ჩრდილო-აღმოსავლეთით ოთხსართულიანი მრგვალი კოშ-
კია, რომლის პირველ სართულში მრგვალივე სათავესთა, იგი
დირევი უნდა იყოს (სატუსალო). ზემო სართულებში გამარ-
თულია ბუხარი, სარკმლები და სათოფურები ქონგურებით.

ციხის გალაენის კედელი მაღალია, ნაგებია რივის ქვით, გა-
მაგრებულია ვარდან ბურჯებით.

ქსნის ციხის საბრძოლო თავგადასავალსა და გმირობაზე
არსებობს არა ერთი თქმულება. საილუსტრაციოდ აქ მოვიყვანეთ
ქართლის ცხოვრებიდან ერთ ეპიზოდს: „პატრონმა კახეთისა-
მან ავ-ვიორგი სპითა თვისით წარმოემართა და მიადგა მტუერის



ციხესა, ადგა ვიდრე სამ თვემდე. მერმე მოუვლინა კაცი ერთი ავ-გიორგი და გაუგზავნა ღვინო ერთი ჯიქლი და შეუთვალა (ბაგრატს) ვითარმედ: „ძე ხარ მტვერისა და უღვინოებითა მიგჭირდეს, და სუი ესე“ და ვითარცა მიართვეს ბაგრატს სიტყვა ესე, მას ჰქონდა ორაგული ახალი და ღვინისა წილ თეეზი გამოუგზავნა და შემოუთვალა: „ხანია, რომე ღვეხარ პირსა ქსნიისასა, და ვერ გიშოვნია ორაგული, და აწ ესე იკმიე და წარეედ ქუეყანასა შენსა.

მაშინ სცნა სიმრავლე საზრდელისა მათისა, აიყარა და წარვიდა...

ბაგრატმან პატიმარჰყო ავ-გიორგი მტვერის ციხესა, რომელ არს მუხრანს¹.

ციხის ძირი ძველი ნასოფლარია, იგი მდებარეობს ქსნის ციხის ქვემოთ. მთის ფერდობზე, ქსან-მუხრანის შარავგზაზე. მას საკმაო დიდი ფართობი უჭირავს. ნამოსახლარის მიხედვით ეტყობა ქსნამდე ჩადიოდა. იგი მოზრდილი სოფელი ყოფილა ნასახლარის ჩაქცეული ორმოების მიხედვით. დღესაც ეს ფართობი დაუსახლებელია, დარჩენილია თითქმის ერთი ზომის სამი პატარა ეკლესია. ორი მათგანი ერთიმეორესთან ახლოსაა; ერთი წინაა, მეორე კი — უკან. ორივე ნაგებია რიყის ქვით, დულაბით; ორივეს წინ მხარე. საიდანაც შემოსასვლელია, შემოზღუდული აქვს კვიტკირის ვალაენით, ორივე ეკლესია დარბაზულია.

მესამე ეკლესია ცოტა მოშორებით დგას, იგი შედარებით ძველია, ნაგებია კლდის ქვით და გადახურულია ქვით.

ეტყობა, აქ ძველად ცხოვრობდა სამი საგვარეულო და

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, 351, 489.

ეკლესიაც სამ გვარს ეკუთვნოდა, შეიძლება სოფელი სა-
უბნად იყო გაყოფილი, თითოეულ უბანს ჰქონდა თავისი ეკ-
ლესია.

ერეკლესია

არც ერთი ამ ეკლესიის სახელწოდება აქ არ იქნება: ცხხხხხხხ
ძირში დღეს ქართული მოსახლეობა არ არის: ლეკიანობისაგან
ეს სოფელი ამოწყვეტილია, უმეტესი მათგანი მუხრანში გა-
დასახლებულა.

ციხისძირის ამ ძველი ნამოსახლარის ზემოთ, მაღალ მთაზე
დგას ქვიტირის ეკლესია, რომელსაც წმინდა გიორგის უწო-
დებენ. ნაგებია კლდის ქვით, დარჩენილია მისი სამი კედელი.
დღეობა „გიორგობა“ იცოდნენ ორჯერ — ნოემბერსა და აპ-
რილში. მას ბევრი მლოცავი მოუდიოდა: ძალისიდან, მუხრანი-
დან, ქანდიდან, წეროვანიდან და სხვა.

დღეს ძველი ციხისძირის დაბლობზე აზერბაიჯანელები
ცხოვრობენ. ზედ თბილის-გორის შარავზაზე. სოფელში
85 კომლია. მათი წინაპარი მაჰმადი გადმოსულა დმანისის მხარი-
დან (სარკანიდან) და მუხრანბატონს იგი მწყემსად აუყვანია
(საქონლის მოურავი იყო). მუხრანბატონს იგი დაუსახლებია
ციხისძირში. მას ჰყოლია ცხრა ვაჟი და, მრავალცოლიანობის
წყალობით, ჩქარა მომრავლებულან. ქართული იციან, სკოლაც
ქართული აქვთ. ცხოვრობენ კარგად, თითქმის ყველას უდგას
ორსართულიანი ქვიტირის სახლი, ქალაქურად გამარ-
თული.

აქ მიწა ნაყოფიერია, მისდევენ მებაღეობა-მევენახეობას,
რაც კარგ შემოსავალს იძლევა.

მაჰმადის ჩამომავალთ ახლა მამედოეებს უწოდებენ.

ძველი ქანდა მდებარეობს ციხისძირის მახლობლად, ორი
კილომეტრის დაშორებით, დავაკებულ ფერდობზე, თბილის-

გორის შარავნის მარცხენა ნაპირას. ძველ ქანდაკ ნაწილებ-
ლარზე დარჩენილია მარტო ეკლესია.

ვახუშტის რუკაზე ქანდა აღნიშნულია. სოფლებზე სკანსა
და გეოგრაფიულ აღწერაში არ იხსენიება. ეტყობა, ირანელებს
ნასოფლარი ყოფილა.

დღეს ქანდა ორია — ძველი და პატარა ქანდა. პატარაში
ქართველებია, ძველში კი აისორები ცხოვრობენ. ძველი ქანდა
გზის პირას არის და ორასი კომლი აისორი ცხოვრობს.

მათი გვარებია: ხოშაბაევი, ავახანოვი, სირდავა, ჩუვიანო-
ვი და სხვა.

აისორები ოჯახში თავიანთ ენაზე მეტყველებენ; დღეს კი
ქართული სკოლა აქვთ და ქართულადაც ლაპარაკობენ.

მათი გადმოცემით, აისორები აქ დასახლებულან ასი წლის
წინათ, გადმოსულან ურმიიდან. თურქებთან ბრძოლის დროს,
რუსებს, როგორც ქრისტიანები, გადმოუსახლებიათ (გამოქ-
ცეულები თუ ტყვეები); მათგან ოცი ოჯახი მუხრანბატონს,
მთავრობის თანხმობით, დაუსახლებია ძველ ქანდაში. როგორც
ხოზნები, მუხრანბატონს აძლევდნენ ღალას — ჰექტარზე ზუთ
მანეთს. თუ მოსავალი არ მოვიდოდა (გვალვა, სეტყვა, და
სხვა), ღალას არ გვართმევდაო.

ძველ ქანდას ზემო ნაწილიც მუხრანბატონს აისორებისათ-
ვის შეუძლევია, მაგრამ უფულობის გამო ვერ უყიდიათ, შემ-
დეგ გერმანელი კოლონისტებისათვის მიუყიდია (ეტყობა, ბან-
კში ჰქონდა დაგირავებული).

1944 წელს, ფაშისტურ გერმანიასთან ომის დროს, ისინი
აქედან გაუსახლებიათ, მათ მამულზე ახლა ქართველები და
აისორები დასახლებულან.

ოქტომბრის რევოლუციამდე მუხრანბატონი ნებას არ გვა-



ძლევდა კარგი სახლები აგვეშენებინა, რომ მამული და საკუთრებინაო, — ამბობენ ისინი. ამიტომ მიწურ სახლებში ცხოვრობდნენ. დღესაც შემორჩენილია ძველი ტიპის სახლი სამი სახლი. იგი ეკუთვნის მიზეილ ხოშაბაევს. რაა და დაბალი, ბანიანად თიხაშიწითაა გაღესილი, ურევია ბზეც. შედგება ერთი ოთახისაგან, რომელსაც აქვს ერთი კარი და ერთი საჩქმელი.

მიწური ქოხები დაუნგრევიათ და ახლა ცხოვრობენ ორ-სართულიან, ქალაქური ტიპის სახლებში.

აქაური აისორები ძირითადად მისდევენ ხელოსნობას, დურგლობას, უფრო მღებავები არიან (მხატვრებს უწოდებენ).

ენევიან აგრეთვე მებაღეობასა და მევენახეობას. მუშაობენ საბჭოთა მეურნეობაში, მცხეთის სახელმწიფო სანერგეში, ვაზსა და ყოველნაირ ხილს ახარებენ.

ისტორიული ძეგლებით ქანდა ღარიბია. დარჩენილია ძველი ქანდას ნასახლარზე, სოფლის გაღმა, გზის პირას, ძველი ეკლესია და სასაფლაო. ეკლესია ნაგებია რიყის ქვით, ურევია აგურიც, ერთნაევიანია, გადახურულია აგურით. მას უწოდებენ „ღვთისმშობელს“. აქვეა სოფლის სასაფლაოც. საფლავის ლოდებზე გამოსახულია დაბალი ხელოვნებით ქალები და კაცები ქართულ ტანსაცმელში.

აისორების ლოდებზე აწერია ერთ მხარეს აისორულად (სირიულად), მეორეზე კი — ქართულად (უზის თარიღი — 1890, 1897 წწ.).

ამ ეკლესიის სამხრეთით არის მეორე პატარა ეკლესია, დაახლოებით ორასი მეტრის დამორებაზე. იგი ნაგებია რიყის ქვით, ერთნაევიანია. ჩრდილოეთის კედელზე ჩატანებულია სომხური წარწერა, რომელიც ძნელად იკითხება. დასავლეთის კარის



ზემოთ ჩატანებულია ორი ქვაფიქალი; ერთზე ამოჭრილი ერთ-
 თი სომხური ჭვარი (ზანქარი), მეორეზე კი საში იქვე
 ჭვარი, უფრო პატარაა, ერთ შუკრივზე და ერთი შუკრივზე
 მუხრანი ქსნის მარცხენა მხარეზეა იგბ. მღვდ. მღვდ. მღვდ.

გაშლილ ვაკეზე და მას დიდი ფართობი უჭირავს. მისი სახელ-
 წოდება დაკავშირებულია მუხროვანთან, რაიც ნიშნავს მუხის
 ტყით დაფარულ ადგილს.
 ვახუშტის აღწერით: „მუხრანი, ორი არაგვი, ქსნის ხევი და
 მამული მისი მესამე სასპასპეტოსი არს. ხოლო მუხრანმან
 მოიგო სახელი ესე მუხათაგან, სადაც არს ადგილთა ამა შინა
 ტყე უმეტეს მუხანი, გარნა საზღვარი მუხრანისა, არს ძეგვის-
 წყლიდან დიღმის იწრომდე. არამედ აწ აღმოსავლით მზღერის
 არაგვი, სამკრით მტკვარი, ჩრდილოთ ციხე ზოდანისა და ტი-
 ნის მთა, დასავლით გორა ოკამისა სამკრითყენ გადაჭრილი
 ხაზი შავ ტყესა და წლევისა კასპის ბოლომდე“ (გვ. 60).

ამ აღწერიდან ჩანს, რომ სამუხრანო შედიოდა მესამე სასპას-
 პეტოში და მოიცავდა საკმაოდ დიდ ტერიტორიას—არაგვიდან
 „დიღმის იწრომდე“ იგი იყო მუხრანბატონების რეზიდენცია
 და, როგორც დიდ სათავადოს შეეფერებოდა, მათ აქ ჰქონდათ
 სასახლე, ციხე-გალავნითა და კარის ეკლესიით. მხოლოდ სხვა
 მეზობელ სათავადოებთან შედარებით მუხრანი ღარიბია პირო-
 ველხარისხოვანი მონუმენტური ძეგლებით. შეიძლება ეს იმით
 აიხსნებოდეს, რომ აქ ადგილი ჰქონდა მტრის ხშირ შემოსე-
 ვებს და ზოგჯერ საომარ ასპარეზადაც იყო გადაქცეული.

მუხრანის ველი ნაყოფიერი და მდიდარია ბუნებრივი პირო-
 ბებით. ამას აღნიშნავს ვახუშტიც, რომელიც ამბობს: „არამედ
 ესე მუხრანი ფრიაღ შემკული არს ზამთარ სითბოთი, და მე-
 ფეთა სადგური, ბალახ-ჩალიან-ლერწმოვანი, ზაფხულ მშვენი.

კეთილ აგარაკოვანი, ციენი წყარონი, ჰავით მშვენი, მოსახლე-
მტილითა, წალკოტითა, ვენახითა, თესლ-მარცვლითა, მრავალ
ნაყოფიერებს. პირუტყვნი, აქლემის გარდა, ყველაფი მრავალ-
ნი, რამეთუ ზამთარ ბალახთა მძოვარნი არიან. ფრინველნი მრავალ-
რეულნი და შინაურნი მრავალნი, სანადირონი მრავალნი და მსხვილნი
სახლობენ გვარიანი აზნაურნი და კაცნი მკნენი და მებრძოლ-
ნი“ (ვახუშტი, გვ. 64).

დღესაც მუხრანი და მისი მიდამო სახელმძოვნილია თავი-
სი ბალ-ვენახებითა და საქვეყნოდ განთქმული მუხრანული
ღვინით.

ამიტომ მუხრანის მდიდარ ველებს მტერიც ეტანებოდა და
მოსახლეობაც აქედან შთაში იხიზნებოდა. ასე იყო მონღოლ-
თა შემოსევისას, შაჰ-აბაზისა და, განსაკუთრებით, ლეკთა
თარეშის დროს, ვინაიდან აღმოსავლეთიდან შემოპარული
ლეკთა ბრბო შიდა ქართლში სალაშქროდ მომავალი სამუხრან-
ბატონოს ვერ ასცდებოდა, ამიტომ ეს მხარე ლეკთა თარეშე-
ბისაგან დიდ დარბევა-აოხრებას განიცდიდა. ამას მოწმობს
კონსტანტინე მუხრანბატონის წარწერები მუხრანისა და მჭა-
ლისჯვრის ციხეებზე. ამასთანავე ის მრავალი ნასოფლარი,
რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა აღნიშნული (ნასტაგი, სა-
ქადაგიანო, ციხისძირი, ქანდა და სხვა).

მუხრანბატონები ცდილობდნენ თავიანთი სოფლის მცხოვ-
რებლების შენარჩუნებას, რომ მამული არ გაპარტახებულყო,
იგებდნენ ციხე-გალაენებს თავშესაფარად. სხვადასხვა მხრიდან
გამოქცეულ გლეხებს იღებდნენ, ზოგან უცხო ტომისასაც
ასახლებდნენ — ოსებს, აისორებს და სხვა.

მუხრანი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მუხრანბატონე-
ბის (ბაგრატიონების) რეზიდენცია იყო. დაცულია მათი სასახ-

ლევბიც; ერთია ესტატესი, რომელშიც მოთავსებულია საავად-
მყოფო. შენობა ორსართულიანია და შიგ გალავნა კენჭოვანი
მიშენებული. მეორე სართულის კარი შედის კოშკის მეორე
სართულში.

მეორე არის ედიშერიათ ნიკოს სასახლე (შემკრეპისძეძე
მონაწილე). იგი სამსართულიანია და მასში საშუალო სკოლაა
მოთავსებული.

მესამე, ყველაზე კარგი, ევროპულ ყაიდაზე ნაგები, ეკუ-
თვნის დიდ ივანე ბატონს (დადიანის სიძე იყო). სასახლე სამ-
სართულიანია და მასში მოთავსებულია სასოფლო-სამეურნეო
ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიები. სასახლეს აკრავს დი-
დი ხეივანი, ეზოში ინსტიტუტის სხვადასხვა ნაგებობაა — სა-
ცხოვრებელი ბინები, საწყობები, მარნები და სხვა. აქ ძირი-
თადად შევინახობასა და მეღვინეობას ეწევიან.

მუხრანბატონის დიდი ზეურები და მამულები ინსტიტუტის
განკარგულებაშია.

მუხრანის მამულში მოსახლე გლეხობა მეზატონეს ბეგარას
უხდოდა ფულით ან ნატურით. ფულით წელიწადში იყო ათი
მანეთი, ნატურით — 5 კოდი პური, ვენახიდან — მეოთხედი
გოდორი ყურძენი.

აქაურ მეზატონეთა ურთიერთობაზე ყმაგლეხებთან კარ-
გად მეტყველებს ხალხური ლექსიც:

მუხრანბატონის ყმობითა
ფვილო ვერ დავდგი კოდითა,
ვერც ლურჯი ზობა ჩაიცივი,
ვერც ახალუხი — ქობითა,
ვერც დავაფლო გაეხადნე,
ვერც კალო ვლევე მოზერითა.



სურ. 5. მუხრანის ციხე-გალაქანი

ძველი ისტორიული ძეგლებით მუხრანი ღარიბია. დაცულია მუხრანის ციხე-გალაქანი, რომელიც XVIII ს. პირველ ნახევარს მიეკუთვნება.

გალაქანი ნაგებია რიყის ქვით, ოთხკუთხაა და უჭირავს დაახლოებით ერთი ჰექტარი ფართობი. გალაქანს ზოგან თავი აქვს მორღვეული. აღმოსავლეთით გამართულია შესასვლელი კარი. კარიბჭეზე, მაღლა, ჩასმულია მოვარდისფრო ფიქალქვა, მხედრული წარწერით, საბლთუხუცესის კონსტანტინესი. წარწერა დათარიღებულია 1756 წ. „ჩვენ მუხრანის: ბატონ და საბლით: უხუცესმან: პატრონმან კონსტანტინემ: აღვაშენე: გალაქანი: ესე და: ბურჯნი: შიოს: უბანი: წარსაგებელთა: საფასითა: ჩემითა: და: მრავალშრომითა: ეამსა: ამას: ოდესცა: მტერნი: ურჯულონი: მძლავრობდენ: ქვეყანას. ქართლისასა:


ადგილ (დ) ადგილად: მოოხრებულ: იყო: სოფელნი და დაბანი: და: ესეცა—შიოს-უბანი: მკვიდრთაგან: თვისთა და სოფელნი იყო: და: მიმოდაბნეულ იყვნენ: მოსახლენი: ამხსნი: და: მე: შემოვკრიბენი: და: მოვზღუდენ: ქვიტკირითა: მკვიდრებელი: იყო: პაპის: პაპათ: ჩემთა“ და სხვა. წარწერის ბოლოს ქვა გამოფიტულია, წარწერა და თარიღიც გაურკვეველი.

ლექების გამინადგურებელ თარეშზე მოგვითხრობს ამავე კონსტანტინეს წარწერა მქადისჯვრის ციხეზე, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „მოოხრებული იყო ქვეყანა ქართლისა ლექთაგან და თვინიერ ციხეთა არსად გვედგომებოდა კაცთა, სოფელი და დაბაც ოხერ კმნილ იყო“.

ორივე წარწერა მეტყველებს, თუ რარიგ აოხრებას განიცდიდა მუხრანის მოსახლეობა მტრის შემოსევისაგან, განსაკუთრებით ლექთა თარეშისაგან და კონსტანტინე მუხრანბატონს მათს დასაცავად მუხრანში ციხე-გალავეანი აუგია.

გალავეანს აქვს ოთხი კოშკი, ოთხივე კუთხეში, შიგ გალავანზე გამართულია ბაქანი სათოფურებით. სამი კოშკი ერთნაირია სიმაღლითა და კონსტრუქციით. კოშკის პირველი სართული ყრუა. მეორე სართულს შესასვლელი კარი აქვს გალავნის ეზოდან. კოშკი ნაგებია რიყის ქვით. კარისა, სათოფურებისა და სარკმლის ჩარჩოებში კი აგურია გამოყენებული. შიგ გამართულია ბუხარი. ქერი გუმბათოვანია და აგურით ნაგები. შიგვე კედელზე გამართულია აგურის კიბე ზემო სართულზე ასასვლელად. შუქისათვის დატანებულია ორი სარკმელი.

კოშკის მესამე სართული საბრძოლოა, რომელსაც გარშემო აქვს ქონგურები, სათოფურები, ქვემოთ კი ხუთი ჩარდახი.



მეოთხე კოშკი მოთავსებულია ჩრდილო-აღმოსავლეთით იგი მაღალია და ოთხსართულიანი, ფორმით მრგვალი, კონსტრუქციები მორღვეული აქვს, ნაგებია რიყის ქვით, მხოლოდ კონსტრუქციები, ჩარდახები, კარის ჩარჩო და შიგნით კიბეები აგურით. პირველ სართულზე, შუაში, გამართულია ჭა, რომელიც აგებულია აგურით, მასში წყალი ახლაც დგას. ზემოდან ჭას აქვს ფეხის დასადგამი ორი ნიში; ამბობენ, ამ ჭიდან გვირაბი გადის სამ დანარჩენ კოშკში.

მეორე სართული თაღოვანია, შიგ გამართულია ბუხარი და აგურის კიბე ჭაში ჩასასვლელი. კარი აქვს დასავლეთით და გადის გალავნის ეზოში.

მესამე სართული საცხოვრისი დარბაზია, გალესილი და შეთეთრებული; შესასვლელი კარი აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთით, განიერი სარკმელი და ერთი მოჩუქურთმებული ბუხარი. კედლებში დატანებულია სათოფურები.

ეტყობა, ამ სართულს მუხრანბატონი საცხოვრებლად იყენებდა ზაფხულობით. ზედვე მიუშენებია ორსართულიანი სახლი, საიდანაც კარი შედიოდა ამ კოშკში. მეოთხე სართული საბრძოლოა; იგი ღიაა, გარშემო აქვს კონსტრუქციები, ასასვლელი კიბე აგურისაა და შიგვე კედელზეა გამართული. გარშემო სათოფურებია, ქვემოთ კი — ჩარდახები.

ამ კიბე-გალავანს უკანასკნელად ფლობდა ესტატე მუხრანბატონი და შიგვე უცხოვრია კოშკზე მიშენებულ ორსართულიან სასახლეში. გალავნის სამხრეთ კედელზე მას მიუშენებია ქვიტყირის გრძელი ერთსართულიანი მარანი, რომელიც ახლა დაშლილია. მარანში ჩაფლულია ორმოცამდე დიდრონი ქვევრი.

გალავნის შიგნით, ჩრდილოეთის კედელთან, სასახლის (ახ-

ლა საავადმყოფოა) გვერდით. აშენებულია ეკლესია, საელსაც „ორსაყდრების“ ეკლესიას უწოდებენ. იგი მხატვრულია, დარბაზული ტიპისაა, ფრეზია რიყის ქვაზე, მოყვანილია აგურის ჯვრები და ფიგურები. აღნიშნულია ქართული კრამიტით და ზედვე, დასავლეთის მხარეზე დაშენებულია ოთხსვეტიანი სამრეკლო.

ეკლესია XVIII საუკუნეშია აგებული გალაგანთან ერთად. შიგნით მაღალთაღიანია, ვალესილი და მოხატულიც ყოფილა. შიგ გაუმართავთ ფურნე, რომლის კვამლისაგან მხატვრობა გაბოლილია და წაშლილი.

ეს ციხე-გალაგანი არ იყო სასოფლო; იგი მუხრანბატონის საცხოვრისია, რომელსაც სათავადოსათვის დამახასიათებელი ანსამბლი ჰქონდა: ციხე-გალაგნის, სასახლე, კარის ეკლესია, მარანი და სხვა სათავსები თავისივე შინამსახურებით. ამ ციხე-დარბაზის პირდაპირ ყოფილა დიდი სასოფლო გალაგანი. რომელსაც ორ ჰექტარზე მეტი ფართობი სჭერია.

ამ გალაგანში მოქცეული ყოფილა სომხებისა და ქართველების ეკლესია „ღვთისშობელი“. გალაგნის კედლის ნაშთი ახლაც არის შემორჩენილი, შიგ მრავალი სახლია აშენებული. ამ ციხე-გალაგანში თავს აფარებდნენ გლეხები და მუხრანბატონის ყმები.¹

ღღეს მუხრანი დიდი და შეძლებული სოფელია. მოსახლეობა ორ ათასამდე კომლია. მუხრანის სოფლსაბჭოში შედის: მუხრანი, ციხისძირი, ძველი და პატარა ქანდა, სადაც მოთავსებულია მუხრანის მეურნეობის დირექცია.

¹ ამ ციხე-გალაგნისა და კოშკების გეგმა მოცემული აქვს პ. ზაქარაიას თავის ნაშრომში — ქსნის, ჭადიჯვრისა და მუხრანის ციხე-სიმაგრეები. საქ. მეზ. მოამბე, თბ., 1954, № XVIII, 145, 147, სურ. 9, 12.

ლა მის ყანა მღებარეობს ქსნის მარჯვენა მხარეზე, ზრდილი სოფელია, — 545 კომლი. აქ არის სასოფლო საბჭო, რომელშიც შედის ლამისყანა, თეაური და ხეითი. მარჯვენა მხარეზე აქ ცხოვრობენ ბენაშვილები, ქენჭაძეები, ლეჩხუაძეები, ბი, გარაყანიძეები, გვირიტიშვილები, ფაველენიშვილები და სხვა.

აქ ორი მებატონე ყოფილა — ორბელიანი და ერისთავი. მათი კარმიდამოც დარჩენილია. ერისთავის სახლში საშუალო სკოლაა, ორბელიანისაში — სოფლსაბჭო, პატარა საავადმყოფო, კოლმეურნეობის კანტორა, ფოსტა და სამკითხველო.

სოფელი გორაკზეა გაშენებული. მას ქსნის მხარეზე აკრავს დიდი ვაკე, სადაც სახნავ-სათესები და ბაღებია.

აქაური კოლმეურნეობა ძირითადად ეწევა მემინდერეობა-მევენახეობას, ნაწილობრივად — მესაქონლეობასაც.

მოსახლეობა შეძლებულად ცხოვრობს. სახლები აქვთ ქვიტკირისა, უმეტესად ორსართულიანი, ქალაქურად მოწყობილი. გზა მიდის იგოეთიდან. დადიან ავტობუსები: თბილისი-ლა-მისყანა და კასპი-ლა-მისყანა.

ისტორიული ძეგლებით ღარიბია. მათი არსებობის კვალიც არა ჩანს. არის ერთადერთი ციხე-გალავანი, რომელიც ჰკუთვნება ორბელიანს. როგორც წარჩინებულ ფეოდალს შეშვენოდა, მას შიგვე ჰქონია კარის ეკლესია, სასახლე, მარანი, მაიცივარი და სხვა.

ორბელიანის სახლი ორსართულიანია. ევროპული ყაიღისა, ნაგებობის მხრივ საინტერესოს არას წარმოადგენს.

ციხე-გალავანი ნაგებობის მიხედვით, მიეკუთვნება XVII—XVIII სს., აშენებულია რიყის ქვით, კედელი გალავანს საკმაოდ მაღალი ჰქონია (7—8 მეტრი), ზოგან მორღვეულია. გალავანს ოთხივე კუთხეში აქვს მრგვალი კოშკი. ორი კოშკისათვის

მესამე სართული მოუხსნიათ და დაუშენებიათ საკათედრო ტაძარი
სახლის მეორე სართული.

ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკი დაცულია, მაგრამ სარკმელი
და სამსართულიანი.

პირველი სართულის კარი გადის გალავნის ეზოში. აქვს
ბუხარი, ორი ნიში და სათოფურები.

მეორე სართულსაც აქვს ბუხარი, სათოფურ-სარკმელი. მი-
სი კარიც გადის გალავნის ეზოში.

მესამე სართული საომარია, აქვს ქონგურები, სათოფურება
და სარკმლები.

დანარჩენი კოშკებიც ასეთივე კონსტრუქციისაა. გალავნის
კედლებში დატანებულია სათოფურები. გალავანს ერთი შესა-
სვლელი კარი აქვს ჩრდილოეთიდან. მარჯვნივ მიშენებულია
ერთნაეიანი ეკლესია, რიყის ქვით აშენებული. ეკლესია არ არის
ძველი ნაგები. მას წმინდა გიორგის უწოდებენ. გალავნის კა-
რის მარცხნივ მარანია მიშენებული.

ამის უკანასკნელი მფლობელი ყოფილა საშა ორბელიანი,
რომელსაც მამული ატენშიც ჰქონია.

აქაური გლეხები მებატონეს უბდიდნენ წელიწადში: ყანის
მოსავლიდან — მეოთხედს, ვაზიდან — ნახევარს.

ამ გალავნის იქით ყოფილა უფრო დიდი გალავანი. რომელ-
შიც ლეკიანობის დროს სოფლის მოსახლეობა იხიზნებოდა. ახ-
ლა დაუშლიათ და სოფლის ახალი უბანი ჩასახლებულა. გა-
ლავნის კვალი აქა-იქ ახლაც შერჩენილა.

სოფლიდან ორი კილომეტრის დაშორებით. დაბლა ქალა-
ში, ქსნის მახლობლად, გამოდის წყარო, რომელსაც გურამი-
შვილის წყაროს ეძახიან (როგორც ცნობილია, ლეკებმა აქე-
დან გაიტაცეს დავით გურამიშვილი).

ლამისყანაში იცოდნენ დღეობა 28 იელისს — „ილმობისა“ (უნდა იყოს იელიტობა). მისი ნიში ზედველას ტყეშია, რომელიც სოფლიდან დაშორებულია ორი კილომეტრით. მისი შეთქმული ჰქონდა, აქ მოჰყავდა მამალი, ზოგს — ზეზუნა და ლოცულობდნენ.


იცოდნენ აგრეთვე გიორგობა ორჯერ — გაზაფხულსა და შემოდგომაზე. მისი ნიში იყო ე. წ. გარაყანიანთ ქედზე.

ლამისყანაში ყოფილა კომუნაც, რომელიც დაუარსებიათ 1924—1925 წლებში. მისი დაარსების ინიციატორი იყო სამთავისელი გიორგი უზნაძე (სამთავისის კომუნის დამაარსებელი). ეტყობა, ლამისყანის კომუნა ყოფილა მისი ფილიალი.

კომუნა მოუთავსებიათ ორბელიანის ციხე-დარბაზში, სადა ორბელიანის ორსართულიან სახლში. კომუნაში გაერთიანებული ყოფილა 30 კომლი და არსებობდა ექვს წელიწადს. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დროს კომუნა დაშლილა და კოლექტივში გაერთიანებულია.

ქსოვრისი მდებარეობს ქსნის მარცხენა მხარეს; თბილის-მუხრან-ლენინგორის შარავზე, წარსულში იგი იყო სასაზღვრო სოფელი სამუხრანოსა და ქსნის საერისთავოს შორის. ვახუშტის რუკაზე ქსოვრისი აღნიშნულია, როგორც აზნაურის რეზიდენცია.

ვახუშტის ცნობით, ქსოვრისიდან გაყვანილი ყოფილა რუ. რომელიც რწყავდა ფართო მინდვრებს: „ქსორისი, მუნ არს აღებული რუ. და რწყავს ორთა ამათ მთათა შორისთა მინდორთა სარკინეთისა და ციხე ბოდავის მთათა შორისთა მინდორთა და ნაყოფიერებს მით ფრიად“ (ვახუშტი, გვ. 63—64).



სურ. 6. ქსოვერის ციხე-გალავნის კოშკი

ქსოვერისი დიდი სოფელია, სადაც ცხოვრობს 300 კომლი. აქაურ გეარებში ყველაზე მეტია ლასხიშვილები და მახარაშვილები.

ლო ქალწული, სასოო ყოველთა ქრისტიანეთაო, მონა-
მან შენმან და შეწევნისა შენისა მოქენე-მან რატისა გილ-მან
ზურაბ და თანამეცხედრე-მან ჩვენ-მან სოლაღა შევდეს და დელ-
მან ანნა, აღვაშენეთ და შეგიმკვირთ ტაძარი ესე სასწაულ-
ზედა, რათა მეოხ გვექმნე მეორედ მოსელასა — მას საში-
ნელსა ძისა შენისა და მარჯვენით ცხოვართა-თანა აღრა-
ცილ გვეყო: აღეშენა მეფობასა ქართლისა ვახტანგისასა. ქრის-
ტეს აქათ ჩლიბ, ქეს^ა. (—1712 წ.)¹.

ეკლესია ნაგებია აგურით, გადახურულია ქართული კრა-
მიტით. შემოზღუდული ყოფილა მაღალი გალავნით. დარჩე-
ნილი გალავნის სიმაღლე აღწევს 6 მეტრს. გალავნის ოთხივე
კუთხეში კოშკები ყოფილა, დარჩენილია მათი საძირკველი.
გალავანს აქვს სათოფურები. იგი დიდი ყოფილა, დაახლოებით
ნახევარი ჰექტარი. გალავანს შესასვლელი კარი ჰქონია სამხ-
რეთით და ჩრდილოეთის მხრიდანაც. მისი მუხის კარები ურ-
დულით იკეტებოდა.

გალავნის სამხრეთით მოდგმული ყოფილა ზურაბ რატიშვი-
ლის ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, რომლის კარები გა-
ლავანში გამოდიოდა. ამგვარად, რატიშვილის სახლის კარები,
ოთხივე კუთხის კოშკებისა და კარები შეხუთე დიდი ციხე-კოშ-
კისაც, რომელიც ახლაც დგას, შიგ გალავანში იყო მოქცეული.
გალავანი კი მუხის ორი კარით იკეტებოდა.

სამწუხაროა, რომ ამ ციხე-გალავნიდან გადარჩენილი ერთი
მთავარი კოშკი (ციხე) სავალალო მდგომარეობაშია, — მოუფ-
ლელია და განიცდის რღვევის პროცესს. რატიშვილების ამ ცი-
ხე-გალავნის მახლობლად, რეზო ცქიტიშვილის ბაღში, დგას

¹ M. Brosset, Voyage archéologique, — ტ. 3, სსკტ-პეტერბურლი
1851, გვ. 85.

საყვარულო კოშკი. იგი ნაგებია რიყის ქვით, ფორმით მრგვალი, თავი აქვს მორღვეული. კოშკი ორსართულიანია. აქვს ერთი კარი და სათოფურები.

ქსოვრისიდან ორი-სამი კილომეტრის დაშორებაზე ნუშხა სავლეთის მიმართულებით, არის ნასოფლარი თქალბრუნა, სადაც დანაც მოსახლეობა, ლეკიანობის გამო, აყრილა და ქსოვრისში გადმოსახლებულა.

ვახუშტის რუკაზე ორი ქსოვრისია დასახელებული; ერთი აზნაურის რეზიდენციის ნიშნით, სადაც დღევანდელი ქსოვრისია, მეორე ქსოვრისი კი ზემოთაა, ცოტა მოშორებით, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ახლა ნასოფლარი თელოვანია. ამიტომ საფიქრებელია, რომ თელოვანი იყოს სახელშეცვლილი ზემო ქსოვრისი. მისი ლეკებისაგან აოხრებაც აქედან იყო მოსალოდნელი: ლეკები არაგვის ხეობიდან ილტოზა — ქსოვრისის გზით შიდა ქართლში გადმოდიოდნენ.

ნასოფლარი თელოვანი დაეაყვებაზეა, უჭირავს დიდი ფართობი, სადაც ხორბალი ითესება. სამხრეთ-დასავლეთით აკრავს ტყე, რომელშიც ბევრი თელაა და სახელწოდებაც აქედან მიიღო.

ნასახლარზე დარჩენილია ქვიტკიარის ორი მარანი, სადაც ყურძენი იწურებოდა. ქვისაგან ნაგები საწნახელი ახლაც დაცულია. მარანში ქვევრებიც ყოფილა ჩაფლული.

შუა-ნასოფლარზე დგას ძველი ტაძარი „ჯვარპატიოსანი“. იგი ნახევრად დანგრეული ყოფილა. 1948—1949 წლებში საფუძვლიანად შეუკეთებიათ და აღუდგენიათ. გარშემო ახალი გალავნით შემოუზღუდავთ.

ეკლესია პატარა მოცულობისაა, აქვს ჭვრის ფორმა, გუმბათიანია, ნაგებია რიყის ქვით, კუთხეები, თაღის სალტეები შე-

კრულია თლილი ქვაფიქალით. თავისი გეგმით იგი წაგვს მცხეთის ჭვარსა და ატენის სიონს. მისი გუმბათი მთლიანად ურდნობილია გამოწეულ კედლებზე. შიგ გაღესილია და მოხატულიც ყოფილა. მხატვრობის კვალი ზოგან ეტყობა არა აქვს.

კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. სარკმელი ოთხივე მკლავზეა გამართული.

გუმბათი თაღოვანია, სვეტებითაა შეკრული. შუქისათვის დატანებულია ოთხი მრგვალი სარკმელი.

სამხრეთის კარის თავზე ჩაშენებულია დაჭრელებული ქვაფიქალი, რომელზედაც გამოსახულია ორი სამოთხის ხე, შუაში მზის სიმბოლოთი, გარშემო შემოვლებულია ჭრელი არშია.

სამხრეთის სარკმლის თავზე გველისმაგვარი ფიგურაა გამოკვეთილი.

ძველი გალავანი უფრო დიდი ყოფილა, კარგად ეტყობა მისი საძირკველიც.

ჯვარპატიოსანი ქსნის ამ მონაკვეთში ყველაზე საყურადღებო ძეგლია, რომელსაც VIII—IX საუკუნეებს მიაკუთვნებენ.

ოძისი ძველი სოფელია. მას ეახუშტი იხსენიებს თავის გეოგრაფიულ აღწერაში და რუკაზედაც აქვს აღნიშნული, როგორც პატარა სოფელი. არა აქვს აზნაურის, თავადისა თუ დიდებულის საჯდომის (რეზიდენციის) დამახასიათებელი ნიშანი. არც აღწერაში აქვს მას ნათქვამი, რომ ერისთავები ცხოვრობდნენ ოძისშიო.

ამას გარდა, ოძისში არ არის სათავადოსათვის დამახასიათებელი ნაგებობანი: ციხე-გალავანი, კარის ეკლესია, სასახლე და სხვ. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ოძისში ერისთავიანთ

ოჯახის წევრები ახალგორიდან გადმოსულან XIX საუკუნეში და აქ აუშენებიათ ევროპული ყაიდის სასახლე თავისი ვარმის დამოთი, სადაც დღეს ოძისის მ-წლიანი სკოლა მდებარეობს.

შემდეგ ამ ოჯახის წევრს, ცნობილ დრამატურგს ვიორჯი ერისთავს ქსნის ნაპირას აუშენებია ქალაქური ტიპის ორსართულიანი სასახლე, სადაც მისივე სახელობის მუზეუმი მდებარეობს.

ოძისი, როგორც აღვნიშნეთ, სასაზღვრო სოფელი იყო სამუხრანოსა და ქსნის საერისთაოს შორის. მაგრამ, მიუხედავად მისი ისტორიული მნიშვნელობისა, ოძისში პატერიალური კულტურის ნაშთები არ მოიპოვება.

არის ერთი პატარა და უმნიშვნელო ეკლესია „ღვთისმშობელი“, სადაც დღეობა სცოდნიათ 16 ივნისს.

ოძისში დღეს ცხოვრობს 260 კომლი, მათ შორის ყველაზე ბევრია ვარდუაშვილები და ფაჩუკაშვილები.

ოძისი შედის მჭადიჭერის სოფლსაბჭოში და ეკუთვნის დღუშეთის რაიონს.


ოძისის კოლმეურნეობაში წამყვანია მევენახეობა, ნაწილობრივად ეწევიან მემინდვრეობასა და მესაქონლეობასაც.

ხოცა მდებარეობს ოთხი კილომეტრის დაშორებაზე ლენინგორიდან. გზა მიდის თბილის-ლენინგორის მხარეს. ლენინგორის მახლობლად შეუხვევს ე. წ. მესამედა-ხევასაყენ და აღის საკმაოდ მაღალ ტყიან მთაზე, რომელსაც ეს ხევი ჩამოუდის. აღმართით ეს გზა პირდაპირ მიდის ხოფას მონასტერში. გზა წყლის ნადენია და კენჭოვანი.

მონასტერი ტყეშია, დაფარულია ფოთლოვანი ხეებით. ამის გამო შორიდან არ მოჩანს. მონასტერს მარჯვნივ ჩამოუდის



საქართველოს
საქართველოს



სურ. 7. შიოკარლის მონასტერი

ღრმა ხევი. იგი აშენებულია დაეაყებაზე და უჭირავს მკერდის მკერდ ფართობი.



ტაძარი ნაგებია ქვიტყირით და მოპირკეთებულია ქვიტყირით. მისი აღმოსავლეთის ფასადი მშვენიერად უცეთესად გამოიყურება. ზედ სარკმლის თავზე აქვს ჩუქურთმიანი დიდი ჯვარი. ჩუქურთმა ძველია და კარგად დამუშავებული. ფანჯრის საპირვე ლამაზად მოჩუქურთმებულია. აქვს მინაშენი ჩრდილოეთით, რომლის კედელი ნაგებია ნახლეჩი ქვებით და არც გალესილია.

სამხრეთის მხარეზე ძველი მინაშენია, რომელსაც აქვს შესასვლელი განიერი კარი, ჩუქურთმიანი ფიქალეებით შემკული. სარკმლის თავზე ჩუქურთმიანი როზეტია ჩასმული.

ამ მინაშენზე დაშენებულია გვიანდელი ხანის აგურის სამრეკლო. დარჩენილია მისი თაღიანი ბოძები.

დასავლეთის მხარეზე მინაშენი გვიანდელია, მისი ფასადა ლამაზად და მდიდრულად არის გაფორმებული, მოპირკეთებულია მოყვითალო ქვაფიქალით, შესასვლელი კარი და გვერდის ნიშნები ლამაზადაა მოჩუქურთმებული.

შიგნით დარბაზულია, მაღალთაღოვანი ქერი აქვს, ქვის სალტეებით შეკრული. ნაგებია რიყის კოხტად ჩაწყობილი ქვით; გალესილია და მოხატულიც ყოფილა. მხატვრობა ჩამოცვენილია და აქა-იქლა ეტყობა. კარის თავზე კარგად მოჩანს ფრთოსანი ანგელოზი, დასავლეთის კედელზე კი მკრთალად — მამაკაცის ფიგურა მოძრავ პოზაში (კარის თავზეა).

მხატვრობის კვალი ეტყობა საეკრთბევის ცაზე და კედელზე. შიგ ქვის კანკელია გამართული. ატყვია წმინდანების მკრთალი სახეები (გვიანდელია).

სამხრეთის მინაშენიე ლაქაზადაა გაფორმებული. შესასვ-
 ლელ კარიბჭეზე შერჩენილია ღვთისმშობლის გამოსახულება.
 წელზემთ მისი ჩარჩო მოჩუქურთმებულია ბრტყელი, ლაქაზი
 წნულით, ზედ აზის ჩუქურთმიანი კუშტული. *გიგლიცოთეკა*
 მისი ჭერი გუმბათოვანია, დაღარული და სხივოსან შხეს
 წარმოადგენს. მთლიანად მოხატული ყოფილა, მხატვრობის
 კვალი კარგად ეტყობა. ზუცური წარწერის ფრაგმენტი შერჩე-
 ნია აღმოსავლეთის მხარეზე.



სურ. 8 სოფის ჩუქურთობა

ტაძრის დასავლეთით დგას სატრაპეზო ნაგებობა ე. წ. ბე-
 რების სასაფლაო დარბაზი, ნაგებია რიყის ქვით. იგი მალაღია

და აქვს თაღოვანი ჰერი, გადახურულია ქვით. ორი კათი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, კედლებში გამართულია შუახთვის სარკმლები. ნაგებობა შიგნით გალესილია, მისი სიმაღლე 6 მეტრამდეა.

ხოფის ამ მონასტერს არ შერჩენია რაიმე წარწერა, რომლის მიხედვით შესაძლებელი ყოფილიყო მისი დათარიღება. არც სხვა რაიმე ისტორიული ცნობა მოგვეპოვება ამ საკითხის გასარკვევად. იგი შუა საუკუნის საყურადღებო ძეგლია და სათანადოდ არ არის შესწავლილი და გარკვეული.


მას ეახუშტი მოკლედ იხსენიებს: „ხოლო ოძის ზეით არს მონასტერი ხოფა, უგუნბათო, დიდშენი კეთილად და აწ ცარიელი“ (ვახუშტი, გვ. 68). ხოფა, როგორც მონასტერი, აღნიშნულია ვახუშტის რუკაზედაც. აქედან ჩანს, რომ ხოფას მონასტერი XVIII საუკუნეში გაუქმებული ყოფილა, ალბათ, ლეკიანობის გამო.

მხოლოდ 1797 წლის აქტით ანტონ II კათალიკოსს ამ მონასტრის არქიმანდრიტად დაუნიშნავს დოსითეოს ფიცხელაური, რომლისათვისაც დაუფალდება მონასტრის აღდგენა და კურთხევა¹. ამიტომ შესაძლებელია, სამრეკლო, დასავლეთისა და სამხრეთის მინაშენები დოსითეოსის დროს ნაგები იყო².

ლ ე ნ ი ნ გ ო რ ი (ახალგორი) პატარა სარაიონო ქალაქია. იგი ძველად იხსენიება „მცირე ქალაქად“ და ამჟვე დროს იყო

¹ საქართველოს სიძველენი, II, გვ. 465.

² E. Такайшвили, Хофский монастырь, Изв. Кавк. археол. об-ва, вып. IV, 139.



სურ. 9. ცხენის მოსართავი
ოქროსი ახალგორის განძიდან

ქსნის საერისთავოს ცენტრად
მისი რეზიდენცია XVII ს. და
დან.

ერკინულა
ახალგორის ისტორიული ძეგლები
სული შეუსწავლელია და ამ მხრივ
მას ნაკლებად ეიცნობთ. მან საბე-
ლი გაითქვა საძვეურში აღმოჩე-
ნილი ძვირფასი განძით, რომელიც
მთეკუთვნება V—IV სს. ძვ. წ.¹

ახალგორი ვახუშტისაეც აქვს
მოხსენებული თავის გეოგრაფია-
ში და რუკაზედაც აღნიშნული:
„არს მცირე ქალაქი ახალგორი,
მოსახლენი არიან სომეხნი, და სა-
სახლე ქსნის ერისთავისა“-ო (გვ.
68).

საყურადღებოა, რომ სომეხების
აქ გადმოსახლებისა, ახალგორის
წარმოქმნისა და მისი „მცირე ქ-
ლაქად“ გადაქცევის საკითხი ჯერ
კიდევ გაურკვეველია.

1 საძვეურის განძს შეედომით ეწო-
დება ახალგორის განძი, რაც გაუგებრო-
ბას იწვევს. საძვეური ახალგორიდან და-
შორებულია საკმაო მანძილით—6—7 კი-
ლომეტრით. ეს აღზათ იმ მოსაზრებით
უწოდეს, რომ მაშინ (1907 წ.) საძვეური
შედიოდა ახალგორის საბოქაქლოში.



ლენინგორელი სომეხების გადმოცემით, ისინი ანისსიდან (ათუ ვანიდან) გადმოუსახლებია დავით აღმაშენებელს XXI ს. მათი მამა-პაპანი ხელოსნები და ვაჭრები ყოფილან.

ანალოგიური გადმოცემა არსებობს გორელ სომეხებზეც, რაც დამყარებულია სომეხთა ისტორიკოსის, ნათე ურპაელის, ცნობის არამართებულ ვაგებაზე. მათე ურპაელის სიტყვით: „იგი (დავითი) აღმოჩნდა მიმღები და მოყვარე სომეხთა ნათესაისა, მასთან შემოკრბა სომეხთა მხედრობის გადარჩენილი ნაწილი და მან აღაშენა სომეხთა ქალაქი ქართლში და უწოდა ქალაქსა მას გორა“¹.

ქართულ საისტორიო წყაროებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომელიც ვრცლად მოგვითხრობს დავითის ლაშქრობას ანისში და ამ ქალაქის განთავისუფლებაზე თურქებისაგან, არას გვამცნობს ქ. გორის (გორას!) დაარსებასა და იქ სომეხების დასახლების თაობაზე.

ვახუშტი ბაგრატიონს, რომელსაც აღწერილი აქვს გორი, ძნელი დასაჯერებელია არ სცოდნოდა მათე ურპაელის ცნობა მასზე, მაგრამ იგი მას არ იმორწმებს და გორის დაარსების შესახებ ნათქვამი აქვს: „არამედ არა არს უწყებული, ვისით აღშენდა პირველ“². ამასვე იმეორებს პლატონ იოსელიანიც.

ანგარიშგასაწევეია ის ფაქტი, რომ მათე ურპაელი ახლად დაარსებულ ქალაქს უწოდებს არა გორს, არამედ „გორა“-ს. რაიც ნიშნავს მთაგორიან ადგილს და რაც არ ახასიათებს გო-

¹ ლეონ შელიქსე თბევი, სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხი, თბ., 1923, 123. მათე ურპაელის ამ ცნობის მცდარობა ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე გავრითიეებული არაა.

² ვახუშტი, გეოგრაფია, 73—74.

რის დაეკებას. ასეთ გორას კი წარმოადგენს ახალგორი, რომელიც მოქცეულია ქსნის ვიწრო ხეობაში და შემოზღუდულია მაღალი მთებით.

ეროვნული

ამიტომ უფრო დასაშვებია, რომ დავით ბატონის მემკვიდრეებს ანისიდან წამოყვანილი სომეხი ვაჭრები და ხელოსნები დაასახლა გორში კი არა, ქსნის ხეობის მაღალ მთიან გორაზე, რომელსაც ეწოდა ახალგორი, ეინაიდან შიდა ქართლში არსებობდა ამ დროს მეორე დასახლებული ადგილი ძველი გორიც, ლენინგორში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სომხური მოსახლეობა ას კომლზე მეტი ყოფილა, ქართველები კი ექვსი კომლი — ცაგარელი, წიფთაური, მეტრეველი, დუშაშვილი და ბუღბუთაშვილი.

სომხები: ამირემოვი, მზარეულოვი, სტეფანოვი, მიარაგოვი, კაკინოვი, გათენოვი და სხვა, ყველაზე მეტი — სტეფანოვები.

სომხებს აქ ერთი ეკლესია ჰქონიათ. ერისთავის ყმები იყენენ და მას უხდიდნენ ბეგარას.

სტეფანოვის გვარს თავი დაუხსნია მამამზე ერისთავისაგან და მისთვის მიუცია ფულად სამასი თუმანი, ათი აქლემი ათი საპალნე ხორბლით (თითო იყო 25 ფუთით). ერისთავს ახალგორში ჰყოლია მოურავი და ჩაფრები, მამულის მცველად კი ჩეჩნები, რომელნიც ბატონის მამულში არაეის აქაქანებდნენ და ყმებსაც სასტიკად ექცეოდნენ თურმე.

სომხები ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდნენ: ვაჭრობდნენ მატყლით, ფართლით, ღვინით და სხვა.

ეწეოდნენ სხვადასხვა ხელოსნობას — ოქრომჭედლობას, მუუნაგირეობას, ხაბაზობას, დერციკობას და სხვა.

მოვაჭრე სომხები ცდილობდნენ მიწის მუშაობისაგან თავ-

დახსნას—ერისთავი შრომითი ბეგარისაგან მათ ათავისუფლებდა, ოღონდ ვაჭრობის შემოსავლიდან უნდა გადაეხდათ შაბტა (ფულადი გადასახადი): „ქ. ესე სითარხნის წერელი მოგვითხრობს, ქსნის ერისთავმან შალვამ, თქვენ ჩვენს ეპოქაში უკმათ ახალგორში, ასე რომ თქვენ მამაპაპათ დებულებით გქონდათ ოძისს ჩვენი ზერის მუშაობა ყოველის გვარისა და რადგანაც თქვენ აღებ-მიცემობის ვაჭარნი კაცნი იყავით და თქვენთვის დამძიმებულ იყო ეს გვარი მუშაობა და დიდათ იხვეწებოდით და მრავალჯერ მაწუხებდით, მეც ამის გამო იძულებულქმნილმან მოვხედე თქვენს ურიცხვ თხოვნას და შეგიბრალეთ და აღმოგიხოცეთ საუკუნოდ, საშვილიშვილოდ... განგათავისუფლეთ და მოგიკეთეთ ესე დებულება“¹.

აქაური სომხები სალოცავად მიდიოდნენ ალევის სამებაში, თან მიჰქონდათ დროშა, რომელზედაც გამოსახული ყოფილა წმ. გიორგი და ღვთისმშობელი. აქ ხატობაზე სომხები მართავენ საერთო ხარჯით დიდ პურობას...

ახალგორელი სომხები სალოცავად მიდიოდნენ აგრეთვე გვარპატიოსნის (ღებურის ხეობაშია, სხვილოს ნასოფლარზე) ღვთობაზე ურმებით, ცხენებითა და გაშლილი დროშებით².

ლენინგორში ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლები არ არის. აქ დაცულია XVII—XVIII საუკუნეთა ნაგებობანი, როდესაც ახალგორი გახდა ქსნის ერისთავთა რეზიდენციად.

ქსნის ერისთავის სასახლე და მისი კოშკოვანი ვალავანი ქვიტყირითაა ნაგები. სასახლე სამსართულიანია. მისი I და II სართული ძველია, შემდეგ მასზე დაუშენებიათ მესამე ევრო-

¹ დ. გვრიტიშვილი, დას. შრომა, 160—166.

² ს. მაკალათია, ღებურის ხეობა, თბ., 1954, 28.

პული ყაიდის სართული, რომლის აივანი დაყრდნობილია ძირიდან ამოყვანილ აგურის თორმეტ მაღალ სვეტზე და თეთრად და შელესილი. ზემო სართულში სამ დიდ დარბაზში დაჯგუფებულია მუხის პარკეტი, ლამაზად წყობილი. ქვემო სართულშია ყვავილებითა და ამურებით. დარბაზს აღმოსავლეთით ჰქონია კარი, საიდანაც მოძრავი ხის ხიდით გადადიოდნენ გალავნიდან გარეთ. ღამე კი ხიდს ძირს ჩაუშვებდნენ, გალავნის კარებს დიკტავდნენ, რომ არავინ შემოსულიყო სასახლეში.

ამ სართულში ერისთავის ოჯახს უცხოვრია. ერისთავის მისაღებ ოთახში, ბუხრის თავზე, დახატული ყოფილა შანშე ერისთავი, რომელიც მდგარა ქსნის ორივე ნაპირზე (ორივე მხარე ჩემიყო). ქვეშ ქსანი გადიოდა, ხელში სჭერია ქსნის საერისთავოს დროშა, რომელზედაც გამოსახული იყო ცხენის ნალი¹.

სასახლის დაბლა, 1 სართულში, უცხოვრიათ შინამსახურთ, მეორეში — მოჭრავს თავისი კაცებით.

სასახლეს აკრავს ოთხკუთხა ქვიტკირის გალავანი კოშკებით. მათ შორის საყურადღებოა სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მაღალი კოშკი. ფორმით ოთხკუთხა და შეიღ-სართულიანი. ნაგებია რიყის ქვით კარგად და ლამაზად. სართულები ჩაქცეულია, სართულებში გამართულია ბუხარი, თახჩები და სათოფურები. მეორე სართულს აქვს ერთი თაღიანი კარი, რომელიც გამოდის გალავნის ეზოში.

მეშვიდე სართული საომარია, აქვს 12 სათოფური და ორი ჩარდახი (სალოდე) ოთხივე მხარეზე. გადახურვა ჰქონია ორქანობიანი. სართულებზე აღიოდნენ ხის მოძრავი კიბით.

¹ ეს სურათი სასახლის რემონტის დროს მექა საღებავთო წაუშლიათ.

დანარჩენი კომპები ჩვეულებრივი ტიპისაა, საბოლოო მ-
გამართულია შესასვლელი კარი, ბუხარი, სათოფურები და
სხვა.

ეროვნული


სასახლის გალავანს შესასვლელი კარი ჰქონდა მსხვილი
ამ მხარეზე გალავანის შიგნით მიშენებული ყოფილა ქვიტყირის
ეკლესია გუმბათიანი, ეკლესია დაუშლიათ, მოჩანს მისი სა-
ძირკველი¹. გალავანის ფართობი ერთი ჰექტარი იქნება.

სასახლის გალავანის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეზე, გზის
მახლობლად, დარჩენილია ძველი ნაგებობა, რომელსაც ამა-
ნოს უწოდებენ. იგი ნაგებია რიყის ქვით, შედგება ოთხი ოთა-
ხისაგან, თალიანია, წინა მხარე მორღვეულია და ჩაქცეული
ქერი მაღალი და თაღოვანი, გალესილიც ყოფილა, ქვეშაც
ჩაქცეული ნაგებობაა.

ერისთავიანთ სასახლე თავისი ციხე-გალავანით მოქცეულ
ყოფილა უფრო დიდ გალავანში, რომელსაც ეჭირა 10 ჰექ-
ტარი ფართობი. ეს დიდი გალავანი ახლა დაშლილია, შერჩე-
ნილია აქა-იქ ამ გალავანის კედელი და კომპები. დღეს ამ ფარ-
თობზე გაშენებულია ახალი უბანი, რომელიც სამ ქუჩაზეა
განლაგებული — ლენინის, ხეთაგუროვისა და სტალინის ქუ-
ჩაზე.

ამ დიდი გალავანის აღმოსავლეთ-დასავლეთის კუთხეში მო-

¹ ეს ეკლესია აღწერილი აქვს ექვთ. თაყაიშვილს. ახ. დასავლ.
შრომთა, 129—130.



სურ. 10. კაბენის მონასტერი.

თავსებული ყოფილა კიდევ ერთი ოთხკუთხა გალაგანიც კომ-
კებით. დარჩენილია მისი სამი კოშკი და გალაგნის ნაწილი.
კოშკები ოთხკუთხაა, ნაგებია რიყის ქვით, ზოგან აგურიც
ურევია. ამ გალაგნის ფართობი იქნება ნახევარი ჰექტარი.



კომპეტი ოთხკუთხაა და სამსართულიანი, ნაგებობის და კონსტრუქცია ერთნაირია. სამივეს კარი გალავნის უზომო გამოდის. I და II სართულს აქვს ბუხარი, თახჩები, ჩამქვნი და სათოფურები. III სართული საომარია, კედლებში გათხრებულია სათოფურები და ჩარდაბები.

ამ მცირე გალავნის შიგნით, მეორე კომპის გვერდზე. შენობის ნანგრევია, რომლის კედელზე შერჩენილია ბუხრისა და საკმლის ნაშთი. ეტყობა, ეს ნაგებობა საცხოვრისი იყო, შესაძლებელია თავდაპირველად ქსნის ერისთავები ამ ციხე-დარბაზში ცხოვრობდნენ, შემდეგ გადავიდნენ ახალ სასახლეში და ორივეს, ძველსა და ახალ საცხოვრისს, შემოაველეს დიდი გალავანი. ქსნის მხარეზე ამ გალავანს გასასვლელი კარი ჰქონია, რომელზედაც გამართულია საყარაულო კომპი. ახლა დაშლილია, შემორჩენილია მისი ერთი მხარე.

ეს ისტორიული მნიშვნელობის ნაგებობანი უყურადღებობის გამო გაპარტახებულია. საჭიროა ამ ძეგლების წესრიგში მოყვანა, მეთვალყურეობის დაწესება და გულისხმიერი მოვლა-პატრონობა.

კაბენის მონასტერი სოფელ ყანჩაეთშია, რომელიც მდებარეობს ქსნის მარჯვენა მხარეზე და ლენინგორიდან დაშორებულია 7 კილომეტრით.

ყანჩაეთი მოზრდილი სოფელია. აქ ცხოვრობენ ტატუნაშვილები, გოგაძეები, წინამძღვროშვილები, ჩარმელიშვილები, ცქიტიშვილები, ქესაურები და სხვა. ყველაზე მრავალია ტატუნაშვილები.

სოფლის ბოლოს გამოდის გოგირდოვანი წყარო — ვეძა. სადაც მოდიან სამკურნალოდ და იღებენ აბაზანებს. უხდებარევატიზმსა და კუჭ-ნაწლავის დაავადებას.

სოფლის მისასვლელში, მარცხენა მხარეს, ტყიან ფეო-
დობზე, მონას მალაღუფმბათიანი ტაძარი, რომელსაც უწო-
დებენ კაბენის ღვთისმშობელს, აგრეთვე გეტსხანს მსგ. სს-
ტობა სცოდნიათ 21 სექტემბერს. ზიზღიჩიშქა

მონასტერი მალღობზეა. მას დაბლა ჩამოუღდის პატარა მდი-
ნარე ყანჩაურა, საიდანაც იწყება მონასტერში მისასვლელი
აღმართი.

ტაძარი ქვიტყირითაა ნაგები, გარედან მოპირკეთებულია
მოყვითალო ქვაფიქალით. მისი აღმოსავლეთის ფასადი ღამა-
ზად მოჩუქურთმებულია, წააგავს სამთავისის ტაძრისას. ზედ
სარკმელზე მოჩუქურთმებული ჟვარია. სარკმლის ჩარჩოც შე-
მკულია ჩუქურთმებით. ჩუქურთმა ძველია და ღამაზად შეს-
რულებული. ჩრდილოეთის კედელს დაბლა ჰქონდა მინაშენი,
ახლა დანგრეულია. მინაშენის კედლები ისეთივე მოყვითალო
ქვაფიქალით ყოფილა მოპირკეთებული, სარკმლის ჩარჩოც
ჩუქურთმიანია.

დასავლეთით ეკლესიაში შესასვლელი კარია, მხოლოდ მი-
ნაშენებითაა დამაზიხვებული.

სამხრეთის მინაშენი აგურისაა, რომლის ქვეშ საძვალე ყო-
ფილა. ადამიანის ძელები ახლაც ბევრია შიგ.

მისი გუმბათი მალღია და გამოწეულ კედლებზე დაყრ-
დნობილი. ტაძარი შიგნით მოხატულიც ყოფილა, რაც ამჟა-
რად ატყვია გუმბათისა და საკურთხევლის კედელს. შიგ ბევრია
მლოცველების მიერ მოტანილი შესაწირი — თიხის კოჭობე-
ბი, ქვევრები, მიტკლის ნაჭრები და სხვა.

გუმბათს აქვს მ სარკმელი. გუმბათის თავი ნაგებია ქარ-
თული აგურით, სახურავი არა აქვს. ტაძარი დაზიანებულია და
დანგრევაზეა მიმდგარი.

ტაძარს აქვს ქვის კანკელი, რომელშიც ჩატანებულია ქვე-
ლი ჩუქურთმიანი ქვის ფრაგმენტები, საუცხოოდ შესრულ-
ბული.

ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით ქვიტყირის დიდი ქვეყნის
რომელიც დანგრეულია. დარჩენილია კედლები. აქვს შესასვ-
ლელი განიერი კარი ჩრდილოეთით. კარის თავზე ძვეს გრძე-
ლი ორმეტრიანი ქვა. დარბაზი ნაგებია დიდი ლოდებით, წაა-
გავს ციკლოპურს — კარებში აქვს საურდულე.

ეტყობა, ეს დარბაზი უნდა ყოფილიყო მონასტრის სატრა-
პეზო (სასადილო).

მონასტრის გარშემოა ნასახლარი, ჩაქცეული ორმოები,
ნაგებობათა ნანგრევები და სხვა.

კაბენის მონასტერი ქსნის ხეობის თვალსაჩინო ძეგლია¹, რო-
მელსაც IX საუკუნით ათარიღებენ². XIV საუკუნის მეორე
ნახევარში მონასტერი განუახლებია იოვანე ერისთავს, რო-
მელსაც „ძეგლი ერისთავთა“ ტაძრის „მეორედ აღმაშენებელს“
უწოდებს³. XV ს. ტაძარი დაცარიელებულა და იგი მიაწერა
ყანჩათის ეკლესიას, იქვე გადაიტანეს მისი ხელნაწერები და
მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ მონ-
ასტრის კრებული ყოფილა საკმაოდ განვითარებული და
მწიგნობარი.

¹ Д. Бакрадзе, Кав. в древн. нам. христ., 77; Е. Такай-
швили, Кабенский монастырь, Изв. Кав. арх. об-ва, вып. IV,
108—116.

² Г. Н. Чубинашвили, Архитектур. памятники VIII и IX вв.
в Ксанском ущелье. Ars Geographica, I, об., 1942, 1-30.

³ თ. ვო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 205; მასალ. საქ. და კავ. ისტ-
ბაგვ. 30, 1954, 356.

ვახუშტის სიტყვით: „არს მონასტერი კაბენი, ვუმბათან-
ყანჩეთს. კეთილ ნაშენი, შვენიერს ადგილს და აწ სული სი-
მარ“ (გვ. 68).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ყანჩეთის ეამგველი მონასტრი
მელიც 1677 წელს დაამზადებინა ევდემოზ რატიშვილმა და
შესწირა „კაბენის მონასტერს გესამანიისა ღვთისმშობელსა“.

საყურადღებოა აგრეთვე ყანჩეთის ოთხთავი, რომელიც
თარიღდება XII—XIII საუკუნეებით და სხე.

ყანჩეთის საეკლესიო განძი — ხატები და ხელნაწერებ-
(ოთხთავი, ეამგულანი და სხე.) აღწერილი აქვს ფოტოსურა-
თების თან დართვით ექვ. თაყაიშვილს (იხ. მისი დასახ. შრო-
მა, გვ. 116—123).

სოფ. ყანჩეთის ზემოთ, მდინარე ყანჩაურას მარჯვნივ,
ე. წ. დაკიდებულ ხევსა და ყანჩაურას შორის დავაყებაზე არის
ხატის ან ნიშის ეაყე ე. წ. „ნიშიეაყე“, სადაც 1960 წელს
ზაფხულში, გლეხებმა იპოვეს წვიმისაგან გამორეცხილ ნაპირ-
ზე მეტად საყურადღებო განძი, რომელიც მიეკუთვნება V—
IV ს. ძვ. წ. ამ განძის შესახებ მსჯელობა გვექონდა ისტორიულ
მიმოხილვაში და აქ არ გავიმეორებთ.

წირქვალი (წირქოლი) მდებარეობს ქსნის მარჯვენა
მხარეს. სოფელი გაფანტულია უბნებად და დაყოფილია 7 უბ-
ნად. სულ არის 120 კომლი. მათი გეარებია: მორბედაძე, ხუტა-
შვილი, ხრიკული, ფიცხელაური, მეგრელიშვილი (მეგრელანი)
და სხვა.

კოლმეურნეობა ეწევა მემინდერეობას, აგრეთვე მევენა-
ხეობა-მებაღეობას. ადგილი ურწყავია.

† ი. გავოშიძე, ადრეანტიური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან,
აბ., 1964.

ამ სოფლის მეზობლები ყოფილან ერისთავი და მწიგნობარი-ტონი, რომელთაც მეკომური წლიურად უხდიდა ორ მანეთს.

სოფელში ერთი მრგვალი კოშკია, რომელიც კომუნის ეკლესიის ეკლესია ფირცხელაურს. კოშკი ნაგებია რიყის ქვით, დულაბით. კოშკი მრგვალია. აქვს ერთი შესასვლელი კარი აღმოსავლეთით, კოშკი ორსართულიანია, ქერი აქვს თალიანი, აგურით ნაგები. კოშკის ორივე სართულში გამართულია ბუხარი, საოფურები და სარკმლები. ასასვლელი კიბე შიგნითაა გამართული, ნაგებია კლდის ქვით.

კოშკის მახლობლად დარჩენილია ძველი პატარა ეკლესიის საძირკველი.

ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობაში წირქელის ფირცხელაური დასახლებულია ქსნის საერისთავოს აზნაურებში. ამ გვარიდან იყვნენ ქსნის ერისთავის მოურავეები, ამიტომ მათ ეძლეოდათ უფლება თავდასაცავად კოშკიც ქსნოდათ.

სოფლიდან მოშორებით, ორი კილომეტრის მანძილზე, ძველი წირქელის ნასოფლარია, სადაც დარჩენილია ღვთისმშობლის ძველი ეკლესია და წირქელის ძველი ციხის ნანგრევი.

ვახუშტის სიტყვით: „ქსნის დასავლით კიდესა ზედა არა ციხე დაბასა წირქელს“ (იქვე, გვ. 68).

ეკლესია დანგრეული ყოფილა და სიძველეთა კომიტეტს საფუძვლიანად აღუდგენია იგი. ნაგებია ჩოფურა ქვით (ტუფით). გეგმით დარბაზულია და ფორმით — სიმეტრიული. თავისი სტილით წააგავს ანტიკურს. ჩრდილო და აღმოსავლეთ-

¹ იქვე. თავი 10-ე, ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (1791 წ.), თბ., უნივერსიტეტის შრომები № 45, 1951, 5—68.



თის ფასადი თაღოვან-სვეტებიანია. შიგ მოხატულად კი მხოლოდ მხატვრობა შერჩენილია ბოძის თაღში. კერი აქვს თაღოვანი. წირქელის ტაძრის დახასიათებისას აკად. გ. ჩუბინაშვილი¹ მითხრობს, რომ იგი მოგვეგონებს სირიულ ტაძარს, რომელიც სპარსეთის ხუროთმოძღვარი იცნობდა და ამით უნდა აიხსნას მისი გაჩენა წირქვალშიო. ბოლოს დაასკვნის: ეს ტაძარი ქართული ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლია, რომელიც უდავოდ შეიძლება მიეკუთვნოს VIII საუკუნესო¹.

ღვთისმშობლობას აქ ხატობა იმართებოდა. მლოცავიც ბევრი მოდიოდა ახლომახლო სოფლებიდან. აქვეა სასაფლაოც. საფლავის ქვებზე გამოსახულია ქალებისა და კაცების სახეები ქართულ ტანსაცმელში.

ეკლესიის მახლობლად, მაღალ ბორცვზე, წირქელის ციხე დგას. მას ქსანი უფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ციხე ამჟამად გადაპყურებს ქსნის ხეობის არეშარეს. ციხე ძველია. იგი იხსენიება X საუკუნეში და დიდხანს იყო საცილობელი ქართლსა და კახეთს შორის².

გადაკეთებულ-აღდგენილია მომდევნო პერიოდში, XVIII საუკუნეში კი იგი ითვლება მოქმედ ციხედ ლეკების თარეშისას აღამავად³.

¹ Г. Н. Чубинашвили, Ars Georgica, გვ. 1-30. შ. ა. შირაზი ა. შვილი ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, 161—162.

² ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, ტ. 1, 274—275, 308. წირქელის შესახებ უფრო ვრცლად მოიხრობილია ზემოთ ისტორიულ მიმოხილვაში და აქ არ ვაეიმეორებო.

³ პ. ზ. ზაქარაია, ქსნის ხეობის ციხე-სიმაგრეები, წირქელის ციხე, 182—187. ავტორს ვრცლად აქვს მოცემული ამ ციხის აღწერა, ზვეწ კო მას მოყვლედ შევეხებით.

წირქელის ციხე ქსნის ხეობაში ყველაზე მაგარი და მკაცრ-
ნელოვანი სიმაგრე იყო. ამ ხეობას იცავდა მტრის შემოსევისაგან.
ციხე ნაგებია ნახლეჩი კლდის ქვის დუღობით. ზოგან რიყის ქვაც ურევია. დარჩენილია მისი ჩრდილოეთით
ლეთის გალავნის კედელი, რომელსაც შერჩენილი აქვს სათო-
ფურები, სამი ბუხარი, სარკმლები და სხვა.

გალავანზე მიშენებული ყოფილა საცხოვრისი ოთახები, ორსართულიანი, რასაც მოწმობს ზემო და ქვემო კედელზე შერჩენილი ბუხარი. კედელს ზოგან ეტყობა შეკეთების კვალი.

სამხრეთ-დასავლეთით თავმორღვეული დიდი კოშკია, დარჩენილია მისი სამი სართული, შიგ გამართულია ბუხარი, სარკმლები და სათოფურები, მარცხნივ მოზრდილი ჭაა. კოშკის სართულები გადახურული ყოფილა, ახლა ჩაქცეულია. ციხეს უკავია ნახევარი ჰექტარი ფართობი.

აღმოსავლეთი ნაწილი ციხისა დანგრეულია. შერჩენილია დასავლეთის მხარეზე მდებარე თავმორღვეული დიდი კოშკი. ციხე ძნელმისადგომია. გარშემო ღრმა ხევია. შესვლა შეიძლება სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან, სადაც არის ეკლესია და ნასოფლარი.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ წირქელის ციხის გალავანში აღმოჩენილია სამი ფრაგმენტი რელიეფური მოხაზულობისა. ერთზე გამოსახულია დანიელი ლომების ორმოში ხელაყრობილი. ლომები დანიელის ხელებს პირით ეხებებიან. ზემოთ, მათს თავზე, თითო მფრინავი ჩიტია გამოსახული. ნაკვეთებს შორის წარწერის ასოებია და სხვა. ეს ფრაგმენტები ძველია და VI ს.¹ მიეკუთვნება.

¹ გ. ნუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1926, 207—208.

წირქელის ციხიდან მოჩანს ქსნის პირას პატარა ეკლესია. რომელსაც ეწოდება წირქელის თეთრი, წმ. გიორგი. სადაც ხატობა იკოდნენ აპრილში და სალოცავად მოდიოდნენ ახლომახლო სოფლებიდან. ეკლესია არ არის ძველი მანქანის ლოვანი.

საძვეური გზის პირა სოფელია ქსანზე. ეს სოფელი ქსნის ორივე მხარეზე ყოფილა გაშენებული. მაგრამ უვზობის და ქსანზე უხიდობის გამო მისი მარჯვენა მხარის უბანი აყრილა 1954 წელს და გასაბლებულა.

დარჩენილია ქსნის მარცხენა მხარის საძვეურის უბანი, რომელიც შედგება 23 კომლისაგან. აქ ცხოვრობენ ყველაზე ძველი მოსახლე ნაროზაშვილები — 7 კომლი.

ახლახან აქ ჩამოსახლებულან კაბაურები და რაზმაძეები. საძვეურაში ისტორიული ხასიათის ძეგლები არ არის. იკონობილია აქ აღმოჩენილი ე. წ. „ახალგორის განძით“¹. აღმოჩენის ადგილი მდებარეობს სოფლის ზემოთ. მაღლობზე, აღმოსავლეთის მხარეს, მას პატარა წყალი ჩამოედის — „საძვეურას ხევი“, რომელიც იქვე შეერთვის ქსანს.

ამ განძის შესახებ ჩვენი მოსაზრება მოცემულია ისტორიულ მიმოხილვაში და აქ არ გავიმეორებთ.

განძის აღმოჩენის გაღმა მხარეს არის საძვეურის ერთ-ერთი უბნის ე. წ. „კობათუბნის“ ნასახლარი (კობაურებისა). სადაც წმ. გიორგის ეკლესიაა ტყით დაფარული. აქ იკოდნენ ხატობა — „ხალაჩობა“ (აპრილში) და გიორგობა (ნოემბერში). სალოცავად მოდიოდნენ ამ სოფლიდან გასულები.

განძის აღმოჩენის ფერდობის ზემოთ, ნახევარი კილომეტ-

¹ М. И. Смирнов, Ахалгоринский клад, Тб., 1934.

რის დაშორებაზე, ძველი ნასოფლარია, რომელსაც ვინმე
ბუნ „გედეს-კარის“ ნასახლარს. აქ დარბაზული ტიპის სახლე-
ბის ნანგრევებია. ისინი ნაგებია კლდის ქვით, დღესდღეობით
რავი დარბაზულია. სახლები ჩაქცეულია. დარჩენილია მხოლოდ
ღებები. გედეს-კარის თავზე, რომელიც ნახევარ კილომეტრი-
თაა დაშორებული, ასეთივე ნანგრევებია, ზედ ხევებია ამო-
სული.

ეს ნასოფლარი — გედეს-კარი — მაღლობზეა და აქ უნდა
ყოფილიყო ამ ხეობის უძველესი მოსახლეობა, რომელსაც სა-
ლოცავეი ხატი ჰქონდა ქვემოთ, სადაც საძეგურის განძი აღმო-
ჩნდა. ეს ძვირფასი განძიც ამ ხატის (სალოცავეის) საკუთრებას
შეადგენდა, შესაწირის სახით დაგროვილი.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტის საძეგური სოფლების დასახე-
ლებასში მოხსენებულია, რუკაზე კი ნაჩვენებია არ არის.

ცხ ა ე ა ტ ი. ლარგვისიდან დაშორებულია 3—4 კილომეტ-
რით. იგი მდებარეობს პატარა მდინარე ცხაეატურაზე, რომე-
ლიც ქსანს შეერთვის ლენინგორ-ლარგვისის შარავზაზე. ცხა-
ეატურა გამოდის სახორდაგის მთიდან (ე. წ. ჩიტის წყარო-
დან), საიდანაც გზა გადადის ქართალში.

ცხაეატი და ცხაეატელები ქართველ მემატეიანეს მოხსენე-
ბული აქვს მეთორმეტე საუკუნის ამბებში, როდესაც თამარის
მეფობის დროს დაიწყო მთიელთა განდგომა. მეფემ სხვა მთიე-
ლებთან ერთად განდგომილთა წინააღმდეგ მოუწოდა ცხაეა-
ტელთა და იქანე ათაბაგის მეთაურობით წარავლინა მათ ზე-
დაო. მთიელთა ეს ლაშქარი ცხაეატისა და ცხრაზმის ხევით გა-
დასულა ლომისაზე, მთიულეთში (არაგვის ხეობაში)¹.

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, 111—305.



ცხეატსა და ცხეატელებზე ვახუშტის არაფერაა ვერა
 ქვაში თავის გეოგრაფიაში. იგი არც მის მიერ შედგენილ რე-
 კაზეა აღნიშნული.

ცხეატურას სათავეზე შხამურის ციხეა. იგი მსგავსაა ცხეატ-
 კირით და საკმაოდ დიდია. ციხე დანგრეულია. დარჩენილი
 კედლის სიმაღლე უდრის 20 მეტრს, ნაგებია დიდი ლოდებით.
 დასავლეთის მხარეზე აქვს გალავანიც.

ამ ციხეზე არსებობს თქმულება: ლეკებს შხამურისათვის
 შემოურტყამთ ალყა და ვერ გაუტეხიათ. მაშინ ლეკებისა-
 თვის მკითხავს უთქვამს, ვირებს მართლი შეაქამეთ და წყლის
 მიღებს იპოვიანო. ლეკებმა მწყურვალე ვირები ციხის გარშე-
 შო თურმე ატარეს და ბოლოს წყლის მილი იპოვეს და ციხეც
 აიღესო¹.

ცხეატურას სოფ. ცხეატთან უერთდება პატარა ხევი --
 „ციხეხევი“, სადაც დგას ძველი კოშკი. კოშკი საყარაულოა
 და იგი დარაჯობდა ციხეხევსა და ცხეატურას შესართავს.
 კოშკი ქვიტკირისაა, დაშლილია, დარჩენილია მისი ჩრდილო-
 დასავლეთის კუთხე. კოშკს დატანებული აქვს სათოფურები.
 კოშკი უნდა ყოფილიყო ხუთსართულიანი. მეორე სართულს
 შერჩენია შესასვლელი კარი. კოშკის დასავლეთით დარჩენი-
 ლია პატარა გალავნის ნაწილი. კოშკის წინა მხარე კუთხედია
 და გადაპყურებს ცხეატურას. მისი დასავლეთის მხარე მომრ-
 გვალეებულა.

კოშკის მახლობლად სოფლის სკოლაა (ოთხწლედ). ამ

¹ მაშხო 73 წლის მოხელმა ვასო ნიკოს ძე ხუხაშვილმა.



კოშკს ახლა უწოდებენ „ბარბარე“-ს. შიგ გამართულია ბარბარეს სალოცავი ნიში, სადაც სალოცავად მიდიან ყველგან (თებერვალში).

სოფ. ცხავატურა მდინარე ქსნიდან, სადაც მტკნალი წყლია შეერთვის, 3—4 კილომეტრზეა. სოფელი მთაზეა და შვიდ უბნადაა დაყოფილი, მოსახლეობის რაოდენობა 28 კომლია.

წინათ აქ 80 მეკომური ყოფილა, მიწის სიმცირისა და მძიმე საარსებო პირობების გამო აქედან გასახლებულან. ადგილი მთავორიანია, უგზო, ტყით დაფარული. არა აქვთ სახნავ-სათესი მიწები, ამის გამო ოდიდანვე ცხავატელები მისდევდნენ მეჭურჭლეობას, რაც მათი ძირითადი საარსებო წყარო იყო.

აქ ცხოვრობდნენ სხვადასხვა გვარები: ევიძე, ბუნტური, ბურდული, მელთაური და სხვა.

უბნების მიხედვით ევიძიანთუბანში ცხოვრობდნენ ევიძეები — 6 კომლი.

სუხაანთუბანში — სუხაშვილები — 6 კომლი.

გოგიჩიანთუბანში — გოგიჩაშვილები — 3 კომლი: შემდეგ არის ლარუთისუბანი, წინაუბანი, გოგიანთუბანი და ზუჩიანთ უბანი.

პირველად ცხავატში დასახლებულა ბუნტური. აქვთ ხატ-სამლოცველო. მთავარი ხატობა სცოდნით ვაკისჯვარში — გიორგობა. ეკლესია ძველია და წარმოადგენს ნანგრევს. მეორე ეკლესია ჭქონით „მაცხოვარი“. იგი არ არის ძველი და მოჭმედებაში ყოფილა რევოლუციამდე.

ცხავატი განთქმული იყო თიხის ჭურჭლის დამზადებით. აქ ყველა ოჯახი მისდევდა მეჭურჭლეობას და იქაური ჭურჭელიც ცნობილი იყო იშვიათი გამძლეობით. ამის გამო მას დიდი ვასავალი ჭქონდა. იგი ცეცხლგამძლეა და წყალს ცივად



ინახავს. ამის გამო ვრცელდებოდა მთელს აღმოსავლურ საქართველოში¹.

ცხვატელები. მიუხედავად ხელშემშლელი პირობებისა დღესაც მისდევენ მეჭურჭლეობას. ამას ხელს უწყობს მათი სი თიხამიწის დიდი მარაგი. თიხას იღებენ იქვე მდებარე მთიდან. ამ ადგილს „დავითულას“ უწოდებენ. საჭურჭლე თიხას იღებენ 5—6 მეტრის სიღრმიდან, რომ თიხა ხარისხიანი იყოს და კარგი ჭურჭელიც დამზადდეს. მათი სიტყვით, ზედაპირული თიხისაგან გაკეთებული ჭურჭელი მალე იშლება. თიხა ჩამოაქვთ ზურგიით ან ცხენით. მას ჯერ ამრობენ, შემდეგ გაცრიან და ფეხით ზეღენ.

გამზადებული თიხისაგან ხის მორგეზე აკეთებენ სხვადასხვა სახისა და მოცულობის ჭურჭელს (ჭილა, ქვევრი, კოკა, სადღვებელი, ქვაბი, ხელადა, ლიტრა, ჯამი, საღვინე, სურა და სხვა).

მორგეი მუხისაა. აქვს ოთხი ფეხი, რომლებზედაც დამაგრებულია „ფხინა“ და მასში ჩასვამენ მუხის მორგეს. მორგემა რომ კარგად იტრიალოს, ხარის რქას უკეთებენ.

თიხის ჭურჭლის გაკეთება აქ ყველამ იცის: იგი მემკვიდრეობით გადადის. ხელოსანი დღესი ხუთ ჭურჭელს გააკეთებს. კოკას აკეთებენ 10—12-ლიტრიანს, ქვევრებს კი—არა უმეტეს 100-ლიტრიანისა, თონე სკი მიწაზე აკეთებენ² (ახლა თონე ნაკლებადაა: გამომცხვარ პურს ყიდულობენ).

მზეზე გამომშრალ ჭურჭელს ქათმის ფრთისაგან შეკრულ

¹ К. Шаликов, Описание Ксанского участка (Зап. кав. отд. РГО), XVI, 256; XVI, გვ. 256; გ. ნ ი ტ ა ი ა, ექსპედიცია ქსნის ხეობაში, ენიშნის მოამბე, ტ. IV, თბ., 1939, 288—89.

² ლ. ბოტორიშვილი, მივლინება ქსნის ხეობაში. ენიშნის მოამბე, IV, თბ., 1939, 291—294.

„ფთე“-თი აქრელებენ (მას ტალღისებური სახეები აქვს) უკეთალო მიწის საღებავით, რომელსაც „წენაკს“ უწოდებენ.

ეს ბუნებრივი საღებავი ძნელი საშოვარია, მას ვაჭარებენ კლდეში ავროვებენო (კასპიანაა), — გადმოშვებს. გიგლიძის მიხედვით

შემდეგ გამზადებულ ჭურჭელს ღუმელში გამოსწვავენ, რის შემდეგ მოყვითალო ჭრელი სახეები წითლდება და არ გადადის, ფრთით დაქრელებას „ფთე“-ს უწოდებენ.

გამზადებული ჭურჭელი აქედან ცხენებით ქართლშიც გაუტანიათ, ოღონდ ვორსა, ცხინვალსა, ყაზბეგსა და ყვარელს იქით თურმე არ გაჰქონდათ. ჭურჭელს ყიდდნენ ჭირნახულის იმ რაოდენობაზე, რაც შიგ ჩაეტეოდა. ფულზე ჭურჭელი თურმე იშვიათად იყიდებოდა.

აქაური ჭურჭელი განთქმულია აღმოსავლეთ საქართველოში. ხალხს უყვარს ეს ხელობა, საქიროა ყურადღება მიექცეს მის დანერგვა-განვითარებას.

ძველად ცხავატელებს დარბაზულ სახლებში უცხოვრიათ. დარბაზის დედაბოძები დაქრელებული ყოფილა „ბულაურებით“ (ჩუქურთმებით), ასევე იყო ავეჯიც, დღეს ასეთი საცხოვრებლები აღარ არის, — დაუშლიათ და აუშენებიათ ორსართულიანი, კეთილმოწყობილი სახლები.

ცხავატის ქვემოთ, გაღმა, ქსნის მარჯვენა მხარეს, იფნე-ეია, სადაც რამდენიმე კომლი ოსი ცხოვრობს. იფნევი, სამთავნელის-სარგოს-ნუსხაში, იბსენიება ივეფნევის ფორმით. ქვენიფნევი კი არ არის დასახლებული.

იფნევის მამული შეწირული ყოფილა ცხავატის „მაცხოვრის“ ეკლესიისათვის. ვინც აქაურ მამულს მოხნავდა, ჭირნახულიდან უნდა გადაეხადა 20 ლიტრი არაყი და საზედაშედ შეეწირათ — გადმოგაცემენ.

იფნევის ქვემოთ უნდა ყოფილიყო ქვენიფნევი და ცქსნის მებატონეს (ერისთავს) ქვენიფნეველს ჰქონდა ღვეისი რეზიდენცია.

ქვენიფნევი

აქ დარჩენილია ხალიბეგიანთ ნასახლარი დღევანდელი რიც. მას ერთ მხარეზე საზღერავს ღრმა ხევი. კოშკი ქსნის მხარესაა მიმართული, გარშემო გალავანიც ჰქონია. დარჩენილია კოშკის ორი სართული.

ხალიბეგიანნი აზნაურები იყვნენ. შეიძლება ქვენიფნეველი მებატონის მსახურნი იყვნენ. ამბობენ, აქ შეუსვენია გიორგი სააკაძეს, როდესაც მას ქსანზე მოუხდა შეტაკება როსტომ მეფესთანო.

ღარგვისი მღებარეობს ქსნის მარცხენა მხარეს, სადაც ქსანს შეერთვის ჭურთისა და ცხრაზმის ხევი. მას სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამი მდინარის შესაყარზე. ხეობა აქ ვიწროდება, მისი რელიეფი მთაგორიანია. მთები ტყითაა შემოსილი და მდინარეთა უწყვეტი გუგუნია სიამოვნების მომგვრელია.

მისი სახელწოდება, ღარგვისის რაობა, დღემდე არ არის გაჩვენული. ეტყობა, ასეთივე მდგომარეობა იყო ვახუშტის დროსაც. ქსნის სოფლების დასახელებაში ვახუშტის აქვს მონასტერი და არა ღარგვისი. რუკაზე კი იმ ადგილას, სადაც მონასტერია, დასახელებულია ღარგვისი და არა მონასტერი. ადგილის გეოგრაფიულ აღწერაში კი ნახსენებია მონასტერი ღარგვისი: „სამეგრისის ჩრდილოთ არს მონასტერი ღარგვისი, წმიდის თედორესი აღმოსავლეთით უდის ქსანი, სამხრეთით — ჭურთის წყალი. ამას ჩრდილოთ ერთვის ქსანს აღმოსავლიდამ ცხრაზმის-ქევი“ (ვახუშტი, გვ. 69).

მხოლოდ ძველ სიგელ-გუჯრებსა და სტატისტიკურ აღწე-

რილობებში მონასტერია დასახელებული. ლარგველიც მონასტერის სახელით იხსენიება, ზოგან — ადგილის მნიშვნელობით. მაგალითად, „მოკვდა როსტომ, დაჭდა ერეკლე და მისი ლარგველი: მოკვდა ლარგველი და დაჭდა მისი მიტრი“¹. ზოგან ლარგველი და ქვენიფნევალი ერთი და იგივე პირია: „დაჭდა მეფედ დავით ბაგრატიონიანი, ამან ფრიად განადიდა ქვენიფნეველი ლარგველი და სახელსდგა ერისთავთ-ერისთავად“².

აქაური მოსახლეობაც ამბობდა მონასტერს და არა ლარგვისს, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ოფიციალურად დაკანონდა ლარგვისი.

ამ საკითხს ზოგადად შეეხო დ. გვრიტიშვილი. იღონდ გარკვეული მოსაზრება არ გამოუთქვამს³.

ლარგვისის მონასტერი უკვე X საუკუნეში არსებობდა „ლარგუს მონასტრის“ სახელწოდებით. ამას მოწმობს სამთავნელის — სარგოს—X საუკუნის წიგნი, რომელშიც ნათქვამია: „ლარგუს ეამის წირვისა ერთი დიაკონი აყურთხოს და ძმაო სიყვარული, სერობა“⁴.

აქედან ირკვევა, რომ ლარგვისს გადასახადი არ ადევს, მონსენებულია მხოლოდ — „ეამის წირვისას“ მამასახლისმა, ე. ი. წინამძღვარმა, ერთი დიაკონი აყურთხოს და ძმათ გაუმართოს სერობა (ვახშმობა).

აქედან აშკარაა, რომ X ს. ლარგვისში იყო მონასტერი და

¹ შ. მესხია, ძველი ერისთავთა, 345, 347.

² იქვე, 346.

³ დ. გვრიტიშვილი, ფეოდ. ურთიერთ. ისტორიიდან, 55—56.

⁴ მონასტრის კრებული, V, აბ., 1729, 9.



სურ. 11. ლარგვისის მონასტერი



მასზე სასურსათო გადასახადიც არ არის გაწერილი. ანავე დროს, როგორც ცნობილია, აქ ერისთავობაც არ არსებობდა. მხოლოდ XIV—XV საუკუნეებში ერისთავებმა აქ დასდეს. თაყიანთ რეზიდენციად და საძვალედ (სამარხად).

ლარგვისში სოფლსაბჭოა, რომელშიც შედის: ლარგვისი, ცხავატი, ხარბალი და მშველეთი. ლარგვისში დღეს 70 მეკომური ცხოვრობს. აქაურ კოლმეურნეობაში წამყვანია მესაჭონლეობა, ნაწილობრივად ეწევიან მემინდვრეობასაც. მოჰყავთ ქერი, პური და ცოტა სიმინდიც.

ლარგვისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ყოფილა 12 კომლი. პირველად აქ დასახლებულა ზარიძე, შემდეგ მელთაური ჩამოსულა ცხავატიდან.

ზარიძის პაპა გამოქცეულა ლაშარიდან (ფშავი), იქ კაცი მოუკლავს და დასახლებულა ჯერ ლაგოშეთში (ნასოფლარია). შემდეგ ლარგვისში „ჩხრიალა ზევში“ ე. წ. ურიათ უბანში.

წინათ ლარგვისში სავაჭრო ჰქონიათ ურიასა და სომეხს. იმ ადგილს, სადაც ურიას სავაჭრო იყო, უწოდებდნენ ურიათ-უბანს, სადაც სომხის სავაჭრო იყო — სომხის უბანს.

დღეს, გარდა ზარიძისა და მელთაურისა, აქ სხვა გვარებიც ცხოვრობენ: შერმადინი, რუსიტაშვილი, ბერიანიძე, ბუთხუზი, ოდიშვილი და სხვა. ყველაზე მეტია ზარიძე.

ლარგვისი კელითმოწყობილია: არის საავადმყოფო, სკოლარეაწლიანი, სამკითხველო, ფოსტა და სხვა.

აქაური მამული ჰყუთვნებია ორბელიანს, რომელსაც აღწევდნენ მახტას, წლიურად კომლი იხდიდა 3—5 მანეთამდე.

მათი სალოცავი იყო ლარგვისის თევდორეს ეკლესია, სადაც იმართებოდა ხატობა თებერვალში.

სალოცავად მიდიოდნენ ლომისის წმ. გიორგის ხატში, აგრეთვე ალევის სამებაში.

მოსახლეობა ასრულებდა სხვადასხვა საწესდარსებას: ჩიტაფაფაობას, თაგვების გარეკვას, ჭონას და მკურნალებს, კაობას, რომელსაც თან დაჰყვებოდა ქალი „კეველა“.

ლარგვისი ცნობილია მისი ისტორიული ძეგლით — „მონასტრით“, რომელიც მდებარეობს ქსნის მარჯვენა მხარეს. მას ჩამოუდის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ქსანი, სამხრეთ-აღმოსავლეთით ჭურთის წყალი (ჭურთულა), რომელიც იქვე მონასტერთან უერთდება ქსანს.

მონასტერი შემოზღუდულია ჭვიტყირის გაღვენით, ნაგებია ნახლეჩი კლდის ქვით. გაღვენს აქვს ორი შესასვლელი კარი: ერთი ჭურთის წყლიდან, სამხრეთით, მეორე უფრო ძველი, დასავლეთის კედელში.

გაღვენის მთავარი კარი განიერია, თალიანი, საკმაოდ ვრცელი, ზედ დაშენებული ჰქონია კარის დასაცავად საყარაულო სართული, ახლა დაშლილია, დარჩენილია კედლის კუთხის ნაწილი.

მეორე შემოსასვლელი კარი, რომელიც დასავლეთით გადის, ახლა ამოჭოლილია, საკმაოდ განიერია და დაბალი. კარის თავზე ძვეს დიდი ქვა, ზედვე გამართულ ეოფილა საყარაულო, დარჩენილია მისი ნაწილი, მას შერჩენილი აქვს სათვალთვალო სარკმელი. სამხრეთის კარის პირდაპირ, გზის მეორე ნაპირას, მალღობზე, დგას სასიგნალო კოშკი, რომელიც გაღვენზე უფრო ძველია, ფორმით ოთხკუთხაა და ნაგებია კლდის ქვით. დასავლეთის კედელი გამონგრეულია, შიგ არი. პატარა სათავსო. მისი სიმაღლე დაახლოებით ექვსი მეტრია.

საგანგაშო შემთხვევაში მის ბანზე ცეცხლს ანთებდნენ და ამით ანიშნებდნენ მტრის მოძრაობას.

გალაენი ვრცელია, დაახლოებით ორი ჰექტარზე. გალაენის ჩრდილო კედელზე მიშენებულია ოთხკუთხა სამსახურული კოშკი, რომლის სართულებში გამართულია: სათოფეები, ბუხარი, სარკმელი, შესასვლელი კარი და სხვა. შიგვეა ასასვლელი ქვის კიბეც.

გალაენის აღმოსავლეთის მხარეზე აშენებულია საცხოვრისი სამი ოთახი სიგრძეზე. ახლა დაშლილია. სამივეს კარი ეზოში გამოდის. ქსნის მხარეზე აქვს განიერი სარკმლები და სათოფურები, ოთახებს აქვს გასასვლელი შუა კარები. აქვე კუთხეშია მრგვალი კოშკი თავმორღვეული სათოფურებითა და სარკმლებით გამართული.

გალაენის ეს ნაგებობანი გადატიხრულია ქვიტკირის ღობით, აღმოსავლეთის კოშკიდან დასავლეთის მაღალ კედლამდე. ნაგებობის მიხედვით, ეს ღობე უფრო გვიანდელი ჩანს. მას აქვს აგურით ნაგები შესასვლელი კარი, რომელიც ეკლესიის ეზოდან შედის. ეტყობა, ეს საცხოვრისი ოთახები და კოშკი ეკლესიისაგან გადაუღობავთ. კარის თავზე დაშენებული ყოფილა საყარაულო კოშკიც, ახლა დაშლილია. კარს ორივე მხარეზე აქვს საურდულე, რომლითაც კარი იკეტებოდა. მისი მოედნის ფართობი უდრის ნახევარ ჰექტარს. ადგილი კლდოვანია და დაფერდებული.

ეს გადაღობილი ფართობი, საცხოვრებელი კოშკითა და ოთახებით, ზოგ მკვლევარს მიაჩნია ლარგველის (ერისთავის) საცხოვრის რეზიდენციად¹, რაც ადვილი დასაშვებია, მით

¹ E. Такайшвили, Ларгвиси, Изв. Кав. отд. Москов. археол. об-ва, вып. IV, Тб., 1915, 81.

უმეტეს, დღემდე არ არის დადგენილი, თუ სად იყო ლარგვის-
ლი ერისთავის ადგილსამყოფელი. არც ლარგვისის მიდებულ
მოიპოვება ამის რაიმე ნაშთი. ამიტომ საფიქრებელია ლარ-
გვისის საცხოვრისი ადგილი იყო შიგ ლარგვისის მხარეს
ამ გადაღობილ ფართობში.

შიგ გალავანში არის ლარგვისის მონასტერი (ტაძარი). იგი
ნაგებია ქვიტყირით, აქვს ჯვრის ფორმა და მაღალი გუმბათი.
კარისა და სარკმლის საპირეები მოპირკეთებულია მოყავის-
ფრო ქვაფიქალით. კედლის კუთხეებიც იმავე ფერის ქვითაა
მოპირკეთებული.

აღმოსავლეთის კედლის ჯვარი და სარკმლის საპირეებიც
მოჩუქურთმებულია წნული ორნამენტით.

გუმბათის ფანჯრები დაყოფილია დაღარული თალიანი
წრით, გაყოფილია ბოძებად, რომელთა თავები მოკაუჭებულია
ფოთლისებურად. გუმბათს აქვს 12 ფანჯარა, გადახურულია
ქვაფიქალით, მხოლოდ გუმბათს ახურავს თეთრი თუნუქი.
წარწერები და მხატვრობა არა აქვს.

დასავლეთის კარის თავზე, მარჯვნივ, გამოსახულია ოსტა-
ტის მარჯვენა ხელი, რომელსაც უჭირავს ჩაქუჩი, ქვეშ კი მო-
თავსებულია გონიო. კარის არშია მოჩუქურთმებულია.

შიგ ტაძარს აქვს ორი დიდი სვეტი, რომელზედაც გუმბა-
თია დაყრდნობილი. სვეტები და გუმბათის თალი ქართული
აგურითაა ნაგები, ვალესილიც ყოფილა, მოხატულობა არ
ეტყობა.

საკურთხეველი ამალლებულია, აქვს სამი ნიში თალიანი.
საკურთხეველის ორივე მხარეს სამკვეთლოა, შუაში დგას
ტრაპეზი, აქვს ვანიერი სარკმელი და ორი ნიში.

ეკლესიის ეზოს სამხრეთით კედლის ქვით ნაგები სათავსოე-

ბია, ესენი აკლდამები უნდა იყოს, ზოგი ჩაქცეულია. დასაყ-
ლეთითაც არის ამგვარი ჩაქცეული ნაგებობანი. შეიძლება აქ
იყოს ლარგველთა საძვლე. რასაკვირველია, ლარგველის შიშველი
ნასტერს თავის პირვანდელი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია.

როგორც ცნობილია, ლარგვისის სამონასტრო ნაგებობანი
რამდენჯერმე იყო ხელახლა აგებული, რაც გამოწვეულია ამ
ვიწრო ხეობაში წყალდიდობის გამო.

თავდაპირველად მონასტერი მდგარა ქსნისა და ჭურთას
შესართავის დაეაყებაზე. აღიდებული მდინარის ტალღები ზედ
ეხეთქებოდა მონასტრის კედლებს და ანგრევდა. ამის გამო
შემდეგ მონასტრის ნაგებობანი უფრო მაღლა მთის ფერდობ-
ზე განალაგეს.

ამ ადრეული პერიოდის ნაგებობიდან დღემდე დარჩენილია
შემოსასვლელი კარის წინ, გზის გაღმა, მდებარე ოთხკუთხა
კოშკი.

ლარგვისის არქიტექტურული ანსამბლის აშენებას „ძეგლი-
ერისთავთა“ მიაწერს როსტომს, VI ს.: „როსტომ აღაშენა ქა-
ლაქი ლარგვსს და განასრულა და შეამკო ყოფლითურთ ეკლე-
სია“¹. ეს ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება და ყალ-
ბია. არც რაიმე ნაშთი ამ პერიოდისა აქ არ შემონახულა.

XIV საუკუნის პირველ ნახევარში აღიდებულმა წყალმა
წალეკა მონასტრის გალავნის ნაწილი და სამრეკლო. შემდეგ
იოანე ერისთავის დროს ადგილი ჰქონდა უფრო დიდ წყალ-
დიდობას და ერისთავთა ძეგლის ცნობის მიხედვით, მდინარე
ქსანი აღიდდა, გადალახა მონასტრის ზღუდე, წალეკა გალავ-
ნის ნაწილი და სამრეკლო, გამოუთხარა საძირკველი მონას-

¹ ძეგლი ერისთავთა, გვ. 346.

ტერსო. მაშინ ერისთავმა იოანემ ხელი მიჰყო ეკლესიის ეფრო
რო ზემოთ აშენებას, რაც სამი წლის მერე დაამთავრა: ვალაქი-
ნი, ქიშკარი, გამართა თავისი სამრეკლოთი და შეუდგა მისი
სიის მოხატვას¹.

მაგრამ იოანე ერისთავის მიერ აშენებული (1400 წ.) ეკლესია თემურ-ლენგის შემოსევის დროს ძლიერ დაზიანებულია და იგი აღუდგენია ლარგველ მოღვაწეს გრიგოლ ბანდაისძეს. მისი ანდერძის მიხედვით, ეკლესია შიგნით განუახლებია და მოუხატვინებია, ხატებიც შეუშკია, აუგია სამრეკლო და მარანი, სადაც ჩაუფლავს ოცი ქვევრი ღვინისათვის, აგრეთვე კვით გადაუხურავს მონასტრის ნაგებობანი.

XV საუკუნის მეორე ნახევარში მონასტერი დაზიანებულია და ისევე შესაკეთებელი ყოფილა. ეს საქმე უთავებია ერისთავ შალვა ქვენიფნეველს, რაც მოთბრობილია მის მიერ გაკემულ სიგელში ლარგვისის მონასტრისადმი, 1470 წელს: „მე ქვენიფნეველმან, ერისთავმან შალვა ხელვეყავ საქალესა. ჩუენსა, მონასტერსა ლარგვისსა და ვიწყე შენობად: პირველად დაეხატვინე კამარათა უკანით წმ. თევდორესი თავი ეკლესიად და აღემართე ჭუარი საკუთხველისა კართა, დაეაწერინე საულ — დავითი, დაეაკაზმინე წიგნები, დაედევ შესამოსელი მწყობელი, აღვაშენე ეკლესია ნათლისმცემელისადა, დაეხატვინე და შევამე ხატითა, წიგნითა და შესამოსლითა სრულად უკლებლად; შემოვაგლეო ზღუდენი და აღვაშენე ტრაპეზნი და მოვაწყვენ ზედა ჩარდახნი და შევხურენ სიბითა; აღვაშენე მარანნი ჩარდახთა წინადა და მოვაწყვენ ქუტრებითა; მოვქედენ კარი კომშისანი და ზღუდოსანი, აღვაშენე ზღუ-

¹ M. Brosset Bapports, III, 77—78; ქრონიკება, II, 204—205.

დისა კართა ზედა სამრეკლოა, დაეხურე სიპითა და დაეხურე-
ნე ზედა ჟუარი სპილენძისაა, დაედგენ ბელენი და ჩადგენ
მათ ქუეშე ჭურნი და სხვაი, რადეა შემკობილებზე, ქსნისედე
შევამეე მონასტერი ესე ჩენი საძვალე¹. გიგლიძე

მასვე მონასტრისათვის შეუწირავს სოფლები ივრეთი, პე-
რედა, ქურთა და სხვა², თავის სულის საცხონებლად და აღაპის
მოსაწყობად. ამასთანავე მონასტრის წინამძღვრად გაუმწესე-
ბია გიორგი ქურული.

გიორგი ქურული ჩანს :460 წლის მეფე გიორგი IX წყა-
ლობის სიგელში, რომელშიაც ნათქვამია: „აწ ჩუენცა შევიწყ-
ალედ და ძუელად გაჩენილი სისხლი გავიახლეთ და გაგიჩი-
ნეთ ასსამოცი ათასი კილმანაური თეთრი ამა პირთა ზედა“-ო
(ჩამოთვლილია ბოროტმოქმედების შემთხვევები)³.

ლარგვისის ამ პერიოდის მოღვაწეთაგან ცნობილია აგვა-
როზ მანდაისძე, რომელიც დახელოვნებული მწიგნობარი იყო.
იგი მიჩნეულია „ძეგლი ერისთავთა“-ს ავტორად. ეს ძეგლი
დაიწერა ლარგვისის მონასტერში, ქსნის ერისთავის ვირშელ
მესამის სიკოცხლეში, 1348—1400 წლებს შორის.

აგვაროზი ამასთანავე მხატვარი და დაოსტატებული გადა-
წერიც ყოფილა, — მას ლამაზად გადაუწერია პარაკლიტონი
და ლამაზადაც მოუხატავს. თუ რა მძიმე პირობებში უხდებო-
და მუშაობა, ამას იგი თვითონვე მოგვითხრობს პარაკლიტონის
შინაწერში: „ვიწყე წერად დიდისა სიგლახაყესა და ეტრატის
სიძვირესა და შფოთსა და უცალობასა შინა“-ო. აგვაროზია

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. III, 558.

² იქვე, 558.

³ საქართველოს სიძველენი, ტ. I, თბ., 1923, 3—7.

მოღვაწეობას ლარგვისის მონასტერში აგრძელებდა მისი უკვე გრიგოლიც, რომელიც გეაცნობს თემურის გამანადგურებელ ლაშქრობას და მოგვითხრობს მის მიერ ჩატარებულ სამეფო-შაოზე: „მეფობისა შინა მეფეთ-მეფისა ვიორგი ბაგრატიონისა ერისთავობასა შინა ერისთავთ ერისთავისა შვილისა ვირშელისა... მოვიდა თემურ-ბეგ სულტანი და წარტყუშნეს და დააქციენეს საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და აღიხუნეს ყოველნი ციხენი. მას ეამსა შინა დამიცვა ღმერთმან კელთაგან შათთა და ვტიროდი თავს ჩემსა მე, გრიგოლ ბანდაძსძე აეგაროზის შვილი. დაწვისაგან მოოქრებული აღვაშენე ხეთი სახლი... და საფლავსა ზედა ჩემსა აღვაშენე კარიბჭე და დავხატე კელითა ჩემითა... შიგნით ეკლესია მოვხატე და შევამკე ყოველი მოშლილი ხატები დავსხენ წიგნი: პარაკლიტონი, სამოციქულოა, გულაა, აეგაროზი და ავაგე მარანი და ჩავდგი ორი ქური, ავაგე ზედა სამყოფი სახლი, ბედელი, საწოლი, დერეფანი, სამრეკლო და მოსელი დავბურყე ყოველი სიბითა“¹.

ლარგვისის მონასტერი, როგორც აღვნიშნეთ, ქსნის ხეობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო, სადაც აქაური მოღვაწეები სამწერლობო საქმიანობას ეწეოდნენ. მას კარგი წიგნთსაცავიც ჰქონია და აქ გადაწერილია მრავალი საეკლესიო თხზულება.

მხოლოდ XVII ს., როდესაც ქსნის ერისთავის რეზიდენცია გადატანილ იქნა ახალგორში და თავიანთ საგვარეულო სამარხად აქციეს იკორთა, ლარგვისმა თანდათანობით დაკარგა

¹ M. Brosset, Rapports, III, 77—78; თ. ჟორდანიძე, ქრონიკები, II, 204—205.

პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მნიშვნელობა, ~~ერისთავებში~~
მაინც არ აკლებდნენ მზრუნველობას ლარგვისს, რამ არ გამო-
ლილიყო ეს საკულტო ადგილი.

1759 წელს ლარგვისის წმ. თევდორეს ეკლესიის აღდგენა
ვით ერისთავმა. ამას ვახუშტიც ადასტურებს. მისი სიტ-
ყვით, 1759 წელს ეს ეკლესია აღადგინა დავით ერისთავმა¹.

ამასვე მოწმობს ლარგვისის მონასტრის დეთისმშობლის
წარწერაც: „ეკლესია ესე ლარგვისის მონასტრისა აღაშენა
კეთილ მსახურის ერისთავის დავითის და კეთილ მსახურისა
დედისა მისისა ქეთევანის მიერ, ძისა მისისა შალვას კეთილად
აღსაზრდელად“².

ამ ისტორიული წყაროების მონაცემებით, ძეგლის სტი-
ლისტური ანალიზითა და ნაგებობის ტექნიკით აკად. გ. ჩუბი-
ნაშვილი ამ ახალი კომპლექსის აგებას ათარიღებს არა XVI
საუკუნით, როგორც დღემდე ფიქრობდნენ, არამედ XVIII
საუკუნით³.

ლარგვისის მონასტერში არსებული განძი — საეკლესიო
ნივთები და ხატები აღწერილი აქვს მ. ბროსეს და ექვ-
თიმე თაყაიშვილს. მათზე წარწერებიც ამოკითხულია
და განმარტებული⁴.

იკოთი ლენინგორიდან დაშორებულია 5 კილომეტრით.
სოფელი მთავორიანია, მდებარეობს ქსნის მარცხენა მხარეს. აქ
ცხოვრობს 350 კომლი, ყველაზე ბევრია გიგაურები და გერო-

¹ ვახუშტი, გეოგრაფია, გამოც. ბროსეს მიერ, 233.

² M. Brosset, მით. შრომა, 74; E. Takaišvili, Lartvisi, გვ. 91.

³ G. Chubinašvili, Ars georgica - „ქართული ხელოვნება“, I, 29—30.

⁴ E. Takaišvili — მით. შრომა, გვ. 89—104; M. Brosset, მით.
შრომა, გვ. 73—77.

ტიშვილები. სოფლას მებატონე ყოფილა მუხრანბატონი, რომელიც ზედსიძედ შემოსულა ორბელიანის ოჯახში და იქითაც მას ჰკუთვნებია.

მის სახლში დღეს საშუალო სკოლაა. სახლზე ^{ერკინულა} ~~ქვეტორისა~~ ერთსართულიანი. მისი აივანი გადასცქერის ქსნის ხეობის არემარეს.

სოფელში ერთი პატარა ეკლესიაა დარბაზული ტიპისა. ნაგებია რიყის ქვით, ურევია აგურით, აქვს ორი კარი დასაყვლეთით და სამხრეთით. ნაგებობის მხრივ უმნიშვნელოა, ეკლესია შიგ გაღესილი და მოხატულიც ყოფილა, მხატვრობაც უბრალოა, უნდა იყოს XIX ს. პირველი ნახევრისა.

სამხრეთის კარიბჭეზე ჩასმულია მარმარილოს ფიქალი, გარშემო მცენარის ორნამენტებია მხედრული წარწერებით:

„ქალწულო მოწამე. წა ვხე მარინა
შეოხი ზეენდა. განმახლი ეკლესიის
შეფის რძალი. წერეთლის ასული
პეტრეან გელური (sic!) შწე მეყავ შეუღლითური
და აღსაზრდელად ძის ზეენისა გრიგოლისა ქსნ უ. პ. ვ.

წარწერა 1797 წლისაა, ეკუთვნის ქეთევან წერეთელს, რომელიც შეუღლე იყო იოანესი, გიორგი XII ძისა. მათი შვილია გრიგოლი.

ამ ეკლესიის ხატები და ჭვრები აღწერილი აქვს ექვთ. თაყაიშვილს¹.

ეკლესიის გვერდით მრგვალი კოშკია, რომელიც ეკუთვნის ფიცხელაურს, მათი წინაპარი გადმოსულა ყაზბეგიდან და მე-

¹ იხ. Изв. Моск. археол. о-ва, вып. IV, 59-65.

ფეს ერთგული სამსახურისათვის უბოძებია აზნაურობა. სწავ-
ფო აზნაურები ყოფილან და ამის სიგელიც ჰქონიათ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფიცხელაური მუცხანის ქსნის საერისთავოს აზნაურებში და მოურავებში მავალითად, ფიცხელაურ გოგიას სამოურავო ყოფილა: ისრო-
ლის ხევი, ქურთა, ილურთკარი, დორეულთკარი და სხვ.¹ წილქნელის სარგოს 1660 წლის გარიგების წიგნში ნათ-
ქვამია: — „ქ. იკოთს, ფიცხელაურები სახლის უფროსნი
კაცნი, ან მოხელენი თუ მოკვდენ, ან შეუღლენი მათნი, კაცზე
მთელი ნიშანი, შეკაზმული ცხენი და სხვა“².

აზნაურსა და მოურავს ფიცხელაურს კოშკიც ჰქონდა. იკო-
თის კოშკში კოლია ფიცხელაურის ოჯახს 1950 წლამდე უცხო-
ერია. ახლა კოშკის გვერდით ახალი სახლი აუშენებია და იქ
გადასულა.

კოშკი მრგვალია. ნაგებია რიყის ქვით, კარგად, ლამაზად.
კოშკი სამსართულიანია. აქვს შესასვლელი კარი. ქერი თაღო-
ვანია, აგურით ნაგები. სართულებში გამართულია ბუხარი,
თახჩები, სარკმლები და სხვა. პირველ სართულს დასავლეთით
დატანებული აქვს თიხის მილი (ამბობენ, ხმის გასაცემიან). კა-
რებში გამართულია საურდულე ნიშები. სართულებზე ასასე-
ლელი ქვის კიბე შიგვეა კედელზე მიშენებული.

მესამე სართული ბანიანია. ორ მხარეზე აქვს წყლის საწ-
რეტი.

საომარი მოწყობილობა ზემო სართულს არ გააჩნია. კოშ-
კი კარგად არის შემონახული. იგი საცხოვრისი უნდა იყოს.

¹ ეჭვ. თავაიშვილი, ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა,
თბ. უნივერსიტეტის შრომები, თბ., 1951, № 45, 5—68.

² საისტორიო მოამბე, წ. 11, 25.

სოფლის ჩრდილო-დასავლეთ გორაკზე, წმ. გიორგის ქედზე, წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევებია, ნაგებია გარანდულ რიყის ქვით, წინ მიშენებულია მაღალ ბოძებზე, კაქუტუაყ სამრეკლო, ნახევრად დაშლილი. ეკლესია ზრახმის რეზონანსისათვის კედლებში დატანებულია ქვევრები.

აქ ხატობა სკოდნიათ ორჯერ — გაზაფხულსა და შემოდგომაზე. სალოცავად მოდიოდნენ აქედან გათხოვილი ქალები საწირ-საცლავით (ცხვარი, მამალი და სხვა).

წმ. გიორგის ქონია სოფლის თავზე „ხატის ვენახი“, რომლისაგანაც ღვინოს წურავდნენ, იქვე ჩაფლულ წმ. გიორგის ქვევრებში ჩაასხამდნენ და ხატობას მლოცავს ასმევდნენ.

იმართებოდა აგრეთვე ხატობა „ახშადობა“ (აღდგომის ახალკვირას), მლოცავი მოდიოდა სოფლის ბოლოს პატარა ეკლესიაში და აქ ასრულებდნენ სხვადასხვა რიტუალს. სამებობასა და ღომისობასაც დღესასწაულობდნენ, ზოგი მათს ნიშებითან ლოცულობდა, უმრავლესობა კი მიდიოდა სამებობასა და ღომისაში.

სოფელში იცოდნენ ჭონა, ბერიკაობა და ყეენობა. ბერიკაობით იყოთი განთქმული ყოფილა. ჭერ დაივლიდნენ სოფელს, მერე იმართებოდა ჭიდაობა.

ამასთანავე, ოჯახში ასრულებდნენ, მინდვრის მუშაობასთან დაკავშირებით, ჩიტაფაფობას, ლაზარობას, დიდებას, ელიობას, ჭიაკოკონას და სხვა.

მებატონე მუხრანბატონს სოფელი კომლზე უხდიდა ტყისა და საბალახოს საფასურს. (განსაზღვრული არ ყოფილა. მორიგებაზე იყო).

იყოთის კოლმეურნეობა ეწევა მემინდვრეობასა და მებაღეობა-მევენახეობას, ადგილი სარწყავია.

სოფელი შეძლებულად გამოიყურება, სახლები ქალაქისა და მოწყობილი, აქეთ საშუალო სკოლა, „საექიმო პუნქტი“, ბიბლიოთეკა და კლუბი.

კორინთა ქსნის მარცხენა ნაპირზეა, სადა წყალი ერთვის ქსანს. აქ არის ერთნავეიანი პატარა ეკლესია, უგუმბათო, დარბაზული ტიპისა. თავისი ნაგებობით არ არის ძველი და საყურადღებო.

აქ უცხოვრიათ კორინთელებს. მათი ნაწილი გადასულა ლეხურის ხეობაში, სოფელ საკორინთლოში.

კორინთის ეკლესიაში ინახებოდა ალევის ეკლესიიდან ჩამოტანილი საეკლესიო ჭურჭელი, ხატები, ჭვრები, საეკლესიო წიგნები და სხვა, რომლებიც აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს, დართულია მათი ფოტოსურათებიც¹.

ალევის გზა ადის კორინთიდან, ალევის წყლის ხეობით. ალევის წმიდა სამების ეკლესია აშენებულია მაღალ მთის წვერზე, აღმართია და ძნელი მისასვლელი, ადიან ცხენებით.

ვახუშტის აღწერით: „ალევი არს მთა მაღალი, თხემთა უტყეო, კალთა ტყიანი. ესე წარივლის სამკრით ოძისამდე და ჩრდილო ლომისამდე. ესე ჰყოფს ქსნისა-კეცსა და ბაზალეთსა. ამ ალევის მთის თხემსა არს ეკლესია უგუნბათო, მჭერეტი ქართლ-კახეთისა, ამას შინა არს სიმრავლე ხატთა და ჭვართა, ოქროსა და ვერცხლისათა, და სამსახურებელნი ეკლესიისანი მრავალნი. კარნი აქვს ოქროსი, რომელ უქმნეს სპარსთა. რა ეამს წაიდეს ხატი მისი, მუნ სასწაულის მხილველთა უქმნეს კარი ოქროსანი და დასდევს ურემსა კარბმულსა, და მოიღონ მუნ“ (გვ. 64).

¹ ექვ. თაყაიშვილი, დასახ. შრიმა, კორინთა, 65—77.

ლევენდა ალევის ეკლესიის ოქროს კარიანობაზე მუშაობულია იმის გამო, რომ იგი მდიდარი ყოფილა საეკლესიო ძეგლად განიხილეს და მას ამის გამო უფრო უწოდებდნენ „ოქროს კარიანს“. როგორც ალევის წმ. სამების ხატებზე აღწერილია დან ჩანს, ეს სალოცავი დიდი პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო ქსნის ზეობაში, არამედ მთელ ქართლში. ამ მხრივ იგი უტოლდებოდა ლომისის წმ. გიორგის და ორივე დიდ სალოცავად ითვლებოდა მთელ ქართლში.

ამას მოწმობს სამების ხატებზე წარწერები, რომლებსაც სწირავდნენ მეფეები, ბატონიშვილები და მათი მეუღლენი აგრეთვე წარჩინებულ დიდგვაროვანთა ოჯახები¹.

ალევის სამების ეკლესია რაიმე ღირსშესანიშნაობას არ წარმოადგენს არც ნაგებობითა და არც გაფორმებით. იგი ახლა დანგრევის პირასაა მისული. მის გარშემო სხვადასხვა დანიშნულების სათავსების ნანგრევებია, სადაც წინათ ლამისმთვეული მლოცავები დგებოდნენ. როგორც პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს, ხალხური თქმულებით, ალევის ეკლესია აუგია დაეით აღმაშენებელს (1088—1125 წწ.) ლომისის საყდართან ერთად², რომელიც ქსნისა და არაგვის წყალგამყოფზეა აღმართული.

დორეთკარი ქუროთას ზეობაშია. ქუროთას სათავე—საბარკლეთში. გზადაგზა მას ერთვის პატარა ხეხეები — ველისი, კარა, ზოხაანთწყალი და ღორის წყალი. ქუროთა ქსანს შვერთვის ლარგვისში, მონასტერთან.

¹ ალევის საეკლესიო ნივთები ინახება თბილისში, ზელოვნების მუზეუმში.

² П. Иоселиани, Алевская церковь, газ. «Кавказ», 1887, № 12; Н. Бердзенов, Поездка в монастырь св. Троицы на Алевской горе, газ. «Кавказ», 1850, № 84.

ვახუშტის აღწერით: „ხოლო სამხრით ეამურისა არს შუბ, განმყოფელი ჭურთასა და ეამურისა. ამ მთის სამხრით არს ჭურთისკეცი, რომლის წყალი ვასდის იმავ მთას, ეცხვრება თვის ამ წყალს ცხრა წყაროს წყალი, მუნ, ამ ორთავე შუა, არს ციხე წინეიბე, ფრიად მაგარი. ამ ორთა კეცთა უწოდებენ ჭურთას, და მოდის აღმოსავლეთად და მიერთვის მონასტერს კსანსა. მოსავლითა არს ჭურთა, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი“ (გვ. 69).

დორეთეარში 15 კომლია, საბარკლეთში კი — 20. დორეთეარში სასოფლო საბჭოა, რომელშიც შედის სოფლები (უბნები) გაეაზი, მოჭალაეთი, ლევანაანი, კუცხოეთი, საბარკლეთი, კარა, ჭორთისი, მეწყერი, ჭანგათეარი, ჩქუნიეთი და აბრამიანი.

მათ შორის ყველაზე ძველია გაეაზი, საბარკლეთი და კუცხოეთი, რომლებიც დასახელებულია სამთავნელის სარგოს X საუკუნის წიგნში¹.

დორეთეარში ცხოვრობენ ილურიძეები, უწინ უცხოვრიათ დორეულებს, 1781 წლის ქსნის საერისთაოს სტატისტიკურ აღწერილობაში დორეთეარში დასახელებულია ქსნის ერისთავის ყმები — დორეულები².

გაეაზში—ბუთბუზი, მაჭალეთში—შერმადინი, ქართული სოფლებია ლევანაანი და აბრამიანიც.

დანარჩენ სოფლებში ოსებია (საბურთვი, დრიაევი, ჭანი-გაევი და სხვა).

ჭურთას ხეობაში გაერთიანებული ერთი კოლმეურნეობაა. ძირითადად მესაქონლეობას მისდევენ.

¹ საისტორიო კრებული, წ. IV, თბ., 1929, 5—15.

² ექვთ. თაყაიშვილი, თბილ. უნივერსიტეტის „შრომები“ № 45. აბილისი, 1951, 36.

ილუზიებე ვადმოსულა ილორიდან, რომელიც სამსახურს მახლობელი სოფელია. აქ მათს წინაპარს კაცი შემოქცედონი. რქმევია ლევანი. იქიდან გამოქცეულა და ამ ხეუბანში დასახლ ლებულა, ლევანანთ უბანში, სადაც დარჩენილია მისი მემკვიდრე ორი კომლი.

დორეთეარში არის ეკლესიის ნანგრევი, რომელსაც უწოდებენ წმ. გიორგის. ხატობა სკოდნიათ ნოემბერში — „კიკნაობა“.

ამ სოფელში ჰქონიათ დარბაზული სახლი. ახლა დაუშლიათ და გადაუყეთებიათ თანამედროვე ტიპის სახლად.

ჭურთას ხეობაში სათავეიდან მოყოლებული რამდენიმე ერთნაირი ტიპის კოშკია — ციხის კარი, ჭურთას ან ხოხანის ციხე. კარას კოშკი და წინები. ეს კოშკები სასოფლოა — სოფლის მოსახლეობას მტრის დაცემისაგან იცავდა. სოფელიც პატარა იყო, შედგებოდა რამდენიმე მეკომურისაგან.

კოშკები ოთხკუთხაა, კლდის ქვით ნაგები, დულაბით. გადასცქერის ჭურთას ხეობას. ქონგურები არ ეტყობა. გადახურვა ბანურია. აქეთ სათოფურები და ერთი შესასვლელი კარი ოთხ-ხუთსართულიანია. სართულები ჩაქცეულია. სართულებზე ადიოდნენ ხის კიბით.

გავაზის კოშკს, რომელიც მდებარეობს სოფელ გავაზსა და დორეთეარს შორის, ჭურთას ნაპირას, ზედ მიშენებულია პატარა ერთნაივიანი ეკლესია. მას მხატვრობაც ჰქონია. მკრთალად ეტყობა აქა-იქ. ხეცური ნაწერის კონტურებიც ემჩნევა. ეკლესია შემოზღუდული ყოფილა პატარა გალავნით. ამ ეკლესიას წმ. ბარბარეს უწოდებენ და გავაზელების სალოცავად ითვლებოდა. სალოცავად მიდიოდნენ გაზაფხულობით.

სოფელი გავაზი მაღლობზეა. იგი, როგორც აღვნიშნეთ,

ძველი სოფელია და აქ დღეს ცხოვრობს მ კომლი: ბუთისა და კაჭიური, რომლებიც ვადმოსულან კახეთიდან XVII საუკუნეში.

და დ ი ა ნ ე თ ი მდებარეობს დადიანურაზმაში ცხრაზმის გამოდის ცხრაზმის მთიდან და ერთვის ცხრაზმულას.

ცხრაზმის ხეობაში დადიანეთი ყველაზე მოზრდილი და შეძლებული სოფელია.

ცხრაზმის ხეობას თავისი ისტორიული წარსულით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამ მხარეში. „ძველი ერისთავთა“ მოგვითხრობს, რომ ქსნის საერისთავო წარმოიქმნა ცხრაზმის ხეობაში, VI ს. მათი მამამთავარი, როსტომი, გამოქცეულა დეაღეთიდან. იგი მიუღია ცხრაზმელთა თემს და თემის მამასახლისის ხელშეწყობით როსტომმა ბიზანტიის კეისარისაგან მიიღო ცხრაზმის ერისთავობაო. რასაკვირველია, ეს მონათხრობი არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს, მაგრამ დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ცხრაზმის ხეობამ საერისთავოს წარმოქმნაში გარკვეული როლი ითამაშა. ცხრაზმის ხევი, ეტყობა, ქსნის ხეობაში ყველაზე ძლიერი და მნიშვნელოვანი ხეობა იყო; მას ჰქონდა სტრატეგიული მნიშვნელობაც, ამიტომ ქსნის საერისთავოს წარმოქმნისათვის საჭირო იყო ცხრაზმის ხევის თემის დაშლა და დამორჩილება. ნებაყოფლობით თემი არ მიიღებდა მებატონე ერისთავს, მით უმეტეს — როსტომს, რომელმაც დეაღეთში გამოამეღაენა თავისი მგლური ბუნება და მოინდომა მათზე გაბატონება. დეაღების თემმა როსტომი დაამარცხა და გამოაძევა. გამოქცეულმა როსტომმა თავი შეაფარა ცხრაზმის ხეობას, სადაც იგივე „ძველი ერისთავთა“ აღნიშნავს: მან ასე იოლად, უბრძოლველად, თემის მამა-

სახლისის დახმარებით, მიიღო ცხრაზმის ხევის ერისთავობა¹, რაც აშკარა სიყალბეა და მოვონილი.

უფრო საფიქრებელი და დასაშვებია, რომ ქვეყნის-თავთა“-ში მოთხრობილი ბრძოლის ეპიზოდებიდან² ცხრაზმისხეველების ბრძოლები მოძალადე ფეოდალებთან, ამ შემთხვევაში კი როსტომის წინააღმდეგ, რომელსაც მათი დამორჩილება და გაერისთავება სურდა.

მით უმეტეს, როგორც ცნობილია, ეს მთიანი მხარე უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა და მეფის მოწოდებით მონაწილეობას იღებდა ლაშქრობაშიც, როდესაც თამარის დროს მეფეს განუდგნენ მთიელები, მათ წინააღმდეგ თამარმა მოუწოდა ცხრაზმელთა: „მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთიელთა, დვალთა, ცხრაზმელთა, ცხავეატელთა, ქართალელთა“ და სხვა³.

ივანე ათაბაგის სარდლობით ეს ლაშქარი ცხრაზმის ხევით გადავიდა ლომისაზე მთიულეთში.

ვახუშტის აღწერით: „ერთვის ქსანს აღმოსავლიდამ ცხრაზმის-ქევი, გამოდის ლომისას, და არს ადგილი ესე მოსაველიანი, მთის ალაგთაებრი“ (გვ. 68).

ცხრაზმის სათავე ლომისის ქედის ცხრაწყაროდან წარმოიქმნება და ამიტომ მას უწოდებენ ცხრაზმას. ძველ ქართულში — ზმა ნიშნავს ქმნას⁴, შექმნას, ე. ი. ცხრა წყაროსაგან შემდგარი მდინარის გაგებით არის სახელწოდება ცხრა-ზმა და არა ცხრა ძმისა⁴.

¹ შ. შ. გ. ს. ი. ა, ძველი ერისთავთა, 344—347.

² ისტორიანი და ანმანი..., ქართლის ცხოვრება, II, 11.

³ საბ-ს-ულ-ხ-ან-ო-რ-ბ-ე-ლ-ი-ან-ი, იხ. სიტყვა—ზმა, ქნა, გვ. 3.

⁴ ამის გამო უფრო მართებულად მიგვაჩნია ეხმარით ცხრაზმა და არა ცხრა ძმა.

ისტორიულ წყაროებში და საბუთებში ყველგან ცხრა¹ და არა ცხრა ძმა, ეს უკანასკნელი კი შეცდომით ხალხში გავრცელებული და თანამედროვე ლიტერატურაში.

ამ ცხრა ძმის სახელწოდების შესამაგრებლად იქმნელებაც ცხრა ძმის შესახებ, რომლებსაც უცხოვრებით სოფ. უკანუბანში, აქ ციხე აუგიათ. გალავანზე დაუდვიათ უზარმაზარი ქვა და ზედ დაუწერიათ: „ცხრა ძმამ დაედეთ, ცხრა სოფელმა ჩამოიღოსო“.

ვახუშტის სოფ. დადიანეთი არა აქვს სოფლების აღწერაში მოხსენებული და არც მის რუკაზეა აღნიშნული. ეს კი ძველი სოფელია და მოხსენებულია სამთავნელი სარგოს X ს-ნისა და სამთავნელის საკანონოს XIV—XV ს-თა მიჯნის ახლოს. იქ ჩამოთვლილია ქსნის ხეობის სოფლები, გადასახადის რაოდენობის აღნუსხვით, აგრეთვე ჭარიშა ბოროტმოქმედებისათვის და მე-7 სოფლად დასახელებულია და დ ა ნ ე თ ი¹ და არა დადიანეთი: „დადიანეთს პური ა, დრამა ბ, ქალამანი ა, საბელი ერთი, რაის ხუცეს-ტყაფი მკარი, ყველი და აბრასიკი“.

ეტყობა, XIX საუკუნეში შემთხვევით ასო „ინი“-ს ჩამატებით ძველი სახელწოდება გადაკეთდა დადიანეთად. ამაზე შექმნილია თქმულებაც. თავად დადიანს ნარდის თამაშში ერისთავისათვის მოუგია ეს სოფელი და ამის გამო ეწოდა დადიანეთიო (სადადიანო). ზოგის თქმით, ერისთავს ქალი გაუთხოვებია დადიანზე და ეს სოფელი მშითვში მიუციაო.

დადიანეთის გარდა, სამთავნელის სარგოს წიგნში დასახელებულია ცხრა¹ძმის ხეობის სხვა სოფლებიც — ზოდესი, მთოხთა და დაბაკნეთი.

¹ საისტორიო კრებული, წ. IV, თბ., 1929, 9.

დადიანეთში 62 კომლია, აქ ცხოვრობენ ბერძანები (უმრავლესობა). ურევია ჩიტიშვილი, ოდიშვილი და სხვ.

წამყვანი მეურნეობაა მესაქონლეობა, მოწინავეა წყევ-
რეობა, ჰყავთ 18.000 სული ცხვარი. ამ მხრივ უმჯობესობა
ველი ადგილი უჭირავს რაიონში. აქაური ცნობილი მეცხვა-
რეა ვარდო ბერძანიძე.

სოფელი კულტურულად ცხოვრობს: აქვთ 8-წლიანი სკო-
ლა, სამკითხველო, საექიმო პუნქტი, ადგილობრივი ჰესი, რა-
დიო და კინოდანადგარი.

სოფლის თავზე დგას ძველი კოშკი, კლდისქვით ნაგები,
ურევია დიდი ქვებიც. ხუთსართულიანია, ფორმით ოთხკუთხა,
სართულები ჩაქცეულია. ქონგურები არა აქვს. კოშკი ხუთ-
სართულიანია. შესასვლელი კარი აქვს ჩრდილო-აღმოსავლე-
თით. სართულებში გამართულია ბუხრები, თახჩები, სარკმ-
ლები და სათოფურები. სართულებზე ადიოდნენ მოძრავი
კიბით.

კოშკის უკან ძველი ეკლესიაა — წმ. გიორგი. იგი ნაშენე-
ბია უხეშად, გათლილი კლდის ქვით, გადახურულია სიპით.
ეკლესია ერთნაეიანია, ჰერი აქვს მაღალთალიანი. იგი გაღე-
სილია. მხატვრობა არ ეტყობა. მიშენებულია დახურული დე-
რეფანი, საიდანაც კარი შედის ეკლესიაში. ტაძრის სახურავი
ორფარდულიანია. გარშემო შემოზღუდულია ყორის გაღავე-
ნით, მშრალად ნაგებია, ზოგან გარღვეული. აკრავს ბზის ხეი-
ვანი.

აქ სკოდნიათ ხატობა—„ცხრაზმისთაობა“ 3 აგვისტოს და
გიორგობა — ნოემბერში. ეკლესია კლდოვან ბორცვზეა აგე-
ბული და ძნელი ასასვლელია. ზედ ხეები ამოსულა — თელა

და იფანი. ეკლესია ძველი და საყურადღებოა თავისი ნაგებობით. ეს ეკლესია მოქმედებაში ყოფილა რევოლუციამდე.

სოფლის მებატონე ყოფილა მამამზე ერისთავი, რომელსაც გადასახადს წლიურად 5—10 მანეთამდე აძლევდნენ მისი სოფლის ქვემოთ, დადიანურას, გაღმა, ორი კოშკისა. ერთს შერჩენია სამი კედელი, მეორე კი მისგან ნახევარ კილომეტრის დაშორებაზეა. მას თავი მორღვეული აქვს. პირველს ეძახიან ძველ ციხეს, მეორეს კი — ახალ ციხეს.

ამ კოშკების ზემოთ, დადიანურას გაღმა, მაღალი მთის თავზე სოფ. ზოდებია, რომელიც მოხსენებულია სამთავნელი სარგოს წიგნში¹. აქ ცხოვრობენ ბუნტური, ოდიშელი და ხუციშვილი. სოფლის გვერდით დაშლილი პატარა ეკლესიაა—წმ. გიორგი.

ამათ გარდა, ცხრაზმის ხეობაშია სოფლები თოხთა, მარტიანი, მახიარეთი, ჩიტიანი, შიუკაანი, პაპიანი, მაჭარაანი, დაბაკნეთი, მუჭური, უკანუბანი, ზოდები და ახალუბანი. უმრავლესობა მათგან სოფლის უბნებია და დადიანეთში, უკანამხარსა და ლარგვისში შედის.

მათ შორის აღსანიშნავია დაბაკნეთი და უკანუბანი. დაბაკნეთს ჩამოუდის პატარა მდინარე — დაბაკნურა, რომელიც ცხრაზმას შერათვის ციხესოფელთან. დაბაკნეთი მოხსენებულია სამთავნელი სარგოს წიგნში. ძველი სოფელია. აქ ცხოვრობენ ბაშარაულები, მათი წინაპარი ყოფილა წიკლაური და გადმოსახლებულა დუშეთის რაიონის სოფ. მაქართიდან.

იგი ყოფილა ფაშვიანი (ლიპიანი) და ამის გამო ეწოდა ბაშარაულო. ქსნის საერისთავოს 1781 წლის სტატისტიკურ აღ-

¹ საისტორიო კრებული, IV, 5—15.

წერილობაში ბაშარული ცხრაზმის ხევის მოურავი ყოფილა. იქ ნათქვამია: ბაშარული სიხარულა, ამის სამოურავო ცხრაზმის ხევის ყველა 13-ვე სოფელი¹.

დაბაკნელებს ეს სიხარულა ბაშარული ახლაც მას იგონებენ, როგორც ფიზიკურად ძლიერ ვაჟკაცს. ერთხელ თურმე დაბაკნეთში მოსულან მუხრანბატონის მოურავები მახტას ასაკრეფად (გადასახადი იყო ფულადი). ზოგიერთს ფული ვერ უშოვია და მოურავებს მათი საქონლის წართმევა მოუწოდებიათ. მაშინ სიხარულა მოურავებს დარეგია და მაგრად უცემია.

ნაცემმა მოურავებმა მუხრანბატონს თურმე შესწიველეს. სიხარულა ჩასულა ბატონთან, რომელსაც მოუწოდებია მისი გაჯობვა და ამისი ბრძანებაც გაუცია. თვითონ კი აიენიდან უცქეროდაო.

რამდენიმე კაცი დახვევია სიხარულას, მაგრამ იგი ყველას გამკლავებია. ბატონს გაქვირვებია სიხარულას ვაჟკაცობა და მისთვის უბოძებია ცხრაზმის მოურავობა. უკანასკნელი მოურავი ამ გვარიდან ყოფილა სოსე ბაშარულიო, — ამბობს გადმოცემა.

დაბაკნეთში არის ერთნაგიანი ქვიტყირის ეკლესია, სადაც წინათ ამ ხეობის მოსახლეობა მოდიოდა ჭვრისაწერად, ნათლობა და სხვა საეკლესიო წესებიც აქვე სრულდებოდა.

უკანუბანს ჩამოუღდის პატარა მდინარე — უკანუბნურა, საიდანაც გზა გადადის ფასანაურში. უკანუბანს მე-

¹ იქვ. თაყაიშვილი, ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა, თბ. უნივერსიტეტის „შრომები“, 1951, № 45, 5—68.



ცხვარეობაში პირველი ადგილი უკავია ცხრაზმის ხეობაში და მოწინავედ ითვლება.

გადმოცემით, პირველად აქ დასახლებულა მუხრანის მთიანეთის იგი მუხრანბატონის მოურავი ყოფილა და აქ სანადიროდ წამოსულა. ადგილი უღრანი ტყით დაფარული ყოფილა, ირმითა და შვლით საესე. აქვე, ციხესთან, მლაშე წყალია და აწყლის დასალევედ მოდიოდნენ შვლები და ირმებიო.

მოურავს ადგილი მოსწონებია და ბატონისათვის ნებართვა უთხოვია აქ დასახლებულიყო. ეტყობა, ციხის მიდამო მაშინ ნასოფლარი იყო, — არც ციხე და არც ეს ნასოფლარი არსად არ იხსენიება. უკანუბანიც, ალბათ, მაშინ დაარქვეს, როდესაც აქ ახალი მოსახლეობა გაჩნდა. უკანუბანში ძირითადი მოსახლეობა ჩიტიშვილებია. გადმოცემით, მათი წინაპარი ყოფილა ნარიმანიძე, გადმოსულა სოფ. სონჩიდან (დუშეთის რაიონი). იქ კაცი მოუქლავთ და სამივე ძმა ნარიმანიძეები გამოქცეულან. ერთი დასახლებულა უკანუბანში, მეორე — ჩიტიანთში, ხოლო მესამე — მარტიანთში. ძმებში ერთი მეტად ფეხმარდი და ცქვიტი ყოფილა, მისთვის შეუჩქმევიათ ჩიტო. ამის შემდეგ მისმა შთამომავალმა გადაიკეთა გვარი ჩიტიანშვილებადო.

ამ სოფლის მებატონე ქსნის ერისთავი ყოფილა, ხოლო პავლიაშვილის მებატონე კი — მუხრანბატონი.

უკანუბანშია საყურადღებო ძველი ციხის ნაგებობა. დარჩენილია მისი ერთი ექვსართულიანი მაღალი კოშკი, რომელიც ნაგებია დიდი ლოდებით, დულაბით. კოშკი ძველია, რასაც მოწმობს ის, რომ მას სათოფურები არ გააჩნია.

ამასთანავე ეს ერთ და იმავე დროს საცხოვრებელიც იყო და საბრძოლოც. უკანუბნის ციხის გეგმა, აღწერილობა და ფო-

ტოსურათი მოცემულია პ. ზაქარაიას შრომაში¹.
ლედ შეეხებოთ.

ამ ციხის აშენების შესახებ არაფერი იციან².
ბენ ჩიტიშვილები. ამბობენ, რომ აქ იყო სამი ციხე-კოშკი,
ერთიმეორისაგან მცირე მანძილით დაშორებული. სამივეს
აკავშირებდა მიწისქვეშა გვირაბი, რომელიც შედიოდა დარ-
ბაზული ტიპის სახლში. ამ სამიდან დღეს გადარჩენილია
მხოლოდ ერთი, რომელსაც შესასვლელი აქვს მეორე სარ-
თულზე. სართულებში დატანებულია ვიწრო სარკმელი და სა-
თვალთვალო. სართულებზე გადადიოდნენ მოძრავი ხის კი-
ბით. ციხეში, ეტყობა, წყალი შედიოდა თიხის მილებით,
რომლის კვალი ახლაცაა. აგრეთვე ნაპოვნია თიხის მილების
ნატეხები.

ციხე შემოზღუდული ყოფილა მაგარი გალავნით, ნაგებია
დიდი ლოდებით. გალავნის ერთ კუთხეში ძვეს უზარმაზარი
ქვა, რომლის სიგრძე 4,5 მეტრია, განძი—1,2 მ, სისქე —1,6 მ.
ამაზეა ნათქვამი: „ცხრა ძმამ დაედეთ, ცხრაზმელებმა გადმოი-
ლონო“. არის სხვა ვარიანტიც: „ჩვენ ეს ცხრა ძმამ დაედეთ
და ვინც ვაფყაცი ცხრა ძმა გამოჩნდეს, იმათ ჩამოილონო.“
ან კიდევ: „ცხრა ძმამ დაედეთ ცხრა სოფელმა ჩამოილონო“.
ამბობენ, ეს წარწერა ქვის ქვეშაა მოქცეული და ვინც შეძ-
ლებს მის გადმობრუნებას, ის წაიკითხავსო.

უკანაუბნელებს სჯერათ, რომ ცხრა ძმა სინამდვილეში ნა-
რიმანიძეები ყოფილან და ეს დიდი ლოდი გალავანზე მათ
დაუდვიათ.

ამ ციხით ცხრაზმის ხეობის სათავე ჩაკეტილი იყო და აქი-

¹ ქსნის ხეობის ციხე-სიმაგრეები, 197—199.

ური მოსახლეობა მას გუშაგად ედგა და თავს იცნობდა მისი
დური მტრისაგან.

ადგილობრივი გადმოცემით, უკანუბანს ლეკები და მათი
ხმიან. მოსახლეობა ციხეში ჩაეკტილა. ლეკებმა ერთ კვირას
უთვალთვალეს, მაგრამ არავინ არ გამოსულა ციხიდან. ბოლოს
ცოცხალი თევზები დაიანახვეს ლეკებს, მაშინ ლეკები გაეცალ-
ნენ სოფელსო¹.

ციხის გაღრმავება აგრეთვე ერთნავეიანი, უფასადო ქვიტ-
კირის ეკლესია. ამ ეკლესიას მიაკუთვნებენ პავლიაშვილებს
და მისი დეკანოზები (მსახურნი) პავლიაშვილები ყოფილან. აქ
იცოდნენ დღეობა — გიორგობა — ნოემბერში და მაისში —
აღდგომა.

ცხრაწმის ხევის ზემოთ ნასოფლარია, რომელსაც „სოსმა-
ლეთს“ უწოდებენ. იგი ძველია, მოხსენებულია X საუკუნის
სამთავნელის სარგოს წიგნში „სოსმალე“-ს სახელწოდებით.
ნასოფლარის მიხედვით, ეტყობა, დიდი სოფელი ყოფილა. ნა-
გებობანი დაშლილია, უშენებიან დიდი ქვებისაგან. ზოგან
ეტყობა, რომ სადგომები ოთხკუთხაა, ცალი მხარე კი ოდნავ
მომრგვალებული აქვს.

ნასოფლარის ჩრდილო მხარეს დგას დაშლილი პატარა ეკ-
ლესია, რომელიც შემოზღუდულია სიბი ქვებით, დახურული
გალავნით.

აღსანიშნავია, რომ ეს ნასოფლარი 1789 წლის დავით ბა-
ტონიშვილის მიერ თომაშვილების სახელზე გაცემული წყა-

¹ ანალოგიური თქმულება არსებობს სხვილისა და აღის ციხეზე. (იხ.
ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა — ლეხერის ზეობა, თბ., 1964, 30); მ ი ს ი ე ვ ე, ფრო-
ნის ზეობა, თბ., 1963, 82.



ლობის სიგელით უკაცრიელი ყოფილა და დავიძის თოქაძე-
 ლებისათვის მიუცია. მაგრამ, როგორც ირკვევა, ~~ქვეყნის~~
 დასახლებულან.

ბ ი ზ ლ ი ი თ ე კ ა ნ

ბ ა ლ ა ა ნ თ ე კ ა რ ი (ბალაანი) ქარჩოხის ხეობაშია. ამ ხეობას
 ჩრდილო-დასავლეთით მოეპმის ქამურის ხეობა, ქარჩოხის
 ციხესთან, ამის ქვევით, ლარგვისამდე, მას უწოდებენ ქარჩო-
 ხის ხეობას, ლარგვისიდან კი სამივე გაერთიანებულ ხეო-
 ბას — ჭურთას, ქარჩოხსა და ცხრაზმისას — ეწოდება ქსნის
 ხეობა მტკვრამდე.

ქარჩოხ-ქამურის ხეობა სიგრძითა და შენაკადებით ყველაზე
 დიდია ქსნის სათავის მდინარეთა შორის.

ქარჩოხის ხეობა მოიცავს საკმაო დიდ ფართობს. ქარჩო-
 ხის სოფლსაბჭოში შედის 16 სოფელი და უბნები ჭორჭოხი,
 ბალაანი, ქენქაანი, მოდელაანი, ხოზუეთი, პავლიანი, კარეთ-
 კარი, წიბტაურიანი, თინაკაანი, ელოიანი, ლომისა. მათ შორის
 ჭორჭოხი, ყაზოთი და ქარჩუხი დასახელებულია სამთავნელია
 სარგოს X საუკუნის წიგნში (საისტ. კრებული, IV, გვ. 5—15).

ოსური სოფლებია: ჩივოიანი, კორა, ბაგინი ნაეისხევი და
 თოგოიანი.

მათ შორის ყველაზე დიდი დასახლება ბალაანთშია, სადაც
 არის ქარჩოხის სოფლსაბჭოც.

ბალაანთში თავდაპირველად უცხოვრია ფოცხვერაშვილს.
 ბალაანი აქ გადმოსულან თინიკაანთ უბნიდან, ყოფილან გაბი-
 დაურები, მათ წინაპარს რქმევია ბალა, რომელიც ფშავიდან
 გადმოსახლებულა და ამ ბალადან მიუღიათ გვარი ბალაშვი-
 ლი. ამ სოფელში ბალაშვილები 25 კომლია.



სოფლის თავში, ბალანთ ხევის პირას, დგას მათი რეულო კოშკი, ბალანთ კოშკი. კოშკი ნაგებია ქვით, ურევია დიდი ლოდებიც. კოშკი ოთხსართულიანია. პირი აქვს სამხრეთით, ფორმით ოთხკუთხა, სახურავი ორფარდულიანია და გადახურული სიბი ქვით. სართულებში დატანებულია ასასვლელი ერდო, აღიოდნენ მოძრავი ხის კიბით. ქვედა სართულში გამართულია ბუხარი, თონე. ჩატლულია ქვევრები. ზემო სართულებში — თახჩები, სათოფურები და სათვალთვალოები.

ქველად აქ უცხოვრიათ დარბაზულ სახლებში. რევოლუციამდე სოფლის ბოლოს ყოფილა ერთი დიდი დარბაზი, სადაც უცხოვრია „დიდბალანთ“ ოჯახს. ოჯახის უფროსი ყოფილა უხუცესი თედო. ოჯახის წევრები — 75 სული, ჰყოლიათ 15.000 ცხვარი.

ახლა დარჩენილია ერთი ქველი დარბაზი ლევან ბალაშვილისა. დარბაზს პატარა გვირგვინი აქვს, დედაბოძი და თავხეები დაჭრელებული არ არის.

ეს სოფელი მახტას კომლზე მანეთს უხდიდა ოძისელ ერისთავს.

ბალანთ გაღმა არის წმ. გიორგის ეკლესია, რომელსაც ჩამოუდის სამურეხევი და კვირაცხოვლისხევი. ორივე ამ ეკლესიასთან ერთდებიან და უწოდებენ ბალანთხევს. იგი უერთდება ქსანს.

ეკლესია ნაგებია ქვიტკირით, გეგმით ერთნავეიანია, მოცულობით პატარაა, დასავლეთის მხარეზე ზედვე დაშენებულია სამრეკლო. ერთი შესასვლელი კარი აქვს დასავლეთით.

შიგ უწესრიგოდ მიმოხნეულა ხატები, კანკელის ნაწილები, მურტული და სხვა.

შესაქლედო კარის ორივე მხარეზე ჩაფლულია ქვემოთ,
ქარჩოხის ხეობაში ეს მოქმედი ეკლესია ყოფილა. აქ ხდებოდა
ჯვარისწერა, ნათლობა და სხვა საეკლესიო წესებზე (ეკლესიის წესები)
ბა. ეკლესია შემოზღუდულია ყორის გაღვენით, მივ ბნია
ხეებია, გარეთ კი — სასაფლაო.

ამ სოფლის პირდაპირ, ქსნის გაღმა, მაღალ მთაზე, დგას
საგუშაგო კოშკი „კვერიათის ციხე“ (აღგილის სახელია). კოშ-
კი თავმორღვეულია და საძირკველიც გამოცლილი აქვს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქარჩოხის ხეობის სოფლები მონო-
გენურია: ერთ სოფელში ერთი გვარის მოსახლეობაა. სოფელი
და გვარი ერთი სახელის მატარებელია, აქვთ საგვარეულო
კოშკი და სალოცავიც. ასეთია ბალაანი, ცხოვრობენ ბალაში-
ლები, პავლიანი — პავლიაშვილები, მიდელაანი — მიდელა-
შვილები, ელოიანი — ელოშვილები და სხვა.

ქარჩოხის ციხე-დარბაზი ქარჩოხის ხეობაშია, იქ, სა-
დაც მას შეერთვის სათავიდან მომდინარე ქაშურის ხევი. აბ-
ლა ამ ციხე-დარბაზს ცხმორის ციხეს უწოდებენ, ჩამოუდის
ცხმორის ხევი.

ვახუშტის ქარჩოხის ციხე აღწერილი აქვს და რუკაზედაც
აღნიშნული: „არს ციხე ქარჩოხისა ქსნის პირსა ზედა, ლო-
მისიდან ჩამოსულ კლდესა ზედა. უდის სამხერით ქსანი და
აღმოსავლით კევი, ლომისის მთის გამომდინარე, და აღვალს
აქედამ გზა ლომისის ეკლესიისა თანა და შთავალს მთიუ-
ლეთს“ (გეოგრ. 68).

ქარჩოხის ციხე-დარბაზი ქსნის მარცხენა მხარეზეა, იქ, სა-
დაც ქსანს ერთვის ოხირის ხევი. ქსნის გაღმა, ციხის პირდა-
პირ, არის სოფელი პავლიანთი.

ციხე-დარბაზი ძნელი მისადგომია: იგი მაღალ კლდოვან

ბორცვზეა აგებული; შორიდან კარგად მოჩანს. ქართული ხეობა აქ გაშლილია და ციხე-დარბაზიც ღამაზ სანახობას წარმოადგენს. ნაგებია კლდის ქვით, დულაბით. ციხე-დარბაზი ძველია. შემდეგ გადაკეთებულია და გაუმართავთ სათოფურები.

ციხე-დარბაზი მთლიანად შეკრულია მაღალი კედლით.

მას შესასვლელი კარი გარედან არა აქვს. შეიძლება შესასვლელი ჰქონდა გვირაბიდან (ახლა არ ჩანს). ეტყობა, კედელზე გადადიოდნენ მოძრავი კიბით.

ციხე-დარბაზში ერთი დიდი და მაღალი კოშკია შეიღსართულიანი. კოშკის ორი მხარე სწორკუთხედიან, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი მომრგვალებული. სართულები ჩაქცეულია, აქვს სათოფურები. კოშკის კედლის სისქე 2,30 მ. შიგვე ექვსი სადარბაზო ოთახია, იქვე პატარა ეკლესია დგას. იგი თაღოვანია და აქვს ერთი კარი. დარბაზები და ეკლესია დაშლილია. გარედან ციხე-დარბაზის მაღალი კედელი გამავრებულია ხუთი ბურჯით. მისი ფართობი შიგნით 40×30 კვ. მეტრია. ციხე-დარბაზის ქონვურები არ ჩანს.

ციხე-დარბაზში წყალი მიღებით შედიოდა, იასეს წყაროდან, რომელიც ციხიდან დაშორებულია ორი კილომეტრით. წყარო მომდინარეობდა ციხისაკენ აღმოსავლეთის მხრიდან, მხოლოდ მტრის თვალის ასახევეად შემოჰყავდათ ჩრდილოეთის მხრიდან (სოფ. ელოიანთიდან) თიხის მიღებით, — გადმოგვცემენ.

ციხე-დარბაზის გარეთა ეზო, დაახლოებით 500 კვ. მ შემოზღუდულია ქვიტკირის გალავნით, ნაგებია კლდის ქვით. გალავნის სიმაღლე 2 მ, კარი აქვს დასავლეთით, გარშემო დატანებულია სათოფურები.



ციხე-დარბაზის ეკლესიაში სალოცავად მოდიოდნენ ბ-
 ზობელი სოფლებიდან აღდგომა დღეს. მლოცავი გალოცვანში
 დგებოდა და ლოცულობდა (ციხე-დარბაზს კარგად უცნობია
 მის კედელზე გადასვლა ძნელია).

ხალხური გადმოცემით, ამ ციხე-დარბაზთან უბრძოლია
 გიორგი სააკაძეს, იგი დაჭრილა და ქარჩოხის ამ ციხეში მკურ-
 ნალობდაო¹.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ნაგებობის ციხე-დარბაზი
 ქსნის ხეობაში არ შემონახულა. თავისი ადგილმდებარეობით,
 ნაგებობის ტექნიკითა და სილამაზით იგი მნახველზე წარუშ-
 ლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. საისტორიო წყაროებში მის
 თავგადასავალზე არაფერია ნათქვამი, არც ის ვიცით, თუ რო-
 დის და ვინ ააგო იგი. თავისი სტრატეგიული მდებარეობითა
 და დანიშნულებით ეს ციხე-დარბაზი საცხოვრისი უნდა ყო-
 ფილიყო ამ ხეობის მებატონე ფეოდალისა, თუ მეფის მოხე-
 ლისა, რომელსაც ამ ხეობის დაცვა-პატრონობა ევალე-
 ბოდა.

ამას გარდა, აქვე უნდა ყოფილიყო ამავე სახელწოდების
 სოფელი ქარჩოხიც, რომელიც დასახელებულია სამთავენლის
 სარგოს წიგნში — ქარჩოხის² სახელწოდებით. საფიქრებე-
 ლია, ეს ქარჩოხი ყოფილიყო დღევანდელი პავლიანთკარი,
 სადაც დარჩენილია ამ დროის კოშკი.

ამ ციხე-დარბაზის ზემოთ, გურწიანთ მთაზე, დგას საგუ-

¹ ეს გადმოცემა დაკავშირებულია გიორგი სააკაძესა და როსტომ მე-
 ფეს შორის ანდუყაფარ ამილახერისა და მისი მეუღლის ისახანის ბრძო-
 ლასთან, ქსნის ხეობაში.

² საისტორიო კრებული, წ. IV, თბ., 1929, 10.

შავი კოშკი, რომელიც დაფარულია ტყით. აქედან მოჩანს ლომისას ქედი, ზედ ლომისას საყდრით, საიდანაც ვხედავთ დის მთიულეთში (მლეთაში).

გადმოცემით, ლომისაზე დავა ჰქონიათ მთიულეთში ქსნისხეველებს. ლომისას ქედს ჩემულობდა ლეობა და ლომისას ხატსაც ედავებოდნენ მთიულეტსო.

ამ დავის გამო ქსნის მცხოვრებლების მოთხოვნით ლომისას ეკლესიას კარი შეაბეს ქსნისაკენ, მაგრამ ლომისას ხატის დეკანოზობა კი მთიულეტს დარჩენიათ.

სოფ. პავლიანთი ქარჩოხის ციხე-დარბაზის გაღმაა. ქსნის მარჯვენა მხარეზე, მაღალ ფერდობზე გაშენებული. მათი წინაპარი გადმოსულა გერგეტიდან (ზევიდან), გვარად ვიგაური, მას ჰყოლია სამი ვაჟი — პავლე, ონიკა და ელო. მომრავლებულან. ერთი ცალკე გასულა ელოიანთში (იქ ახლა ელო-შვილებია), მეორე, პავლე, დასახლებულა აქ, პავლიანთში. სოფელში ცხოვრობს 16 კომლი. სოფელს ჩამოუდის პატარა ზევი — პავლიანთხევი, რომელიც იქვე შეერთვის ქსანს.

ამ პავლიანთ ხევთან დგას ქვიტყირის ძველი კოშკი, რომელსაც პავლიანთ კოშკს უწოდებენ. ეტყობა, იგი საგვარეულო კოშკია პავლიანთებისა. კოშკი ხუთსართულიანია, ნაგებია კლდის ქვით, ურევია დიდი ქვებიც, კარი აქვს აღმოსავლეთით, მეორე სართულზე. კარის ჩარჩოც მთლიანი დიდი ქვითაა გამართული.

კოშკი ოთხკუთხაა, მისი სიგრძე 6,20 მ, განი — 6,20 მ.

ზემო სართულს აქვს სათოფურები.

ძველად უცხოვრიათ დარბაზულ სახლებში, დაუშლიათ და გადაუყეთებიათ ორსართულიან შენობად. დარჩენილია ერთი:

ძველი დარბაზი, შალვა პავლიაშვილისა, ნახევრად დაშლილი მოუშლიათ გვირგვინი. შერჩენია თავზეები და დედაბოთი, საა დაა და უორნამენტო.

ქარჩოხის ჩრდილო-დასავლეთით, ქსნის სათავეებზე, მდებარეობს რის ხეობაა. ამ ხეობაში ოსები ცხოვრობენ, არის ხუთი სოფელი — ჩიგოიანი — 16 კომლი, კორა — 9 კომლი, ბაგინი — 7 კომლი, ნავისხევი — 4 კომლი და თოგოიანი — 4 კომლი.

აქვეა ეამურ-ქსნის სათავე ტბა-ყელიც. ვახუშტის აღწერით: „ხოლო ქარჩოხის დასავლით არს კსანსა ზედა ეამური, აწ მსახლობელნი არიან ოსნი. საშუალო ეამურისა არს ციხე, ბერციხედ წოდებული, კსანსა ზედა და კლდესა ზედა მდგომარე“ (გეოგრა., გვ. 69).

ეამურის ხეობაში რამდენიმე მარტო მდგარი კოშკია, რომლებიც საგუშაგო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო. მათ შორის საყურადღებოა ბაგინის კოშკი, რომელიც მდებარეობს ქსნის ხეობის უკანასკნელ სოფელში — ეამურის ხეობაში. კოშკი ოთხსართულიანია, აქვს ოთხკუთხა ჩარდახი (სალოდე).

აქაური კოშკების წინა ბრტყელი ფასადი მდინარისაკენა: მიმართული, საიდანაც მოსალოდნელი იყო მტრის გამოჩენა. ამასთანავე ზოგი ციხე-კოშკი აღმართული იყო მაღალი მთის წვერზე, როგორც ბერციხე, რომელიც მტრისათვის ძნელმისადგომი იყო და მისი აღებაც ფრიად გასაჭირი.

აქაური ციხე-კოშკები ძველია. მათი დანიშნულება იყო ქსნის სათავეისა და მასზე გადმოსასვლელი გზების დაცვა-მეთვალყურეობა, რაც ევალებოდა აქაურ მოსახლეობას. აქე-

დან გზები (ბილიკები) გადადიოდა პატარა ლიახვსა და მეჭურჭლე-
ხეობაში, აგრეთვე ზემო ერმანიდან როკაში, შემდეგ ~~ქარაქსი~~
და ცხინვალში.

საყურადღებოა, რომ ქაშური დასახლებულის ~~სახლსა და~~
ლის სარგოს X საუკუნის წიგნში. ძველი ქართული ~~მოსახ-~~
ლეობა აქ უცეც არ არის და გამოკითხვითაც მისი წარსულის
გაგება უიმედო გამოდგა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ი ვ ი

ქსენო ხაოჭის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა	3
მატიკონაური ქოლხოების ქიზლბი	28

რედაქტორი არ. არამბელი
მხატვარი დ. ღუნღუა
მხატვრული რედაქტორი რ. მახარაძე
ტექნიკური რედაქტორი ქ. რთველიაშვილი
კორექტორი მ. ყურაშვილი

გადაეცა წარმოებას 6/11-68 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/X-68 წ.
ქაღალდის ზომა 70×108¹/₃₂
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 5,08.
საღრ.-საგამომე. თაბახი 4,15.
ფე 0:775. ტირაჟი 3.000. შეგვ. № 591.

ფასი 21 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარბიბლიოგრაფიერეწველობის თბილისის სტამბა № 4
Тбилисская типография № 4 Главнолигграфпрома Государственного
комитета Совета Министров Грузинской ССР по печати



Макалатია Сергей Иосифович

Ксанское ущелье

(Историко-этнографический очерк)

(На грузинском языке)

Издательство «Сабхота Сакартველო»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1968



ქართული
ენების ცენტრი